საფეხბურთო ჟურნალი

# გოლი

№2
ოქტომბერი
1992



საფეხბურთო ჟურნალი

# გოლი

№2 ოქტომბერი '92

3----- მოღრუბლული ცის ქვეშ გატანილი ცხრა ისტორიული გოლი. საქართველო — აზერბაიჯანი 6:3
ილია ბაბუნაშვილი

4----- „ალაზანი“ სამეულს უმიზნებს. რეპორტაჟი გურჯაანიდან
გია ახალაძე

8— დონგპანების დინასტიიდან აკერს-სტალამდე. ყველაფერი ქალთა ფეხბურთზე
ილია ბაბუნაშვილი

13---- „სექტემბერში ნორმალურად ვითამაშე“. ინტერვიუ სექტემბრის საუკეთესო ფეხბურთელთან
ილია ბაბუნაშვილი

17---- აწმყოც სწყალობს და მომავალიც მისია... რუბრიკა „კლუბები“ წარმოგიდგენთ ამსტერდამის „აიაქსს“
ზურაბ მეძველია

25— იტალია: სამი თამაშობს, სამი ზის, ან პირიქით
ზურაბ მეძველია

26---- „ერთ დარტყმას მე ავიღებ, ბიჭებო“ ჩანახატი პეტერ შმაიხელზე
მამუკა კვარაცხელია

28--- MARADONA

29— მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის კალენდარი. სამხრეთ ამერიკა, აფრიკა, ოკეანია, კონკაკაფი

30---- რუბრიკა „სამხრეთ ამერიკა“
ბიძინა ბარათაშვილი

32---- სტატისტიკა

35---- რუბრიკა „ისტორიიდან“
ნოდარ გუგუშვილი

36---- რა ხდებოდა ოქტომბერში

დამფუძნებლები
განსაზღვრული პასუხისმგებლობის გამომცემლობა „ლინქსი“ და კოოპერატივი „კომპიუტერი“

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია

რედკოლეგია
გია ახალაძე
ილია ბაბუნაშვილი
გურამ თავდიშვილი
ზურაბ მეძველია
მამუკა ჩიხლაძე
(ტექნიკური რედაქტორი)

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

ტირაჟი 5.000

მისამართი: თბილისი. რუსთაველის 42. ტელეფონი: 93 16 08




რუუდ კროლი თბილისს „ნაპოლის“ შემადგენლობაში ესტუმრა

# მოღრუბლული ცის ქვეშ გატანილი ცხრა ისტორიული გოლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

17 სექტემბერს, გურჯაანის მოღრუბლული ცის ქვეშ ნაწვიმარ, ლამის ატალახებულ მინდორზე საქართველოს ნაკრებმა გამართა მეორე (შინ პირველი) ოფიციალური საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა. მეტოქე, აზერბაიჯანის ნაკრები, თავის ისტორიას ამ მატჩით ხსნიდა. მატჩთან ამა თუ იმ ფორმით დაკავშირებულ ყველა მხარეს საერთაშორისო შეხვედრების გამოცდილება რომ აკლდა ეს პირველსავე წუთებში გამოჩნდა. გუნდები მსაჯებს მოედნის ცენტრში გამოყვნენ, მაყურებელს მიესალმნენ, თავ-თავიანთი კარი აირჩიეს და ის-ის იყო სასტვენის ხმას თამაშის დაწყება უნდა ეცნობებინა რომ სტადიონის დინამიკებში დაგვიანებული ჰიმნები გაისმა. თამაშზე მისული ოთხი ათასამდე გულშემატკივარი ფეხზე წამოუდგა მეზობელ სახელმწიფოთა მთავარ მელოდიებს. ყურადღებას იპყრობდა ქართველ მსაჯთა ბრიგადაც. ასეთ შეხვედრაში „შავოსანთა“ ტრიო უპრიანია მესამე ქვეყნიდან იყოს. როგორც გაირკვა, ეს შეხვედრის ორგანიზატორთა ბრალი არ გახლდათ, რადგან მათ მიერ ლიტვიდან მოწვეული მსაჯები შეხვედრაზე არ თუ ვერ ჩამოვიდნენ და თამაშის გაძღოლა ადგილობრივ არბიტრებს მოუხდათ. არ მინდა ისე გამოვჩნდე თითქოს მხოლოდ ხარვეზებს ვხედავდე, ან ის არ ვიცოდე, რომ ომია და ასეთ დროს საფეხბურთო მატჩი ქვეყნის ცხოვრების მთავარ მოვლენად ვერ გადაიქცევა. უბენზინობა და სხვა წვრილმან-მსხვილმანი პრობლემებიც კვალს ტოვებენ, მაგრამ აშკარად გული დამწყდა, როდესაც სტადიონზე მისულმა საქართველოს ცენტრალური ტელევიზიის კამერები ვერ დავინახე. მადლობა ღმერთს, ტელეკომპანია იბერვიზიამ თუნდაც „სახლის“ კამერით, მაგრამ მაინც გადაიღო შეხვედრა და ეს ისტორიული კადრები შთამომავლობას დარჩება.

ახლა ორიოდე სიტყვა თავად მატჩის შესახებაც ვთქვათ. სველმა მინდორმა და მძიმე ბურთმა თამაშს თავისებური ელფერი მისცა. საქართველოს გუნდს ეტყობა ბურთისთვის აქტიური ბრძოლა ჰქონდა დავალებული, რადგან მხოლოდ პირველ თხუთმეტ წუთში ბიჭებმა იმდენი ჯარდნა („პოდკატ“-ის მოქნილი შესატყვისი ქართულში ჯერ არ ‛რსებობს) შეასრულეს, რამდენიც ჩვენი ჩემპიონატის ორ-სამ ტურს ეყოფოდა. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ გამოცდილი გიგა ნორაკიძის ხელმძღვანელობით საქართველოს ნაკრები დაცვაში საკმაოდ მჭიდრო თამაშს ცდილობს, რაც ქართულ გუნდებს ყოველთვის არ ახასიათებდა. ეს, ალბათ, თანამედროვე ფეხბურთისკენ გადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს.

მასპინძლებმა პირველი წუთებიდან შუა მოედნის დაპყრობა და შეტევების განხორციელება სცადეს, მაგრამ შესვენებამდე მათი უპირატესობა ძირითადად მხოლოდ ტერიტორიული იყო. ორივე გუნდი დაცვის უკანა ხაზზე შეცდომებს უშვებდა. პირველ ორმოცდახუთ წუთში მეტოქეებმა თითო გოლი გაუტანეს ერთმანეთს.

მეორე ტაიმში ჩვენმა გუნდმა შეხ-

საერთაშორისო ამხანაგური მატჩი.
17 სექტემბერი. გურჯაანი. 3000 მაყურებელი
**საქართველო — აზერბაიჯანი 6:3**

1. დიმიტრი კრამარენკო
3. ელშან აჰმედოვი
5. ზაურ ყარაევი
2. აიდინ ალექბეროვი — 4. ტარლან აჰმედოვი
6. ემინ აღაევი — 8. შაინ დინიევი — 7. მაჰმუდ ყურბანოვი
10. ნაზიმ სულეიმანოვი
9. ვიტალი რზაევი — 11. სამირ ალეკბეროვი

11. შოთა არველაძე — 10. დავით ყიზილაშვილი
9. რეზო არველაძე — 7. გიორგი დარასელია
6. დავით ცომაია
5. გია ჯიშკარიანი — 8. კახა გოგიჩაიშვილი
2. მალხაზ არზიანი — 3. დიმიტრი კუდინოვი
4. კახა სიდამონიძე
1. აკაკი დევაძე

**შეცვლები:** 46' სიდამონიძე — **გიორგი ნემსაძე**
46' მ.ყურბანოვი — **ყურბან ყურბანოვი**
53' დარასელია — **გიორგი ქინქლაძე**
54' კრამარენკო — **ელშან პასანოვი**
54' ა.ალეკბეროვი — **ვუღარ ისმაილოვი**
70' ს.ალეკბეროვი — **ქამილ ბაირამოვი**
75' დევაძე — **დავით ჯანელიძე**
75' გოგიჩაიშვილი — **მიხეილ ყაველაშვილი**
75' შ.არველაძე — **დავით ჯანაშია**
76' ისმაილოვი — **ელმან სულთანოვი**

**გოლები:** 1:0 ყიზილაშვილი 30', 1:1 სულეიმანოვი 42', 2:1 ყიზილაშვილი 48', 3:1 დარასელია 52', 4:1 შ.არველაძე 69', 5:1 გოგიჩაიშვილი 71' პენ, 5:2 რზაევი 77', 6:2 ჯიშკარიანი 79' პენ, 6:3 სულეიმანოვი 85' პენ.

**მსაჯები:** გ.სეფიაშვილი, ვ.ჩოჩიშვილი, ნ.კილაძე (საქართველო)

ვედრის ძირითად ამოცანას — მოწინააღმდეგის „წელში გადატეხვას“ წარმატებით გაართვა თავი.

საქართველოს ნაკრები ერთიმეორის მიყოლებით ლაშქრავდა სტუმართა კარს. საგანგებოდ მინდა გამოვყო ქუთაისელი გიორგი დარასელიას გოლი. იმ დღეს გიორგის დაბადების დღე იყო. როგორც მითხრეს, ფეხბურთელი დილიდან განაწყობდა თავს ბურთის გასატანად, საკუთარი თავისთვის საჩუქრის მიძღვნა სურდა. როდესაც იგი 53-ე წუთზე მოედნის ცენტრში ბურთს დაეუფლა, გვერდით ხაზთან სათადარიგო ფეხბურთელი ხურდებოდა, სტადიონის თანამშრომელს უკვე აწეული ჰქონდა მანიშნებელი მისი ნომრით, მსაჯი კი ბურთის მოედნის ფარგლებს გარეთ გადავარდნას ელოდა. დარასელია-არველაძე-ჯიშკარიანი-დარასელია. გოლი მართლაც ულამაზესი იყო. იუბილარმა მოედანი დასაჩუქრებულმა დატოვა. მას მერე რაც ანგარიში 5:1 გახდა ჩვენების თამაშს თითქოს ერთგვარი უპასუხისმგებლობა დაეტყო. ეს შესაძლოა იმის ბრალიც იყო რომ ამ დროისთვის მეტოქემ ფაქტობრივად კაპიტულაცია გამოაცხადა და ეს გამოხატა კიდეც. მესმის, რომ შესაძლოა კაცს წაქცეულის ცემა არ გინდოდეს, მაგრამ ვგონებ 6:3-ს მაინც 5:1 ჯობდა.

რა გვიჩვენა ამ შეხვედრამ? ალბათ ის, რომ ჩვენს ეროვნულ გუნდს ფაქტობრივად მეორე შემადგენლობითაც ძალუძს გარკვეულწილად საინტერესო ფეხბურთის ჩვენება. რაც შეეხება უძლიერეს შემადგენლობას, იგი ალბათ ჯერ კარგა ხანს არ შეიკრიბება. ვეჭვობ ქეცბაიამ, ჭედიამ, ტყებუჩავამ, კაჭარავამ და თუნდაც მანეთის ზონაში მოთამაშე ცხადაძემ აზერბაიჯანის თუ ლიტვის ტიპის ნაკრებებთან სათამაშოდ თბილისს მოაშურონ, მითუმეტეს, რომ ეს შეხვედრები რაიმე დიდი მატჩისთვის მზადების ეტაპს არ წარმოადგენენ.

სასიამოვნო იყო საქართველოს ნაკრების შესრულებით აქტიური ფეხბურთის ცქერა, პერიოდულად პრესინგის გამოყენებით. ალბათ ცენტრალური მცველი, დინამოელი შელია რომ ყოფილიყო მწყობრში, მეტოქის ფორვარდები ახლო მანძილიდან კარში დასარტყმელად თავისუფალ ზონებს ნაკლებად იპოვნიდნენ. აღსანიშნავია ცალკეულ ეპიზოდებში ჩვენების საინტერესო ინდივიდუალური თამაში. რაც შეეხება კოლექტიური, კომბინაციური თამაშის სრულყოფას ეს უდავოდ მომავლის საქმეა და იგი მატჩიდან მატჩამდე უნდა დაიხვეწოს.

აზერბაიჯანის ნაკრებზე საუბრისას აუცილებლად უნდა ითქვას,რომ გუნდი ტექნიკური ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული. შესაძლოა მას ჯერ გამოკვეთილი სახე არ აქვს და ფიზიკურადაც შედარებით სუსტად არის მომზადებული (საქართველოსი არ იყოს, ალბათ არც აზერბაიჯანის ჩემპიონატი ითხოვს სპორტსმენებისგან დიდ დატვირთვას), მაგრამ ფეხბურთელების ბურთთან მოპყრობის ხარჯზე იგი მაინც სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს.

სტუმართა მთავარმა მწვრთნელმა აჰმედ ალესქეროვმა, მატჩის შემდეგ აღნიშნა: „მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ნაკრებმა მეორე ტაიმიდან ყველა კომპონენტში დაგვჯაბნა, მე ჩემი გუნდის პერსპექტივას ვხედავ. ქართველებმა კი გამაოცეს თამაშის ჟინით“.

საქართველოს ნაკრებმა თავის ისტორიაში პირველი გამარჯვება მოიპოვა. იმედია, მალე დადგება ის დღე, როცა ჩვენი მეტოქე ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის გუნდი აღარ იქნება. 1994 წელს კი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ჩავებმებით...

ილია ბაბუნაშვილი



ვალერი ლარიბაშვილი

ყიზილაშვილი, კუდინოვი და შოთა არველაძე უტევენ მეტოქის კარს.



# «ალაზანი» სამეულს უმიზნებს

წლევანდელ ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეთა შორის გურჯაანის „ალაზანი“ უდავოდ ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო კოლექტივია. გუნდი, რომელიც წინა პირველობაში ბეწვზე გადაურჩა უმაღლესი ჯგუფის დატოვებას და მე-18 ადგილზე დაამთავრა ტურნირი, მიმდინარე ჩემპიონატში ალმავლობით გამოდის და დაკარგული ქულებით მხოლოდ თბილისის „დინამოს“ ჩამორჩება, ამასთან მტკიცედ აქვს დაგეგმილი საპრიზო სამეულისთვის ბრძოლა. ერთი შეხედვით ამ მოულოდნელი მეტამორფოზის ახსნა რთული არაა — „ალაზნის“ შემადგენლობა თითქმის მთლიანად შეიცვალა და სხვადასხვა კლუბებიდან მიწვეული წამყვანი ფეხბურთელებით შეივსო.

სწორედ ამ განახლებული გუნდის ახლო გასაცნობად ვეწვიეთ გურჯაანს „ალაზნის“ შტაბ-ბინაში, სანატორიუმ „ახტალაში“. ბიჭები ჩემპიონატის მორიგი მატჩისათვის ემზადებოდნენ. საერთო განწყობილება ჩინებული იყო — ორი დღით ადრე „ალაზანმა“ გასვლით თამაშში მძიმე, ნაწვიმარ მოედანზე „ბათუმს“ სძლია ანგარიშით 1:0. სხვათა შორის, ეს გურჯაანელთა პირველი გამარჯვება იყო სტუმრად. შინ, პირველივე ვარჯიშზე „ალაზნის“ მთავარმა მწვრთნელმა ოთარ გაბელიამ გუნდის წევრებს მიმართა, ბათუმში მოგება დაივიწყეთ, ახლა ერთადერთი საფიქრალი მომავალი თამაშიაო.

— **გუნდის დღევანდელი მდგომარეობით კმაყოფილი ხართ? — ვკითხე გაბელიას ვარჯიშის შემდეგ.**

— გუნდის თამაშითაც და შედეგითაც ამჟამად კმაყოფილი ვარ, მაგრამ ხვალისთვის ეს დონე საკმარისი არ იქნება. მიზნის მისაღწევად თამაშის ხარისხმა უნდა მოიმატოს, ისე არაფერი გამოვა. მით უმეტეს, რომ ბიჭებს ეს შეუძლიათ. ჩემპიონატის დასაწყისში მათ შეთამაშება აკლდათ, რადგან ერთად ახალი შეკრებილები იყვნენ. როგორც რუსთავში პირველი მატჩის შემდეგ პრესაშიც აღნიშნეს, ჩვენი ფიზიკური მომზადების დონეც სუსტი იყო, რაც თამაშის ბოლოს აშკარად გამოჩნდა. ბათუმში კი უკანასკნელი 20-25 წუთში სწორედ უკეთესი მომზადების ხარჯზე ვაჯობეთ მასპინძლებს. გოლიც მაშინ გავიდა.

თითქოს ვარჯიშის დამთავრებას ელოდაო, უცბად მოიღრუბლა, მთელი ღამე გადაუღებლად წვიმდა. დილით „ახტალაში“ ამბავი ამოიტანეს, სტადიონზე მუხლამდე წყალი დგასო. იქ ვარჯიშზე ფიქრიც ზედმეტია. ამიტომ სასწრაფოდ გამოინახა სათადარიგო ვარიანტი — იქვე, ათიოდე კილომეტრზე სოფელ ვეჯინის მოედანი. ვარჯიში ხუთ საათზეა დანიშნული, მანამდე კი ბიჭები მარიაჟათი და დომინოთი კლავენ დროს. შეჯიბრება ოლიმპიური სისტემით ტარდება — წაგებული წყვილი რიგში მდგომთ უთმობს ადგილს. ნეფარიძე — გუჯაბიძის დუეტი დილიდან „მაგრად ზის“ — ვერავინ შეძლო მათი დამარცხება. თამაში მხიარულად მიმდინარეობს, თუმცა ყველას თავში მაინც ხვალინდელი მატჩი უტრიალებს. იქვე გვერდით კორლალიძე გაზეთებშია ჩაფლული.

— **ოთარ, წელსაც აპირებ ბომბარდირობას?**

— ბომბარდირობას არა, რამაზ შენგელიას სახელობის ასიანთა კლუბში კი ნამდვილად შევალ.

— **რამდენი გოლი დაგრჩა გასატანი?**

— ცხრამეტი.

იმ ფეხბურთელისთვის, რომელმაც შარშან 40 ბურთის გატანა შეძლო, 19 გოლი დარწმუნებული ვართ, დიდ სირთულეს არ წარმოადგენს.

მეორე სართულზე დიმა ექიმის ნომერში მოწყობილ „სამედიცინო ცენტრს“ პაციენტი არ აკლია. ზოგს კუნთი აქვს დაჭიმული, ზოგს მენისკისა ეშინია, ზოგსაც კიდევ რა აწუხებს. დიმიტრი ზაალიშვილიც ყველას სატკივარს

გულისყურით ეკიდება და ხან კომპრესის დადება უწევს, ხანაც აბების გამოწერა, სხივების დანიშვნა და ათასი სხვა რამ.

— სამწუხაროდ, „მოკლე სკამი“ გვაქვს — მეუბნება მასაჟისტი ანზორ გაბიტაშვილი. — თანდათან ამინდი გაფუჭდება, გადაღლაც იჩენს თავს და ალბათ, ტრამვებიც გახშირდება. ძალიან გაგვიჭირდება, რადგან აქ აღდგენითი ცენტრი არ არის და გამოჯანმრთელების შემდეგ ბიჭების მწყობრში ჩაყენება გაჭიანურდება.

ნელ-ნელა ვარჯიშის დროც მოვიდა. ვეჯინის სტადიონი სწორედ რომ სულზე მისწრება გამოდგა. საოცარია, მაგრამ მოედანს ისეთი ბუნებრივი დრენაჟი ჰქონია, რომ აუარება ინდაურისგან უხვად განოყიერებული მინდორი მხოლოდ ოდნავაა ტენიანი. მოთელვის შემდეგ ბიჭებმა ბურთები მოიმარჯვეს და ხან გია ჭუნიაშვილს, ხანაც თემურ ჩლაიძის კარების „დაბომბვას“ შეუდგნენ. გენა სანადირაძე და ლევან ნადარეიშვილი კი ერთხელაც არ გაკარებიან ბურთს — ძუნძულით ურბენდნენ მოედანს გარშემო. ორთავეს ტრამვა აწუხებს და მათი მონაწილეობა ხვალინდელ მატჩში სათუოა.

საათნახევრიანი ვარჯიშის ბოლოს „ბებრებისა“ და „ახალგაზრდების“ თამაშში ისეთი ფიცხელი ბრძოლა გაჩაღდა, რომ „მატჩის“ არბიტრს ოთარ გაბელიას რამდენჯერმე მოუხდა მოთამაშეთა დაშოშმინება. რადგან დათქმული დრო ფრედ დამთავრდა, თამაში პირველ გოლამდე გაგრძელდა. უკვე კარგა გვარიანად ჩამობნელებული იყო, როცა „ბებრებიდან“ ერთ-ერთმა ყველაზე ენერგიულმა დათო ცომაიამ გამარჯვების გოლის გატანა მოახერხა.

ღამე თითქოს ცა ჩამოიქცაო. გაბელია დილიდან უხასიათოდ იყო — მალი-მალ ფანჯარაში იყურებოდა. საუზმემ უფრო გაუფუჭა გუნება. „ახტალას“ სასადილოს ხელმძღვანელობამ თავი ვერ მოაბა თხუთმეტი კაცის თეფშებითა და კოვზებით უზრუნველყოფას და ბიჭებიც ჩანგლის ტარით მორეული ჩაითა და ერთმანეთისგან ნათხოვნი თეფშებით გავიდნენ იოლად.

თამაშამდე ჯერ დიდი დროა და მეც „ალაზნის“ პრეზიდენტთან მიხეილ ფურცელაძესთან ინტერვიუს ჩავუჯექი. მიშა 27 წლის სიმპათიური ახალგაზრდაა, ფეხბურთზე და თავის ფეხბურთელებში უზომოდ შეყვარებული კაცი. ამავე დროს მრავალდარგოვანი ფირმა „მირანდას“ პრეზიდენტიცაა. ცოლშვილიანია, მაგრამ ისეთ ძნელ საქმეშია ჩაბმული, რომ ძალაუნებურად ოჯახს ყურადღება მოაკლდა.

**— თავად თუ თამაშობდი ფეხბურთს?**

— ბავშვობაში, თავდამსხმელი ვიყავი. თხუთმეტი წლის წინ ჩვენმა გუნდმა გურჯაანის „კავკასიონმა“ ტყავის ბურთის რესპუბლიკურ გათამაშებაში გაიმარჯვა. ისე, რომ იცოდე, ეს ჩემი პირველი ინტერვიუა. [illegible] ერთხელ მთხოვეს, მაგრამ [illegible] ვუთხარი. გუნდში ახალი მოსული ვიყავი და ჯერ ყველაფერში კარგად არ ვიყავი გარკვეული. ეხლა რაც გინდა მკითხე და გიპასუხებ.

**— სწორედ მაგით მინდოდა დამეწყო, „ალაზანში“ როგორ მოხვედი?**

— შარშან პირველი წრის ბოლოს თითქმის მთელი გუნდი ყოფილა თხოვნით პრეფექტის



„ალაზნის“ პრეზიდენტი მიხეილ ფურცელაძე.



გუნდის მთავარი მწვრთნელი ოთარ გაბელია.



სანატორიუმი „ახტალა“ — აქ დაბინავდა „ალაზანი“.



ვეჯინში სავარჯიშოდ მისულ ალაზნელებს ასე მოუხდათ მოულოდნელი კონკურენტებისგან მინდვრის განთავისუფლება.

მოადგილესთან იოსებ მექერიშვილთან ამ საკითხზე. როცა შემომთავაზეს, ცოტა კი ვყოყმანობდი, მაგრამ ბოლოს ფეხბურთის სიყვარულმა თავისი გაიტანა. ფეხბურთში სამსახური მირჩევნია სხვაგან ყოფნას. იმ სიტუაციაში მთავარი ამოცანა იყო უმაღლეს ჯგუფში ადგილის შენარჩუნება და უკვე მერე გუნდის ისე დაკომპლექტება, რომ ძალა ჰქონოდა საპრიზო ადგილისთვის საბრძოლველად. ოთხი თვე ფეხბურთელებს ხელფასი და პრემია არ მიეღოთ. ეს საკითხი მალე მოვაგვარე, მერე ხელფასებიც მოვუმატეთ.

**— შარშანდელი შემადგენლობიდან ვინ დარჩა?**

მეშვეობით შეიკრიბა ძირითადი ბირთვი.

**— რამდენადაც ვიცი, მოთამაშეთა მატერიალური ანაზღაურების საქმე კარგად გაქვთ.**

— ყოველი ფეხბურთელის ხელფასი 5000 მანეთია. გამარჯვებისთვის საკუთარ მოედანზე იღებენ 5000 მანეთს, სტუმრად — 10000-ს. გარდა ამისა, ყოველ მათგანს ჩამოსვლისას საჩუქრად მივეცით ფული და „ნოლშვიდი“ „ჟიგულები“. უამისოდ წარმოუდგენელი იყო ამ ფეხბურთელების გურჯაანში წამოყვანა და ნორმალური გუნდის შექმნა.

**— გვერდში თუ გიდგას ვინმე?**

— ძალიან კარგი იქნებოდა,



ვარჯიშის მომენტი. ცენტრში: ვასილ სეფაშვილი, ბესიკ ფრიდონაშვილი, ოთარ კორღალიძე, გია ჭუნიაშვილი, მერაბ თევზაძე და ექიმი დიმიტრი



მეხანძრეების რაზმი არ გეგონოთ, ეს გურჯაანის „ალაზანია“. რამდენიმე საათში ბიჭები მოედანზე გავლენ და მეტოქეს დაამარცხებენ, მანამდე კი ევგენი სანადირაძე, ზურაბ ფოფხაძე, მერაბ თევზაძე და ვანო იაკობაშვილი დომინოს თამაშით იქცევენ თავს.

— გია ჭუნიაშვილი, ევგენი სანადირაძე და ვანო იაკობაშვილი.

**— ახლებიდან პირველად ვინ მოიწვიე?**

— ძალიან მინდოდა გუნდში მყოლოდა დათო ყიზილაშვილი. სახლში ველაპარაკე და თანხმობაც მომცა. მაშინ „ოდიშიდან“ წამოსული იყო და არსად თამაშობდა. სწორედ იმ დროს თბილისის „შევარდენის“ ახალმა მწვრთნელმა მურთაზ ხურცილავამ ახალი გუნდი შექმნა და დათოს რამდენიმე ამხანაგიც მიიწვია. ამან გადაწყვიტა საბოლოოდ საკითხი. დათომ მომიბოდიშა, გურჯაანში ერთ წელს მაინც სიამოვნებით ვითამაშებდი, მაგრამ „შევარდენში“ მივდივარო. მერე მერაბ თევზაძეს და დათო უგრელიძეს ველაპარაკე და მათი

რომ ვისაც შეუძლია, სიტყვით კი არა, საქმით იყოს ჩვენთან. არადა, გუნდისთვის ჯერ არავის მანეთი არ ჩაურიცხავს. თუკი ვინმე კაცურად გვერდში დაგვიდგება და დაგვეხმარება, მაგას რა ჯობია. რაიონში ხომ საკმაოდაა ძლიერი ორგანიზაციები — ღვინის ქარხნები, კოოპერატივები, ფირმები. ოქტომბრის პირველ რიცხვებში ვაპირებთ რაიონის ხელმძღვანელობასთან და საზოგადოებრიობასთან შეხვედრას. ეს ორმხრივი კონტაქტისთვის აუცილებელია და თან ბევრი საკითხის მოგვარებაში დაგვეხმარება. ისე პრობლემას რა გამოლევს. მოედანიც მისახედია, დრენაჟის საკითხია მოსაგვარებელი. გარდა ამისა, პირველი წრის მერე კიდევ ორი-სამი ფეხბურთელის

მონწევეას ვაპირებთ. ენახოთ.

ჩვენს საუბარში გამოიდარა. მართალია, მზემაც გამოაჭყიტა, მაგრამ მინდორს ვერაფრით უშველა. სტადიონზე მისულებს კოჭებამდე წყალი დაგვხვდა. ტრიბუნებზე თვალში მოგხვდებათ სხვადასხვა ქარხნისა თუ ფირმა — კოოპერატივის რეკლამები. ექვსი დავთვალე. თითოეული ოდნავ მაინც რომ მხარში ამოუდგეს „ალაზანს", დარწმუნებული ვართ, შედეგიც უკეთესი იქნება და პრეზიდენტის განწყობილებაც.

რაც შეეხება მატჩს გორის „დილასთან", უკვე მეოთხე წუთზე როინ მარლიშვილი გურჯაანელ მცველებს გაექცა და გახსნა ანგარიში. ოცი წუთის მერე დათო ნევარიძემ აღადგინა წონასწორობა, შეხვედრის დამთავრებამდე ოცი წუთით ადრე კი დომინოს თამაშში მისმა მეწყვილემ გოჩა გუჯაბიძემ გამარჯვების გოლი გაიტანა.

მატჩის მერე კი ბიჭებმა ეს მოგებაც დაივიწყეს და ერთდღიანი დასვენების შემდეგ ფოთის „კოლხეთთან" თასზე თამაშისათვის მზადებას შეუდგნენ.

**გია ახალაძე**
**„გოლის" სპეციალური კორესპონდენტი.**

(ავტორის ფოტოები)



მალე თამაში დაიწყება.

„ალაზანი" — „დილა" 2:1. გუჯაბიძეს გააქვს გადამწყვეტი გოლი სტუმართა კარში.







KEPES SPORT

# დონჟუანების დინასტიიდან აკერს-სტალამდე

# GO FOR GOAL

## და გინეკოლოგიური პრობლემების ნუ შეგეშინდებათ

წლეულს, ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატისა და ბარსელონის ოლიმპიური თამაშების დროს ტელეეკრანებიდან იმდენი გვიმტკიცეს, ქვეყნად შოკოლად Mars-ზე და Snickers-ზე უკეთესი არაფერიაო, რომ, თუმცა გემო არ გამისინჯავს, ნათქვამის სისწორეში ეჭვი არ მეპარება. ამ ტკბილეულის მწარმოებელი ფირმის M&M's-ის ძლევამოსილებაში კი კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, როდესაც შევიტყვე, რომ იგი სხვა ლონისძიებებთან ერთად 1991 წლის ნოემბერში ჩინეთში გამართული ფეხბურთელ ქალთა პირველი ოფიციალური მსოფლიოს ჩემპიონატის სპონსორიც გახლდათ. ჟიულ რიმესა თუ ფიფა-ს თასის მსგავსად, ქალთა მთავარ პრიზს M&M's-ის თასი ჰქვია. წარმოდგენილი მაქვს თუ რა ცივად გადაფურცლავს ამ გვერდს ის მკითხველი, რომელიც ქალთა ფეხბურთს აგდებულად უყურებს და მაინც თუ ამ სტრიქონამდე მოაღწიეთ, ბარემ ნუ შეწყვეტთ კითხვას, გაეცანით ქალთა ფეხბურთის ისტორიის ზოგიერთ ფურცელს, დღევანდელობას, განვითარების ტენდენციებს, რადგან თუ ასე გაგრძელდა ადვილი შესაძლებელია თქვენმა გოგონამ დღეს დედოფალათი რომ თამაშობს, მალე ფული მოგთხოვოთ ბუცების შესაძენად.



გია ახალაძე

მაშ ასე, შარშან გაიმართა პირველი ოფიციალური მსოფლიო ჩემპიონატი, რომელშიც შესარჩევ ტურნირებში გამარჯვებულმა თორმეტმა გუნდმა მიიღო მონაწილეობა, მაგრამ ამ ტურნირამდე... „ბრიტიშ ლედი ფუტბოლ კლაბის“ წევრებმა ჯერ კიდევ 1895 წელს გამართეს პირველი მატჩი. ამას მოყვა ინგლისსა და საფრანგეთში ქალთა გუნდების ჩამოყალიბება, თუმცა მაშინ ამ წამოწყებამ განვითარება ვერ ჰპოვა. ქალთა ფეხბურთი კვლავ აღორძინდა სამოციან წლებში — ეს ევროპელთა აზრია. ჩინური წყაროები კი აი რას გვეუბნებიან: ჰენანის პროვინცია კონგშანში იპოვნეს ჩვენი წელთაღრიცხვის 25-220 წლებიდან შემორჩენილი დონგჰანების დინასტიის ფრესკები, სადაც ქალთა ფეხბურთია გამოსახული. 610-917 და 960-1297 წლებში, ტანგების და სონგების დინასტიათა დროს ქალთა ფეხბურთი ინდივიდუალური სპორტიდან გუნდურ თამაშად იქცა. 1644 წელს ქუინგის დინასტიამ იგი აკრძალა და მხოლოდ 1920-იან წლებში მოხდა მისი რეანიმაცია, როდესაც გოგონებისთვის ფეხბურთის სწავლება სკოლებში დაიწყეს. საიდუმლოებებით მოცული, ეგზოტიკური ჩინეთიდან კვლავ ევროპას დავუბრუნდეთ. 1966 წლის ინგლისის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ (ბუნებრივია ვაჟთა ჩემპიონატს ვგულისხმობ), „ძველი სამყაროს“ ბევრ ქვეყანაში დაიწყო ქალთა ფეხბურთის კავშირებისა და ასოციაციების შექმნა. გაიმართა საერთაშორისო მატჩები. 1970 წელს კი იტალიელთა თაოსნობით შედგა პირველი არაოფიციალური მსოფლიოს ჩემპიონატი. შვიდი ქვეყნის რვა გუნდს შორის (გფრ-ს ორი გუნდი ჰყავდა) უძლიერესი დანიის „ფემინა ოფ კოპენჰაგენი“ გამოდგა. ორი წლის შემდეგ, მექსიკაში დანიელებმა წარმატება გაიმეორეს. ამ პერიოდში ქალთა ფეხბურთით ინტერესდება ფიფა. 1973 წელს ამ ორგანიზაციაში ყალიბდება ქალთა ფეხბურთის კომიტეტი, იმართება პირველი ოფიციალური საერთაშორისო შეხვედრები. სუსტი სქესის ფეხბურთის აჩრდილი სხვადასხვა კონტინენტზე იწყებს სიარულს. 1984 წელს ტარდება ევროპის პირველი ჩემპიონატი, რომელშიც შვედეთის გუნდი იმარჯვებს, 1987 წელს პირველობას არავის უთმობენ ნორვეგიელები, 1989 და 1991 წლებში კი უძლიერესია გერმანიის ნაკრები. საერთაშორისო პირველობების პარალელურად რიგ ქვეყნებში ფეხს იკიდებს ეროვნული ჩემპიონატები. მაგალითად, შვედეთში პირველი ეროვნული ჩემპიონატი 1973 წელს ჩატარდა. დღეს ამ ქვეყნის პირველ დივიზიონში 12 გუნდი გამოდის, მეორე დივიზიონის ორ ჯგუფში 12-12, მესამე დივიზიონი კი ათ ჯგუფად არის დაყოფილი და თითოეულში 10 გუნდი ასპარეზობს. თუკი 1970 წელს 725 შვედი ქალი თამაშობდა ფეხბურთს, დღეს ამ „უხეშ“ სპორტს 33000 მანდილოსანი მისდევს და კიდევ 40000 „ბაფთიანი“ გოგონა ფეხბურთელის კარიერისთვის ემზადება. უნებურად მებადება კითხვა, ნუთუ ეს ერი გამრავლებას აღარ აპირებს? სხვათაშორის შვედ ქალებს შორის უფრო მეტი ფეხბურთელია, ვიდრე მათ ქმრებს, ბოიფრენდებს და ძმებს შორის ჰოკეისტი. მარტო შვედეთში არ არის ასე საქმე. დღეისათვის იტალიაში 10000 მოთამაშეა, დანიაში — 35000, გერმანიაში კი, არც მეტი, არც ნაკლები — 521029...

... საქართველოში 150-200 გოგონა თამაშობს ფეხბურთს. დღევანდელ ვითარებაში მათი რიცხვის უფრო ზუსტი დასახელება ძნელია, რადგან ზოგ რაიონში არავის ეფეხბურთება (მითუმეტეს არ ექალთაფეხბურთება), თან ბევრი „წვრილ-წვრილი“ გუნდი იქმნება და იშლება. მოკლედ, გზის დასაწყისში ვართ. ნამდვილად რომ არსებობს, ასეთი ექვსი გუნდია. ესენია: თბილისის „მეტეხი“, „თამაშობენ ყვავილები“, III სამედიცინო სასწავლებლის გუნდი, ჭიათურის „იმერეთი“, ბაღდათის „საირმე“ და ქუთაისის „იმერეთი“. მათ მოღვაწეობას აკონტროლებს და კოორდინაციას უწევს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საგანგებო განყოფილება, რომელსაც სათავეში ბატონი ილია მჭედლიშვილი უდგას. ბატონი ილიას სიტყვებით, ფეხბურთის ბევრი ქართველი სპეციალისტი ამ საქმეს სკეპტიკურად უყურებს, მაგრამ თავად განყოფილების წევრები საპირისპირო აზრისა არიან. პირველი ოფიციალური ეროვნული ჩემპიონატი ფედერაციამ 1990 წელს ჩაატარა. მასში მონაწილეობის მისაღებად განაცხადი თავიდან ექვსმა გუნდმა შეიტანა, მაგრამ ოთხმა ითამაშა. გთავაზობთ საბოლოო ცხრილს.

| | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| III სამედიცინო | 6 | 0 | 0 | 28-11 | 18 |
| „იმერეთი“ (ჭიათურა) | 4 | 0 | 2 | 11-14 | 12 |
| „ივერია“ (თბილისი) | 2 | 0 | 4 | 12-14 | 6 |
| „საირმე“ | 0 | 0 | 6 | 4-16 | 0 |

ალბათ შეამჩნევდით, რომ ცხრილში მესამე ადგილზე მყოფი „ივერია“ დღეს არსებულ გუნდებს შორის არ ჩამოგვითვლია. საქმე ის გახლავთ, რომ ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ, მის და ნაწილობრივ ჩემპიონის ბაზაზე დაარსდა გუნდი „მეტეხი“, რომელმაც ჰოლანდიის ქალაქ ვესტზაანის საერთაშორისო ტურნირში მიიღო მონაწილეობა და მსოფლიოს ოცამდე ძლიერ კლუბთან პაექრობაში მეორე ადგილზე გავიდა. რაკი სიტყვა საერთაშორისო მატჩებზე ჩამოვარდა, ვიტყვი, რომ „თამაშობენ ყვავილები“ წლეულს, თებერვალში თურქეთში გახლდათ და ორიდან ორი თამაში მოიგო, ხოლო იგივე „თამაშობენ ყვავილები“ და ჭიათურის „იმერეთი“ მოსკოვის მესამე საერთაშორისო ტურნირზე უნდა გამგზავრებულიყვნენ, მაგრამ ტურნირი გადაიდო.

პრობლემები: არეული დრო, სპორტული ინვენტარის უკმარისობა, სპონსორების სიმცირე. არის გამონაკლისიც — ჭიათურელი რევაზ ხაჭაპურიძე. მან გადაწყვიტა გახდეს სპონსორი და სერიოზული ყურადღება მიაქციოს თავის ქალაქში ქალთა ფეხბურთის განვითარებას.

აპირებენ თუ არა ქართველები ქალთა ნაკრების ჩამოყალიბებას?

ბატონმა ილია მჭედლიშვილმა ბრძანა, რომ აპირებენ და ოფიციალურ საერთაშორისო ტურნირებშიც ჩაებმებიან. სფფ-ს პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა და ვიცე პრეზიდენტმა ალექსანდრე ჩივაძემ ციურიხიდან ჩამოიტანეს მასალები ქალთა ფეხბურთის შესახებ. ეს მასალები გადაეცა (ისინი გვათხოვეს ჩვენც, რისთვისაც სფფ-ს მადლობელი ვართ) „თამაშობენ ყვავილების“ მწვრთნელს ბორის დუდაურს გასაცნობად და დასამუშავებლად. ბორის დუდაური მომავალი ნაკრების ერთ-ერთი ხელმძღვანელი იქნება.

... ჩინეთი 1991. გუანგდონგის პროვინცია, რომელიც საფეხბურთო რეპორტაჟების ენით ქვეყნის მარჯვენა დაბალ კუთხეში მდებარეობს. 16-30 ნოემბერი. ქალთა პირველი ოფიციალური მსოფლიოს ჩემპიონატი — M&M's-ის თასის გათამაშება. ფიფა-ს პრეზიდენტის ჟოაო აველანჟის სიტყვებით: „ხუთ ქალაქში გუნდებს ჰქონდათ იდეალური პირობები და ღირსეული, შემართებული გულშემატკივარი ჰყავდათ. ჩემთვის განსაკუთრებული სიამოვნება იყო მეცქირა, თუ როგორი ჟინით და ელეგანტურობით თამაშობდნენ ახალგაზრდა ქალბატონები და მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ჟურნალისტის თვალწინ როგორ აქციეს თამაში ზეიმად“.

ნუთუ მართლა ზეიმია ქალთა ფეხბურთი თუ პრეზიდენტის ეს გამონათქვამი მხოლოდ და მხოლოდ დიპლომატიის ნიმუშია?

ფიფა-ს ქალთა ფეხბურთის კომიტეტის თავმჯდომარე პოლ ჰილდგაარდი: „ქალებს შეუძლიათ აჩვენონ, რომ მათ სიამოვნებთ თამაში, მათ შეუძლიათ წაგებული შეხვედრის შემდეგ იტირონ, მაგრამ საკმაოდ სწრაფადაც დაივიწყონ გულისტკენა. ისინი გამარჯვებისადმი დიდი ლტოლვით და საკუთარი თავის მიმართ მომთხოვნელობით გამოირჩევიან. განსხვავება ჩინეთი-91 და იტალია-90-ს შორის არის ის, რომ ქალებს გამარჯვება სურთ, ვაჟებს კი არ სურთ დამარცხება“.

ახლა ჩემპიონატის შემდეგ გამოცემულ ჟურნალ-ბიულეტენში ჩავიხედოთ. ბუნებრივია, სტატიაში ვერ მოვიტან ყველაფერს, რაც ამ საკმაოდ სქელტანიან და ბრწყინვალედ ილუსტრირებულ ერთჯერად გამოცემაში წერია, მაგრამ რასაც ახლა წაიკითხავთ, მიგანიშნებთ იმაზე, თუ რა სერიოზულობით უდგებიან უცხოელი ჟურნალისტები და სპეციალისტები სუსტი სქესის ფეხბურთით გატაცებას. ჩემის მხრივ ვუსურვებდი საკუთარ თავს და, თუ არ მიწყენენ, მთელ ქართულ საფეხბურთო პრესას, რომ ჩვენი ჯერ-ჯერობით ძირითადი თემა, ვაჟთა ფეხბურთი, რეგულარულად ამ დონეზე გაგვეშუქებინოს.

ბიულეტენის ავტორთა აზრით, ჩემპიონატში მონაწილე მოთამაშეთა ტაქტიკურ-ტექნიკური მონაცემები ასე შეიძლება შეფასდეს:

**მეკარეები.** ისინი სანიმუშო



გეტის არქივი

1895 წელი. „ბრიტიშ ლედი ფუტბოლ კლაბის“ წევრები პირველ ნაბიჯებს დგამენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოსტატობით არ გამოირჩეოდნენ. მიუხედავად ამისა მათი შესაძლებლობანი აშკარად არ არის ამონწურული. ჩინეთის, აშშ-ს, ნორვეგიის, შვედეთის, დანიის და ბრაზილიის გუნდებს საგანგებო სპეციალისტების მიერ მომზადებული მეკარეები ჰყავდათ. უცნაურია, რომ გერმანელთა კარის დარაჯს ასეთი წვრთნა არ გაუვლია და მაინც საერთო ფონზე ურიგო შთაბეჭდილება არ დატოვა.



CHINA '91

ფეხბურთი სამ სართულზე. ამერიკელი ლინდა ჰემილტონი იაპონელთა წინააღმდეგ.

**მცველები.** გუნდების უმეტესობა თამაშობდა ერთი, ძალიან უკან დაწეული თავისუფალი მცველით, რომელიც მაშინაც, როდესაც ბურთს მისი პარტნიორები ფლობდნენ, 15-20 მეტრით სხვებზე უკან იდგა და მოწინააღმდეგის ნახევარზე არ გადადიოდა. ლიბეროს წინ, როგორც წესი, სამი მცველი თამაშობდა. ორ-ორი მცველი ჰყავდათ გერმანელებს და იტალიელებს. სიტუაციიდან გამომდინარე ხან სამი, ხან ორი მცველით გამოდიოდა ჩინეთის ნაკრები. ზონურ დაცვას ყველა ხარვეზებით თამაშობდა, იშვიათად პერსონალურადაც მეურვეობდნენ თავდამსხმელებს.

**ნახევარმცველები.** მეტოქეებს უპირატესად 3-4, ხანდახან 5 ნახევარმცველი ჰყავდათ. ხშირად შეხვედრის ხასიათი ძლიერ იცვლებოდა, შუა რგოლის ტაქტიკის ძირითადი ინტერპრეტაციები კი ერთფეროვანი იყო. დაცვასა და ნახევარდაცვას შორის იქმნებოდა დიდი „ნაპრალი", რაც მოწინააღმდეგის თავდასხმას რიცხობრივი უპირატესობის გამოყენების მშვენიერ პირობას უქმნიდა. ტექნიკური გუნდები მოკლე პასებით თამაშობდნენ. შეტევის განვითარებას ყველა ნაკრები კოლექტიური თამაშით ცდილობდა ანუ გამოკვეთილი გამთამაშებელი არავის ჰყავდა.

**თავდამსხმელები.** შეტევის ხაზი ყველა მონაწილის უძლიერესი მხარე იყო. იყვნენ სწრაფი და ტექნიკური ფორვარდები, რომელთა დევიზი იყო Go for goal, ანუ „მიდი გაიტანე". (ეს ინგლისური გამოთქმა გოლის გატანის ჟინის გარდა ამ შემთხვევაში თითქოს ერთგვარ უკანმოუხედაობას თუ თავქუდმოგლეჯილობასაც გამოხატავს). ზოგიერთი თავდამსხმელი, განსაკუთრებით კი ამერიკელი მიშელ აკერსტალი და შვედი ჰელენ იოჰანსონი კარში შესანიშნავად ურტყამდნენ. საინტერესოა, რომ 26 თამაშში 99 გოლი გავიდა. ეს ციფრი ზემოთთქმულს ადასტურებს, მაგრამ იგი მეტყველებს იმაზეც, რომ გუნდების კლასში დიდი სხვაობა იყო. რატომ აღმოჩნდა თავდასხმა ყველა ნაკრების საუკეთესო რგოლი? — სვამენ კითხვას ჩემპიონატის ანალიტიკოსები და თავად პასუხობენ. ამას აქვს სამი მიზეზი: მწვრთნელებმა ეფექტის მოხდენის მიზნით შეტევაზე განსაკუთრებული აქცენტი გააკეთეს, სუსტი იყო დაცვა და მისი კავშირი ნახევარდაცვასთან, ზოგი მეკარე აშკარად ვერ ართმევდა თავს ამოცანას. გამოაქვთ რა საბოლოო დასკვნა, ბიულეტენის ავტორები ჩინეთი 91-ის მონაწილე ქვეყნებს სამ ჯგუფად ყოფენ. მათი აზრით, იმ ქვეყნებში, სადაც რეგულარულად ტარდება ეროვნული ჩემპიონატები, ნაკრების მომზადება მოკლე საწვრთნელი შეკრებების გამართვითაც შესაძლებელია. ქვეყნებში, სადაც ეროვნული ჩემპიონატები ხანდახან ტარდება, ნაკრების ხელმძღვანელებს მეტი გარჯა ჭირდებათ, მათ უხდებათ ხანგრძლივი შეკრებების მოწვევა, ფეხბურთელებისთვის ინდივიდუალური საწვრთნელი პროგრამების შემუშავება და სხვა. იმ ქვეყნებში კი, სადაც ფეხბურთის ფედერაციები თუ ასოციაციები ქალთა ფეხბურთს ფაქტობრივად აინუნში არ აგდებენ, არა თუ ნაკრების მომზადება, ჩემპიონატზე გასამგზავრებელი თანხის შეკრებაც კი გაძნელდა.

უმჯობესია ტურნირის სერიოზული გარჩევა აქ შევწყვიტოთ. არა იმიტომ, რომ ქალთა ფეხბურთზე სერიოზული საუბარი არ ეგების, უბრალოდ მეშინია ზომიერების გრძნობამ არ მიმტყუნოს. ჯერ-ჯერობით ხომ უმრავლესობასაც, ერთი ფეხბურთელი ვაჟისა არ იყოს, ქალთა ფეხბურთში მხოლოდ მატჩის შემდეგ მაისურების გაცვლის პროცესი მოსწონს. და მაინც, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ კიდევ ერთ სერიოზულ სპეციალისტს, პროფესორ ჩესტმირ ნაპრავნიკს, რომელიც ჩემპიონატს სამედიცინო კუთხით აშუქებს. საინტერესოა, როგორ მოქმედებს მანდილოსნებზე საფეხბურთო დატვირთვა?! ბატონი ნაპრავნიკი ბრძანებს, რომ ქალთა და ვაჟთა ფიზიკური ამტანობის შესადარებლად უნდა გავითვალისწინოთ სქესებს შორის არსებული ანატომიური და ფიზიოლოგიური განსხვავება. ჩინეთის ჩემპიონატზე ჩატარებულმა გამოკვლევებმა დაადასტურა, რომ ქალები სხვაგვარად დარბიან ვიდრე კაცები. მათ კუნთის ძალა გაცილებით მცირე აქვთ, სახსრები უფრო სუსტი, ხოლო სირბილი ნაკლებად ეკონომიური. ტურნირის განმავლობაში გუნდებს 13 ექიმი, 13 ფსიქოთერაპევტი და 1 მზარეული ემსახურებოდა. ექიმებს შორის 8 ორთოპედი იყო, 1 გინეკოლოგი.

სასაათო ზოლის ცვლილებამ და ჩინურმა კლიმატმა პრობლემები საერთოდ არ წარმოშვა. შეჯიბრების დროს იყო მშრალი ამინდი. ტემპერატურა 18-20 გრადუსი. გუნდები მოათავსეს საუკეთესო სასტუმროებში. კვება — დღეში სამჯერ ჩინური კერძები. საკვების მიმართ პრეტენზია მხოლოდ ორმა გუნდმა გამოთქვა, რომელთაც დაიჩივლეს, რომ კერძები ერთგვაროვანი იყო და ისინი ცივად მოჰქონდათ. იტალიის გუნდმა კი თავისი საკვები პასტები თავად ჩამოიტანა და გემრიელად შეექცეოდა. რაც შეეხება ტრავმებს, ჩემპიონატზე სერიოზულად არავინ დაშავებულა, იყო სამი ნახევრად სერიოზული ტრავმა. ბოლოს პროფესორი მადლობას უხდის ყველა გუნდის ექიმს, მოთამაშეთა სქესის ზუსტად დადგენაში ხელის შეწყობისთვის. მოგვყავს ყველაზე ტიპიური ტრავმების სია:

| დიაგნოზი | რაოდენობა | გაცდენილი დღეების ჯამი |
|---|---|---|
| ღრძობა | 11 | 76 |
| კონტუზია | 9 | 17 |
| კუნთის გაწყვეტა | 5 | 18 |
| საჭმლის მონელების დარღვევა | 3 | 4 |
| სიცხიანი დაავადება | 1 | 2 |
| ქრონიკული დაავად. | 2 | 2 |
| გინეკოლოგიური პრობლემები | — | — |

ჩინეთი 91-ის მიმოხილვა დავასრულოთ ქალთა დისციპლინაზე

## პირველი მსოფლიოს ჩემპიონატი ქალთა შორის
### ჩინეთი, 16-30.11.1991

| | |
|---|---|
| ჩინეთი — ნორვეგია | 4:0 |
| დანია — ახალი ზელანდია | 3:0 |
| ნორვეგია — ახალი ზელანდია | 4:0 |
| ჩინეთი — დანია | 2:2 |
| ჩინეთი — ახალი ზელანდია | 4:1 |
| ნორვეგია — დანია | 2:1 |

A ჯგუფი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ჩინეთი | 2 | 1 | 0 | 10-3 | 5 |
| ნორვეგია | 2 | 0 | 1 | 6-5 | 4 |
| დანია | 1 | 1 | 1 | 6-4 | 3 |
| ახალი ზელანდია | 0 | 0 | 3 | 1-11 | 0 |

| | |
|---|---|
| ბრაზილია — იაპონია | 1:0 |
| აშშ — შვედეთი | 3:2 |
| შვედეთი — იაპონია | 8:0 |
| აშშ — ბრაზილია | 5:0 |
| აშშ — იაპონია | 3:0 |
| შვედეთი — ბრაზილია | 2:0 |

B ჯგუფი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აშშ | 3 | 0 | 0 | 11-2 | 6 |
| შვედეთი | 2 | 0 | 1 | 12-3 | 4 |
| ბრაზილია | 1 | 0 | 2 | 1-7 | 2 |
| იაპონია | 0 | 0 | 3 | 0-12 | 0 |

| | |
|---|---|
| გერმანია — ნიგერია | 4:0 |
| იტალია — ტაივანი | 5:0 |
| იტალია — ნიგერია | 1:0 |
| გერმანია — ტაივანი | 3:0 |
| ტაივანი — ნიგერია | 2:0 |
| გერმანია — იტალია | 2:0 |

C ჯგუფი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 3 | 0 | 0 | 9-0 | 6 |
| იტალია | 2 | 0 | 1 | 6-2 | 4 |
| ტაივანი | 1 | 0 | 2 | 2-8 | 2 |
| ნიგერია | 0 | 0 | 3 | 0-7 | 0 |

მეოთხედფინალი

| | |
|---|---|
| შვედეთი — ჩინეთი | 1:0 |
| ნორვეგია — იტალია | 3:2 |
| გერმანია — დანია | 2:1 |
| აშშ — ტაივანი | 7:0 |

ნახევარფინალი

| | |
|---|---|
| ნორვეგია — შვედეთი | 4:1 |
| აშშ — გერმანია | 5:2 |

მესამე ადგილისთვის

| | |
|---|---|
| შვედეთი — გერმანია | 4:0 |

ფინალი

| | |
|---|---|
| აშშ — ნორვეგია | 2:1 |






ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელმა კერინ ჯენინგსმა ექვსჯერ აიღო მეტოქეთა კარი და სამი საგოლე გადაცემა შეასრულა.

საუბრით. ჩემპიონატზე არ ყოფილა ტკივილის სიმულაცია. თამაშები საშუალოდ 52 წუთს გრძელდებოდა, რაც ფაქტობრივად ვაჟთა დროის ტოლია, ამას დავუმატოთ მხოლოდ 32 ყვითელი და ერთადერთი წითელი ბარათი და დავინახავთ, რომ მოთამაშეები და მსაჯები მშვენიერად შეწყობიან ერთმანეთს. სხვათა შორის ჩინეთში წარმატებით დასრულდა თანამსაჯებად ქალთა დანიშვნის ექსპერიმენტი, ხოლო მესამე ადგილისთვის გამართულ შეხვედრაში შვედეთსა და გერმანიას შორის ფიფა-ს ისტორიაში პირველად მთავარი მსაჯი იყო ქალი, ბრაზილიელი კლაუდია დე ვასკონსელოსი.

ამასთან დაკავშირებით, მსაჯთა კომიტეტის თავმჯდომარეს შოტლანდიელ დევიდ უილის სიფრთხილე გამოუჩენია. იმის თქმა, რომ მსაჯი ქალები მომავალში ვაჟთა შეხვედრების გაძღოლას შეძლებენ, ჯერ ძალიან ადრეაო — უბრძანებია მას.

მადლობა ღმერთს!

**გაგაცნობთ ჩემპიონატის სტატისტიკურ მონაცემებს:**

**ბომბარდირები: აკერს-სტალი (აშშ) — 10, მორი (გერმანია) — 7, ჯენინგსი (აშშ) და მიდალენი (ნორვეგია) — 6, ვიდეკული (შვედეთი) — 5.**

**გოლი და საგოლე პასი: აკერს-სტალი (აშშ) — 10+1, ჯენინგსი (აშშ) — 6+3, მორი (გერმანია) — 7+0... მეცხრე ადგილზეა იოჰანსონი (შვედეთი) — 0+4.**

**ჩემპიონატზე გატანილი 99 გოლიდან თავდამსხმელებმა გაიტანეს — 58, ნახევარმცველებმა — 30, მცველებმა — 9, ავტოგოლი — 2. საშუალო შედეგიანობა — 3,81 გოლი.**

**ტურნირის მსვლელობისას ნორვეგიის და დანიის ნაკრებებმა ჩაატარეს 100-ე საერთაშორისო მატჩები. ნორვეგიელმა გან ნიბორგმა ითამაშა ასივე შეხვედრაში.**

**ჩემპიონატის გახსნის ცერემონიალს დაესწრო 60000 მაყურებელი. ფინალს — 55000**

**ჩემპიონატს აშუქებდა 100 ტელეხადგური.**

**ტურნირის ლაურეატები:**

**„ოქროს ბურთი" (საუკეთესო ფეხბურთელი) — კერინ ჯენინგსი (აშშ).**

**„ოქროს ბუცი" (საუკეთესო ბომბარდირი) — მიშელ აკერს-სტალი (აშშ).**

... ქალთა ფეხბურთი ეპიდემიასავით ედება ქვეყნებს. რა არის ეს, ემანსიპაციის შემადგენელი ნაწილი? ამბობენ, ამერიკელ გოლეადორს მიშელ აკერს-სტალს სიამოვნებს კიდეც, როდესაც ეუბნებიან, კაციეით დარბიხარო. სახელგანთქმული მიშელ იდალგო თურმე კარგა ხანია ფეხბურთში სქესთა თანასწორობის მომხრეა. ნუთუ საფრანგეთშიც, ქვეყანაში სადაც ოდითგან ტრაბახობენ ღვინისა და ქალების უზადო მცოდნენი ვართო, ქალთა ფეხბურთს დიდი მხარდაჭერა აქვს? ვერ გეტყვით დღეს რა ხდება, მაგრამ ამ ხუთი წლის წინ ლურჯ-თეთრ-წითლების ნაკრების ლიდერი იზაბელ მიუსე „იუმანიტეს" კორესპონდენტს შესჩიოდა, ჩვენ სერიოზულად მაინც არ აღგვიქვამენ, სულ სხვაა შვედეთსა და გერმანიაში, სადაც ქალთა შეჯიბრებები ათეულობით ათას გულშემატკივარს იზიდავსო. და მაინც იზაბელი იმედიანად იყო: „მჯერა, რომ საფრანგეთში მდგომარეობა მალე შეიცვლება. ჩვენი ფეხბურთი ვაჟებისას არაფრით ჩამოუვარდება" — ამბობდა ის.

ბავშვობაში ჩვენს ეზოში ბიჭებთან ერთად ერთი გოგონაც თამაშობდა. მას ძლიერი დარტყმა ჰქონდა და ამიტომ „არჩევანი-არადანის" დროს ყველა ცდილობდა ის თავის გუნდში აეყვანა. დღეს ის გოგონა მშვენიერი ახალგაზრდა ქალია და ვინმეს რომ უთხრა, ბავშვობაში მეკარეები ეხვეწებოდნენ მთელი ძალით ნუ დაგვირტყამო, გაეცინება. იზაბელ მიუსესაც ეზოში დაუწყია თამაში, ოღონდ ჩემი მეზობლისგან განსხვავებით გაჰყოლია კიდეც ფეხბურთს.

— დაკვირვებიხართ როგორ იქცევა ბიჭუნა როდესაც ბურთს ხედავს? — კითხულობს იზაბელი — იგი მას აუცილებლად ფეხს წაკრავს. გოგონა? ის აუცილებლად დაიხრება და ბურთს ხელში აიღებს. ფეხბურთის თამაში საშუალებას იძლევა ეს ფსიქოლოგიური განსხვავება წაიშალოს.

ღმერთო ჩემო, იზაბელ, მე მესმის რომ შენ პარიზში ხარ, მე კი თბილისში, არც ქართული იცი და შესაბამისად არც ჩვენი ჟურნალის კითხვით დაითხრი თვალებს, მაგრამ ნება დამრთე ერთი შეკითხვა დაგისვა:

რა საჭიროა ამ ფსიქოლოგიური სხვაობის წაშლა?

— ფეხბურთს როგორც წესი დაბალი სოციალური წრის ოჯახებიდან გამოსული გოგონები თამაშობენ — განაგრძობს ფრანგი თავდამსხმელი — ისინი უფრო დემოკრატიულნი არიან.

ალბათ ეს მართლაც ასეა. ვერ წარმომიდგენია პრინცესა დაიანამ




ამერიკელი მიშელ აკერს-სტალი, რომელსაც ტურნირის საუკეთესო ბომბარდირისთვის დაწესებული „ოქროს ბუცი" გადაეცა, ოთხი ბრაზილიელის გარემოცვაში




პირველი მსოფლიოს ჩემპიონი ქალთა შორის ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები ასეთი ტაქტიკური სქემით თამაშობდა.



CHINA '91

ბრაზილიელი კლაუდია დე ვასკონსელოსი პირველი ქალია, ვინც ფიფას ეგიდით ჩატარებულ ოფიციალურ მატჩში იმსაჯა.



CHINA '91

პენალტების დარტყმა დაიწყოს. დემოკრატიაზე კი ვერაფერს ვიტყვი და იზაბელთან კამათსაც ამით დავამთავრებ.

ქალთა ფეხბურთი, ქალთა ფეხ... ეს ცალკე თემაა. სტატიის ავტორის შეხედულება ამ საკითხზე ალბათ ყველასთვის ნათელია, საინტერესოა თავად ფეხბურთელი ქალები რას იტყვიან?!

ივონა ზენკეევიჩ-კრული პოლონელია. მას რამდენიმე წლის წინ ნიჭიერ თავდამსხმელად მიიჩნევდნენ. იგი ბავშვობიდან გულშემატკივარი იყო, სისტემატურად დადიოდა სტადიონზე (ვაჟთა ფეხბურთის სანახავად), ხოლო როცა შეიტყო, რომ მის ქალაქში, ეროცლავში ქალთა გუნდიც არსებობდა, ჩაეწერა. ცოტა ხანში იგი ბომბარდირი გახდა. ყველაფერი მოსწონს ივონას ფეხბურთში? არა, მას არ უყვარს უხეში მოწინააღმდეგე, ასეთები კი არიან, ისინი მეტოქეს პირდაპირ ფეხებში ურტყამენ. ფეხები — აი, მთავარი პრობლემა. ყველა ქალს უნდა ლამაზი ფეხები ჰქონდეს, ივონამ კი რამდენიმე წლის ვარჯიშის შემდეგ შეამჩნია, რომ მისი ფეხები სხვაგვარად გამოიყურებოდნენ და ამოიძახა:

— თუ მე მალე ფეხბურთს თავს დავანებებ, სწორედ ფეხების გამო.

იმედი მაქვს, ივონა შეელია ფეხბურთს...

**ილია ბაბუნაშვილი**




### ევროპის ჩემპიონატების ყველა პრიზიორი

| | I | II | III | IV |
|---|---|---|---|---|
| 1984 | შვედეთი | ინგლისი | III-IV არ გათამაშდა | |
| 1987 | ნორვეგია | შვედეთი | III-IV არ გათამაშდა | |
| 1989 | გერმანია | ნორვეგია | შვედეთი | იტალია |
| 1991 | გერმანია | ნორვეგია | დანია | იტალია |

ციურიხში ჩატარდა ქალთა ევროპის V ჩემპიონატის მეოთხედფინალის კენჭისყრა. მეტოქეები ასე დაწყვილდნენ: ნორვეგია — პოლანდია, სნგ — გერმანია, შვეცია — დანია, იტალია — ინგლისი. ნახევარფინალებში ერთმანეთს შეხვდებიან პირველ და მესამე, აგრეთვე მეორე და მეოთხე წყვილებში გამარჯვებულები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დავით ცომაია: სექტემბერში ნორმალურად ვითამაშე




**დათო ცომაიასთან შეხვედრა ძნელი აღმოჩნდა. 25 წლის თბილისელი ფეხბურთელი გურჯაანის „ალაზანში" თამაშობს, ჩემპიონატის კალენდარი მას ამოუსუნთქავად დააქროლებს მთელს საქართველოში, ასე რომ თუ კაცს მისი ნახვა გინდა კეთილი ინებე და სადმე გზაზე ჩაუსაფრდი. თითქმის მთელი რედაქცია კვირაზე მეტ ხანს ვიყავით „ჩასაფრებული", მაგრამ ამაოდ. მოგეხსენებათ ჟურნალის გამოცემას თავისი ვადა აქვს და ფოტოკორესპონდენტ გია ახალაძეს ბოლო წუთს ტროლეიბუსიდან რომ არ დაენახა ქუჩაში მიმავალი ცომაია, სექტემბრის თვის საუკეთესო ფეხბურთელთან შეხვედრა შესაძლოა ვერ შემდგარიყო.**

— ბავშვობაში ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლაში დავდიოდი. ჩემი პირველი მწვრთნელი იყო ბიჭიკო ბოჭორაძე. შემდეგ კი სკოლის ფაქტობრივად ყველა პედაგოგმა მიიღო ჩემს ფეხბურთელად აღზრდაში მონაწილეობა. სკოლის შემდეგ ფიზკულტურის ინსტიტუტში გავაგრძელე სწავლა და ინსტიტუტის გუნდში ვთამაშობდი. იმ პერიოდში შოთა ჭეიშვილის ხელმძღვანელობით 1967 წელს დაბადებულ ფეხბურთელთა ნაკრები ჩამოყალიბდა, სადაც მეც მიმიწვიეს. იმ ნაკრებმა რომელშიც თამაშობდნენ გია ჯიშკარიანი, ფანცულაია, რევიშვილი, მიქაშავიძე, თარბა, ჩიხრაძე და სხვები, სევასტოპოლში საკავშირო ტურნირზე მეორე ადგილი მოიპოვა, მე კი ნოდარ ახალკაცმა „დინამოში" მიმიწვია. ეს იყო 1985 წელს. „დინამოში" მხოლოდ რვა თვის განმავლობაში ვითამაშე. წელის ტკივილის გამო გუნდის დატოვება, მომიხდა. უკვე ფეხბურთისთვის თავის დანებება მქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ რეზო ძოძუაშვილმა, რომელიც მაშინ ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდს ედგა სათავეში, თითქმის ძალით დამაწყებინა ვარჯიში. მან ყოველმხრივ შემიწყო ხელი, რისთვისაც მუდამ მისი მადლიერი ვიქნები. 87-ის შუა სეზონში ალიოშა კოტრიკაძემ ლანჩხუთის „გურიაში" მიმიწვია, სადაც 91-ის ეროვნული საგაზაფხულო პირველობის ბოლომდე ვითამაშე. შემდეგი ჩემპიონატი კვლავ თბილისის „დინამოში" (მაშინ „იბერია" ერქვა) დავიწყე და კვლავ ცოტა ხანი დავყავი ამ გუნდში. იმის გამო, რომ კლუბთან კონტრაქტი არ მქონდა გაფორმებული, საშუალება მომეცა ჩემი ძალები ფინეთში მომესინჯა. თავიდან ქალაქ ტამპერეს „ილვესში" მივედი, რომელმაც ჩემი თავი იმავე ქალაქის TKT-ს ათხოვა. უკმაყოფილომ გავწყვიტე კონტრაქტი და საქართველოში დავბრუნდი, სადაც ყველაზე კარგი პირობები გურჯაანის „ალაზანმა" შემომთავაზა...

**— უფრო კონკრეტულად, რამ გამოიწვია შენი უკმაყოფილება ფინეთში?**

— ფინეთში მე, ტყებუჩავა და კაჭარავა ჩავედით, როგორც კერძო პირები. ეს საქმე ერთმა ესტონელმა შუამავალმა მოგვიწყო. კაჭარავა უკან დაბრუნდა, მე და ტყებუჩავა დავრჩით. რეკლამა ჩვენ არ გვქონდა, თან იქ ყოფილი სსრკ-დან ჩასულებს უყურებენ, როგორც იაფფასიან ფეხბურთელებს. „ილვესში" თამაშს იმ იმედით დავთანხმდი, რომ ისინი სხვა გუნდს მიმყიდდნენ, მაგრამ ფინეთში დიდ თანხას არავინ იხდის. შემდეგ ჩემი თავი TKT-ს ათხოვეს. არსებობის კვალობაზე ნორმალურად ვიყავი, მაგრამ დარჩენა რომ მომდომებოდა, საამისო პირობები ნამდვილად არ იყო. ამასთან შევიტყვე, რომ ადგილობრივი, სუსტი ფეხბურთელები სხვადასხვა გუნდებში გაცილებით მეტ გასამრჯელოს იღებდნენ. ამან თავმოყვარეობაზე იმოქმედა. დამავიწყდა მეთქვა, რომ კაჭარავას წასვლის შემდეგ ტამპერეში ნეფარიძე ჩამოვიდა (იგი სხვა ფირმამ ჩამოიყვანა), რომელიც იმ დროისთვის აგრეთვე უკან ბრუნდებოდა და იქ დარჩენა უკვე გასაძლებადაც ძნელი ხდებოდა. მივედი კლუბის პრეზიდენტთან და კონტრაქტის შეწყვეტა ვთხოვე, მან გამიგო და გამომიშვა.

**— ნუთუ ტამპერეში ევროპის რომელიმე სხვა ქვეყნის გუნდი ვერ შეგამჩნევდა?**

— ფინეთი ჩიხივით არის. საქართველოდან უფრო შეიძლება კარგ გუნდში წასვლა ვიდრე იქიდან. გარდა ამისა ცივი ქვეყანაა, ცივი ხალხია. არც იცინიან, არც ტირიან. ისე, ცხოვრების დონის მხრივ პრობლემა არა აქვთ.

**— საკუთრივ ფინურ ფეხ-**



ვარჯიშის დროს.



— ჩვენ ყველა ის მიზანი გვაქვს რაც ნებისმიერ ძლიერ გუნდს. კონკრეტულად კი არავინ „გვახრჩობს“, გინდა თუ არა, ესა და ეს პრიზი მოიპოვეთო.

**— თქვენს გუნდს დღეს ოთარ გაბელია უდგას სათავეში. მასთან, როგორც მწვრთნელთან შენ ადრე არ გიმუშავია...**

— გაბელიასთან ცხოვრებაში მეგობრული ურთიერთობა მაქვს. საქმეში ის მწვრთნელია, მე — ფეხბურთელი.

**— რაკი სიტყვა ეროვნულ ჩემპიონატზე ჩამოვარდა, იქნებ საერთოდ ქართულ ფეხბურთზე გამოგვეთქვა შენი აზრი?**

— ნებისმიერ ქვეყანას (არ ვგულისხმობ სომხეთს, აზერბაიჯანს და მსგავსთ) ძლიერ ჩამოვრჩებით ტაქტიკურ და ფიზიკურ მომზადებაში. იმავდროულად კარგი ბუნებრივი მონაცემები და ბევრთან შედარებით საგრძნობლად მაღალი ინდივიდუალური ოსტატობა გვაქვს. ამის ხარჯზე ჯერჯერობით კიდევ გავუწევთ წინააღმდეგობას სხვა ქვეყნების გუნდებს, მაგრამ რაც დრო გავა უფრო და უფრო გაგვიჭირდება. ალბათ ბევრს ეწყინება მაგრამ უნდა ითქვას, საქართველოში ნებისმიერი მწვრთნელი თვითდაჯერებულია და ჰგონია, რომ ფეხბურთი იცის. სასწრაფოდ თუ არ გაიგზავნენ ახალგაზრდები საზღვარგარეთ სასწავლებლად და რუსეთიდან ან უკრაინიდან (დასავლეთელი სპეციალისტებისთვის ალბათ სახსრები არ გვეყოფა) ათი-თხუთმეტი მწვრთნელი თუ არ მოიწვიეს სხვადასხვა გუნდებში სამუშაოდ, მალე სასტიკად ჩამოვრჩებით. იგივე რუსები და უკრაინელები სწორი მომზადების და ტაქტიკის წყალობით საშუალო ფეხბურთელებისგან დაკომპლექტებული გუნდებით გარკვეულ წარმატებებს აღწევენ. მათ რომ ჩვენი ფეხბურთელები მისცე დიდ გამარჯვებებს მოიპოვებენ. ჩვენ ის ხალხი არა ვართ, ალბანეთთან ან კვიპროსთან გამარჯვებისგან სიხარულით ცას რომ ვეწიოთ, მაგრამ თუ მე ვცდები და ჩვენი მოთხოვნილება მართლა ასე დაეცა, მაშინ არ არის სრულყოფა საჭირო. მაგ წარმატებას ასე თუ ისე ნიჭის მეშვეობით ალბათ მომავალშიც მივაღწევთ.

**— კვიპროსზე გამახსენდა, მე მგონი ჩვენი მოთამაშეების ამ და მსგავსი საფეხბურთო დონის ქვეყნებში მასობრივი გასვლა სულაც არ უწყობს ხელს მათი კლასის ამაღლებას.**

— აქ მატერიალური მხარე თამაშობს დიდ როლს. საკითხს ამ კუთხით თუ შევხედავთ, ფეხბურთელს ველარ გავამტყუნებთ, თორემ ქეცბაია და სხვა ბიჭები უფრო დიდ გუნდებში თამაშის ღირსნი რომ არიან, ეს ცხადია. ისევ მინდა გავიმეორო: თუ ჩვენს ფეხბურთში ტაქტიკური და ფიზიკური მომზადება თანამედროვე საფეხურზე არ ავიდა, ქართველ ფეხბურთელებს სულ ასე სამადლოდ გვექნება საქმე.

**— ნებისმიერი ქვეყნის ეროვნული ფეხბურთის სახე ალბათ პირველ რიგში ნაკრებია. შენ დღევანდელი, ნორაკიძისეული ნაკრების უცვლელი წევრი ხარ. რას იტყოდი გუნდის ბოლო თამაშებზე?**

— კაუნასში, ლიტველების წინააღმდეგ ყველა თვალსაზრისით გამართულად ვითამაშეთ, ამიტომ ჩვენი დამარცხება ალოგიკური იყო. აზერბაიჯანის ნაკრებთან კი დიდი ანგარიშით გავიმარჯვეთ და თან დავხარჯეთ ზუსტად იმდენი ენერგია,რამდენიც ამ ამოცანის დასაძლევად იყო საჭირო. ამ


ლანჩხუთის „გურიის“ მაისურით.

**ბურთზე რას იტყვი?**

— დაპროგრამებულ ფეხბურთს თამაშობენ. რასაც მწვრთნელი ეტყვის, ფეხბურთელები მთელი სულით და გულით ცდილობენ იმის შესრულებას და მორჩა, მეტი არაფერი. წარმოიდგინე რუსული, უფრო სწორედ ინგლისური ფეხბურთი განუზომლად უფრო ცუდი შესრულებით.

**— თბილისელი კაცი ახლა მაინც დაბრუნებულიყავი შენი ქალაქის რომელიმე გუნდში. ხან ლანჩხუთში თამაშობ, ხან გურჯაანში. არ იღლები წინ და უკან მგზავრობით?**

— ასეთია ფეხბურთელის ცხოვრება. პროფესიონალს სადაც უკეთეს პირობებს სთავაზობენ იქ მიდის. „ალაზნის“ პრეზიდენტმა მიშა ფურცელაძემ ისეთი პირობები შექმნა, რომ „გურიის“ ფეხბურთელები თითქმის ყველანი მის გუნდში გადავიდნენ. იგი ერთადერთი კაცია გურჯაანში ფეხბურთს რომ მეცენატობს. თუ მას ეყოფა ენთუზიაზმი და ფინანსები საქმის ბოლომდე მისაყვანად, კახეთში ერთი კარგი, პროფესიული კლუბი მუდმივად იქნება. ასეა ყველგან, კლუბს პატრონი მფარველობს, მაგრამ დღევანდელ პირობებში მას სხვა ვინმეც რომ წამოეშველოს ურიგო არ იქნება.

**— ფაქტობრივად ყოფილი „გურია“ დღეს „ალაზანია“. იგრძნობა რაიმე განსხვავება?**

— „გურია“ უფრო დიდი ტრადიციების გუნდია და ალბათ კლასითაც უფრო მაღალი იყო, თუმცა „ალაზანიც“ ერთ-ერთი საუკეთესოა საქართველოში.

**— ამ პირველობაზე „ალაზანს“ რა აქვს დაგეგმილი?**

მატჩში ჩვენი მაქსიმუმი არ გვიჩვენებია. საერთოდ კი თუ კონტაქტები გაფართოვდება და ნაკრების დონეზე რეგულარულად გვექნება შეხვედრები, ერთ-ორ წელიწადში სხვაზე ნაკლებად არ ვითამაშებთ.

**— თანაც, მე მგონი, გიგა ნორაკიძე სწორედ აქტიური, თანამედროვე ფეხბურთის თამაშს გთხოვთ.**

— ნორაკიძის ყველაზე მეტად ის მომწონს, რომ მიუხედავად თავისი დიდი გამოცდილებისა, ყველას აზრს ეკითხება, ცდილობს იპოვნოს გუნდის ხელწერა. ის შემოქმედი კაცია, მაგრამ ჩვენი ნაკრების თამაშში ჯერ კიდევ ბევრი რამ არის დასახვეწი.

**— დათო, შენ საუბრობ სწორ, თანამედროვე ფეხბურთზე, თანაც ბევრი გუნდი გაქვს გამოცვლილი, რომელს გამოყოფდი?**

— ყველაზე გამართულ ფეხბურთს „გურია" თამაშობდა და ეს მთლიანად მიხეილ ფომენკოს დამსახურება იყო. ჩვენ ამ ადამიანისგან გავიგეთ, თუ რას ნიშნავს ფეხბურთის სწორად თამაში. ფომენკო რომ არა, მე დღესაც არ მეცოდინებოდა თანამედროვე ფეხბურთის ყადრი. მისი გუნდიდან წასვლის შემდეგ გია იმნაძემ შეინარჩუნა ფომენკოსეული სტილი, შეეცადა მისგან ყველაფერი საუკეთესო გადმოეღო და კარგადაც გააგრძელა საქმე.

**— წელს შედგა თანამედროვე ფეხბურთის დიდი „დათვალიერება" — ევროპის ჩემპიონატი. გაგვიზიარე შენი შთაბეჭდილება.**

— მე გერმანიის გულშემატკივარი ვარ, მაგრამ დანიის ნაკრებმა ყველაფერი ჩააქოვა იმ ორ კვირაში და ღირსეულად გაიმარჯვა. მე მგონი, ამ ჩემპიონატზე თანამედროვე ფეხბურთი სრული სპექტრით წარმოჩინდა. არ ვეთანხმები იმ აზრს, თითქოს დღეს ვარსკვლავები აღარ იყვნენ. ახლა ფეხბურთში დომინირებს კოლექტიური თამაში. მოედანზე თასმების შეკვრის და თავის მოსაწონებლად ბურთის თრევის დრო წავიდა. დღევანდელი ვარსკვლავი უბრალოდ და სრულყოფილად ასრულებს თავის საქმეს.

**— ვინ არის ვარსკვლავი?**

— მათეუსი, სტოიჩკოვი. მარადონაზე აღარაფერს ვამბობ, ის ცალკეა. მართალია ამ ფეხბურთელებს ევროპის ჩემპიონატზე არ უთამაშიათ, მაგრამ მე ჩემს ფავორიტებს ვასახელებ.

**— იცი, როდესაც ვარსკვლავების ნაკლებობაზე ლაპარაკობენ, მგონი, სწორედ მარადონასებური ლამაზი ფეხბურთის მოთამაშეთა სიმცირეს გულისხმობენ.**

— მაშინ შევადაროთ ერთმანეთს 1982 წლის და 1986 წლის მარადონა. პირველ შემთხვევაში იგი ინდივიდუალისტია, გუნდზე ნაკლებად ფიქრობს, მეორე შემთხვევაში კი ყველაფერში მონაწილეობს, პასს არ აგვიანებს, მოწინააღმდეგეს მხოლოდ მოტყუების გულისთვის არ ატყუებს და თუ დრიბლინგს მიმართავს, ესე იგი იმ შემთხვევაში დრიბლინგი ყველაზე სწორი გაგრძელებაა.

**— დღეს ქართულ გუნდებში ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელია. თუკი საქმე ნორმალურად აეწყო, შესძლებს რომელიმე მათგანი მსოფლიო კლასის ფეხბურთის თამაშს?**

— ალბათ შეიძლება ათამდე



გვარის დასახელება. არველაძეები, ყაველაშვილი, ყიზილაშვილი, გუჯაბიძე, ნეფარიძე, შელია, ნემსაძე. დიდ ფეხბურთს ითამაშებს გიორგი ქინქლაძე, თუ თამაშის შემქმნელის თვისებებთან ერთად სხვა კომპონენტებსაც დახვეწს.

**— ქინქლაძეს მართლაც შესანიშნავი მონაცემები აქვს, მაგრამ „ცალფეხაა". აგერ უკვე ორი წელიწადია რაც იგი უმაღლეს ჯგუფში თამაშობს, მაგრამ ეს ნაკლი ნაკლად რჩება.**

— ცალფეხაც არის და ცალფეხაც. თუ კაცი ერთი ფეხით მარცხნიდანაც ატყუებს მოწინააღმდეგეს და მარჯვნიდანაც, მარცხნივაც აწვდის პასს და მარჯვნივაც, მაშინ მასზე აუგი აღარ ითქმის. ცალფეხობა მაშინ არის ნაკლი, როდესაც ფეხბურთელი მეორე, მისთვის უხერხულ მხარეს ველარ აგრძელებს თამაშს. მაგალითისთვის შორს ნუ წავალთ, მარადონა ცაციაა...

**— დათო, შენზე მსმენია, რომ საკუთარი თავის მიმართ მომთხოვნი ხარ, კარგად იცნობ საკუთარ ორგანიზმს. წნევას, პულსს, წონას რეგულარულად ამოწმებ?**

— წნევას არ ვაკონტროლებ, პულსს მეტ-ნაკლებად, წონას კი ვაქცევ ყურადღებას. მე მართლაც ვიცნობ საკუთარ ორგანიზმს და სამედიცინო აპარატურის გარეშეც ვგრძნობ, როდის დასვენება მჭირდება და როდის დატვირთვა. ზოგი დიდი დატვირთვის შემდეგ უფრო იღლება და ველარ თამაშობს, მე პირიქით ვარ, რაც უფრო მეტად ვიტვირთები, მით უფრო უკეთეს ფორმაში ვარ.

**— ალბათ თამაშის დღეს და წინა დღეს საგანგებო რეჟიმს იცავ.**

— ცხადია ამ დღეებში ვცდილობ რაც შეიძლება მეტი დავისვენო (ბუნებრივია არა ვარჯიშის ხარჯზე), მაქსიმალურად თავს ვარიდებ გართობას, თუნდაც უბრალოდ ბანქოს თამაშს, რათა ემოციური მარაგი მატჩისთვის შემოვინახო.

**— ზოგი მეტოქე ავტორიტეტულია, ზოგი ტრადიციულად უხერხული, ზოგიც სუსტი. ალბათ შესაბამისი წინასწარი განწყობა გექმნება ხოლმე...**

— ვცდილობ, რომ ყველა გუნდის წინააღმდეგ ერთნაირად განვეწყო. ფეხბურთი ისეთი რამ არის, სულ მზად თუ არ ხარ დაგსჯის. თუნდაც მეტოქე სუსტი იყოს, თუ საბრძოლოდ არ განეწყვე, წააგებ, რამაც შეიძლება კიდევ რამდენიმე შეხვედრაზე იმოქმედოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**— ლიტვაში საქართველოს ნაკრებს ცუდად დახვდნენ. ხომ არ იყო ეს ფაქტი დამატებითი გამღიზიანებელი და საერთოდ უცხო კედლები როგორ მოქმედებენ შენზე?**

— რომელიმე ქალაქში ცუდად რომ დაგვხვდებიან, ეს ორგანიზატორთა ბრალია და ამის გამო ქალაქზე ან მის გუნდზე სულაც არ ვბოროტდები. თამაში თამაშია, მას მიღება-გასტუმრებასთან კავშირი არა აქვს. არც მაყურებელი მოქმედებს ჩემზე. რაც უნდათ ის იყვირონ, როგორც უნდათ ისე გაამხნევონ თავიანთი გუნდი.

**— გიყვარს მოგზაურობა? უცხო ქალაქში სათამაშოდ ჩასული თუ ცდილობ დაათვალიერო იქაურობა, ან ვთქვათ, სადმე ბარში შეხვიდე?**

— მოგზაურობას მიჩვეული ვარ. საერთოდ ვფიქრობ, რომ რასაც მოასწრებს ადამიანი ყველაფერი უნდა ნახოს, ოღონდ ამ ყველაფერს თავისი დრო აქვს. რაც ფეხბურთს ხელს არ შეუშლის — კარგია. სმის მოყვარული მე არ ვარ, მაგრამ თუ საშუალებაა ბარშიც შევდივარ, ლამაზ ქალიშვილსაც გამოველაპარაკები. საერთოდ არ მესმის, რატომ სტეხენ ჩვენში ერთ ამბავს, თუ ფეხბურთელი განმუხტვის მიზნით სადმე გასართობად წავა. ალბათ ეს ისევ იმ მწვრთნელების მოგონილია, რომლებიც თავიანთი გუნდის დამარცხებას სხვა ვერაფრით რომ ვერ ხსნიან, ყველაფერს კაფეს და ბარს აბრალებენ. აწყობილ გუნდში ყველა თავის საქმეს უნდა აკეთებდეს, თავის თავზე პასუხს უნდა აგებდეს. იქ სადაც მწვრთნელიც და ფეხბურთელიც პროფესიონალია, მსგავსი საკითხი საერთოდ არ დგას.

**— უცოლშვილო რომ ხარ უკვე მივხვდი. სხვას რას გვეტყვი, სადაური ხარ, რა გიყვარს?**

— თბილისელი ვარ. წარმოშობით, მამის მხრივ — აბაშიდან, დედის მხრივ — ხობიდან. მოკლედ ყოველმხრივ მეგრელი ვარ. როცა დროს ვიხელთებ, ჩავდივარ ხოლმე ნათესავებთან, მაგრამ რაც დრო გადის ამას სამწუხაროდ უფრო და უფრო იშვიათად ვახერხებ. თავისუფალ დროს მეგობრებთან ვარ, მათ წრეში ვისვენებ.

**— შვებულების გატარება სად გიყვარს?**

— საერთოდ დასვენებას წინასწარ არ ვგეგმავ. ისე, ძირითადად მაინც თბილისში მიწევს ყოფნა. იშვიათად ვახერხებ სადმე წასვლას.

**— ხშირად გაქვს წუთები, როდესაც ფეხბურთზე საერთოდ**



მატჩის წინა დღეს დავით ცომაიას გუნდის ექიმის დიმიტრი ზაალიშვილის დახმარება დასჭირდა...

ყველაფერი ალბათ ჩვენი საერთო მდგომარეობის ბრალია. რაც სხვა დარგებში ხდება, იგივე ხდება ჟურნალისტიკაშიც.

**— უმაყურებლობას ძლიერ განიცდი?**

— მაყურებლის სიმცირე, რა თქმა უნდა, მოქმედებს. სასიამოვნოა როცა ტრიბუნები სავსეა.

**— დათო, ჩვენმა ჟურნალმა შენ სექტემბრის საუკეთესო ფეხბურთელად დაგასახელა. შენთვის რომ გვეკითხა, რუბრიკის ლაურეატად ვის შემოგვთავაზებდი?**

— ბევრია ღირსი. კონკრეტულად ვერავის გამოვყოფ.

**— თავად როგორ აფასებ სექტემბერში საკუთარ თამაშს?**

— მე ინდივიდუალური ეფექტის მოსახდენად არ ვთამაშობ, ჩემთვის მთავარი გუნდის ინტერესებია. „ალაზანი" ჯერჯერობით მცირე დანაკარგით მიდის, ასე რომ უკმაყოფილო არა ვარ. მე მგონი, ნორმალურად ვითამაშე, მაგრამ ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმი ალბათ მაინც არ გამომივლენია.

## ჟურნალ „გოლის" სექტემბრის სიმბოლური ნაკრები

მეკარე
დავით ჯანელიძე (მრეტები)
მცველები
კახა სიდამონიძე (მრეტები)
დიმიტრი კუდინოვი (დინამო)
დავით ცომაია (ალაზანი)
ნახევარმცველები
გიორგი ტყავაძე (მრეტები)
გიორგი დარასელია (ტორპედო)
გიორგი ქინქლაძე (დინამო)
მამუკა მანაგაძე (სამგურალი)
გიორგი კილასონია (გორდა)
თავდამსხმელები
შოთა არველაძე (დინამო)
მერაბ მეგრელაძე (სამგურალი)

**არ ფიქრობ?**

— ხანდახან არის ასეთი წუთებიც, მაგრამ ფეხბურთელი კაცი მაინც ყოველთვის ფეხბურთის ორბიტაზე ტრიალებ.

**— და ალბათ მომავალზე ფიქრობ. როგორ გგონია, სანამ შენ ფეხბურთს თავს დაანებებ, რა წარმატებების მიღწევა იქნება რეალურად შესაძლებელი?**

—ვთქვათ, შვიდი წლის მერე დავანებე თავი... შეიძლება, როგორ არა, ევროტურნირებზე შეიძლება წარმატების მიღწევა. ნაკრების დონეზეც. შეიძლება ბევრი სასიამოვნო რამ მოხდეს. უფრო ზუსტ პროგნოზს კი ახლა ნუ მომთხოვ.

**— დათო, პრესისადმი შენს დამოკიდებულებაზე მინდა გკითხო.**

— რა გითხრა, მე თვითონ არასდროს მიცდია ინიციატივა გამომეჩინა ჟურნალისტებთან ურთიერთობაში, არ ვცდილობ სხვადასხვა ხერხებით მივიპყრო მათი ყურადღება და ჩემზე რამე დავაწერინო. თუ ჩემით დაინტერესდებიან და შეკითხვას დამისვამენ, პასუხს არ დავამალდი.

**— საერთოდ, ქართულ პრესაში როგორ შუქდება ფეხბურთის ამბები?**

— ძალიან ცუდად. არ იწერება მატჩების გარჩევა, ტრიალებს ერთი და იგივე, ზოგადი ფრაზები. არც მაყურებელთა სტადიონზე მისაზიდად კეთდება რაიმე რეკლამა. ეს

**ესაუბრა**
**ილია ბაბუნაშვილი**
**გია ახალაძის ფოტოები**

ჟურნალ „გოლს" და ქართულ ფეხბურთს ვუსურვებ წარმატებას
დათო ცომაია



AJAX

# აწმყოც სწყალობს და მომავალიც მისია



„აიაქსის“ ლეგენდარული გუნდი. დგანან (მარცხნიდან): სის ვეივერი, ბობი ჰაარმსი (მეორე მწვრთნელი), ჯერი მიურენი, იოჰან ნეესკენსი, სიაკ სვარტი, ჰაინც სხილხერი, რუუდ კროლი, ბარი ჰულსჰოფი, ვიმ სუურბიერი, ბრამ ბრაამსი, სტეფან კოვაჩი (მთავარი მწვრთნელი), იოჰან კრუიფი. სხედან: ჯონი რეპი, არი ჰაანი, პიტ კაიზერი, არნოლდ მიურენი, ჰაინც სტუი, ჰენკ და ჰაანი (მასაჟისტი).

**ბულზე** ხელი დავიდოთ და ვთქვათ, რომელს უფრო კარგად ვიცნობთ — აიაქს ოილიდს, აიაქს ტელამონიდს თუ აიაქს ამსტერდამ ფუტბალ კლაბს? პასუხი ნათელია და მიუხედავად იმისა, რომ საფეხბურთო კლუბი აიაქსებში ყველაზე ცნობილია ეს წერილი სწორედ მას ეძღვნება.

... 1900 წლის 18 მარტს ამსტერდამის კალვერსტრაატზე მდებარე კაფე „ისტ ინდიაში“ საკმაოდ მაღალი საზოგადოების წარმომადგენლები შეიკრიბნენ, რათა ახალი საფეხბურთო კლუბი ჩამოეყალიბებინათ. ალბათ არცერთი კლუბის დაბადება არ მომხდარა ასეთ არისტოკრატიულ გარემოში. თავყრილობის ორგანიზატორებმა — ფლორის სტემპელმა, ჰან „პა“ დეიდმა და კარელ რისერმა სტუმრებს სპილოსძვლისფერი პერგამენტის მოსაწვევი ბარათები დაუგზავნეს. დილის ათს უკლდა თხუთმეტი წუთი, ყველა ადგილზე იყო. სამწუხაროდ, შეკრების ოქმი არ შემდგარა და შესაბამისად არც დაფიქსირებულა, თუ ვის ეკუთვნის წინადადება კლუბისთვის „აიაქსი“ დაერქვათ, მაგრამ ერთი ფაქტია: რომ არა ამსტერდამელთა ინიციატივა, ბერძნული მითოლოგიისა და ჰომეროსის „ილიადას“ გმირების სახელებს ბევრი არც გაიგებდა. „ილიადაში“ აიაქსის სახელით ორი პერსონაჟი გვხვდება — აიაქს ოილიდი და აიაქს ტელამონიდი. ორივე შესაშური გამძლეობითა და სიმამაცით ხასიათდება. თითქოს დაებედაო ახლადშექმნილ კლუბს „სეხნიების“ თვისებები! მართალია, არის ვერსია, რომ ბერძნული მითოლოგიის ეს ორი გმირი სინამდვილეში ერთი იყო, მაგრამ ამჯერად ეს ჩვენი ინტერესის საგანს არ წარმოადგენს, ამსტერდამის „აიაქსი“ რომ ერთადერთია და განუმეორებელი, ყველა დაგვეთანხმება.

1902 წლიდან „აიაქსი“ ქვეყნის ჩემპიონატის III ლიგაშია. 8 წელიწადი დასჭირდა კლუბს, რათა უძლიერესთა რიგებში შესულიყო. 1915 წელს „შუბოსანთა“ (ჰომეროსისეული გმირები შუბის უზადო ხმარებით იყვნენ განთქმულნი) ისტორიაში ღირსშესანიშნავი ფაქტი მოხდა: შვეიცარიის „სენტ გალენიდან“ გუნდში გადმოვიდა 38 წლის ინგლისელი მწვრთნელი ჯეკ რეინოლდსი, რომელმაც 50 (!) წლის განმავლობაში იმუშავა „აიაქსში“ სხვადასხვა თანამდებობაზე. იგი 88 წლის ასაკში გარდაიცვალა და მის სახელს კლუბის წევრები დღესაც დიდი პატივისცემით იხსენიებენ. უკვე რეინოლდსმა შეიტანა „აიაქსის“ თამაშში ის თვისებები, რომლებითაც დღე-



1971 წელი. ჩემპიონთა თასის ფინალი. „აიაქსი“ — „პანათინაიკოსი“ 2:0. პირველი გოლი ბერძნების კარში.



1972 წელი. ჩემპიონთა თასის ფინალი. „აიაქსი“ — „ინტერნაციონალე“ 2:0. ეს მატჩი ლეგენდარული იოჰან კრუიფის შეუდარებელი ტალანტის დემონსტრაციად იქცა. მან მთელი თამაში ბრწყინვალედ ჩაატარა და ორი გოლიც გაიტანა. კრუიფის მეორე გოლი იტალიელთა კარში.



1973 წელი. ჩემპიონთა თასის ფინალი. „აიაქსი“ — „იუვენტუსი“ 1:0. მატჩის მე-4 წუთი. ჯონი რეპს თავური დარტყმით გააქვს გოლი, რომელიც ერთადერთი აღმოჩნდა ამ მატჩში და „აიაქსს“ ჩემპიონთა თასზე მესამე გამარჯვება მოუტანა.

საც გამოირჩევა ეს კლუბი, უმთავრესად იმ დროისათვის უჩვეულო თამაშის ძალიან მაღალი ტემპი. შედეგმაც არ დააყოვნა: იმ წელს, როცა ბოლშევიკებმა რუსეთში გადატრიალება მოახდინეს, „აიაქსმა“ ქვეყნის თასი დაისაკუთრა. ეს პირველი წარმატება იყო. მომდევნო წელს თასს ჩემპიონის პირველი ტიტულიც მიემატა.

1930-იან წლებს „აიაქსის“ ისტორიაში პირველ „ოქროს ხანას“ უწოდებენ. ამ ათწლეულში გუნდი ხუთჯერ გახდა ჩემპიონი და რაც მთავარია, მის თამაშებზე ჰოლანდიაში ყველაზე დიდი აუდიტორია იკრიბებოდა.

ალბათ არცერთი კლუბი მსოფლიოში არ დაზარალებულა ისე მეორე მსოფლიო ომისგან, როგორც „აიაქსი“. 30-იან წლების გუნდში ფეხბურთელების უმრავლესობა ებრაელები იყვნენ და მას შემდეგ, რაც ვერმახტის ჯარები ნიდერლანდებში შევიდნენ, რასაკვირველია, მათ დატოვეს ქვეყანა. კარგი დღე არც დარჩენილ ფეხბურთელებს დაადგათ: თითქმის მთელი „აიაქსი“ სატუსაღოში აღმოჩნდა. თითქოს დიდი ხნით უნდა გამქრალიყო კლუბი ლიდერთა რიგებიდან, მაგრამ ომის დამთავრებისთანავე, 1946 წელს „აიაქსი“ აღსდგა და მომდევნო წელს მერვედ მოიპოვა ჩემპიონობა, თუმცა მომავალ წარმატებას მხოლოდ ათი წლის შემდეგ მიაღწია. ამ პერიოდში გამოირჩეოდა ცენტრალური მცველი კეეს ვან დერ ჰარტი (დ. 1928), რომელიც საფეხბურთო სამყაროსათვის პირველი აიაქსელი ვარსკვლავი გახლდათ. მან 44-ჯერ ითამაშა ჰოლანდიის ნაკრებში და ბოლოს ამსტერდამიდან საფრანგეთის „ლილში“ გადაინაცვლა. ეს იყო პირველი ამდაგვარი „ტრანსფერი“. მომავალში ეს ტრადიციად იქცა. 50-იან წლებში „აიაქსის“ სტადიონზე (რომელიც 1934 წელს აშენდა) მოსული მაყურებელი თვალს ადევნებდა კიდევ ერთ ცნობილ პიროვნებას. ეს იყო რინუს მიხელსი, რომელიც შემდგომში, როგორც მწვრთნელი, უდიდეს გადატრიალებას მოახდენს საერთოდ მსოფლიო ფეხბურთში. როგორც ფეხბურთელი, იგი დიდად არ გამოირჩეოდა, თუმცა ექვსჯერ ქვეყნის ნაკრების მაისურაც ეცვა.

1957 წელს შედგა ამსტერდამელთა დებიუტი ევროპულ ტურნირებზე. აღმოსავლეთ გერმანული „ვისმუტის“ დამარცხების შემდეგ ისინი ბუდაპეშტის „ვაშაშს“ შეხვდნენ და საშინელი მარცხი განიცადეს. კიდევ უფრო სამარცხვინო გამოდგა მეორე ცდა (1960-61), როცა საკუთარ მოედანზე ნორვეგიის „ფრედრიკსტადს“ ვერ აჯობეს. შემდეგ წელს უკვე „უიპეშტ დოჟამ“ მოაშორა „აიაქსი“ თასების თასის გათამაშებას. თითქოს შეეჩვია ძველი მეომრების შთამომავალი მისთვის უჩვეულო სიტუაციას, მაგრამ სწორედ ამ დროს, 1964 წლის დეკემბერში, გუნდს სათავეში ჩაუდგა მიხელსი, რომელსაც მალე „რკინის რინუსი“ შეარქვეს. გუნდში გაძლიერდა დისციპლინა, ვარჯიშები მეტად ინტენსიური გახდა, მაგრამ ყველაფერი ეს არ მოიტანდა ასეთ შედეგებს, რომ არა იმავე პერიოდში გუნდში 16 წლის იოჰან კრუიფის მოსვლა. ამ ფეხბურთელზე ტომებია დაწერილი და ახალს ვერაფერს დავამატებთ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

# AJAX

დაარსდა 1900 წლის 18 მარტს
სტადიონი „დე მეერი“ — (20 000)
მნიშვნელოვან თამაშებს ატარებს ოლიმპიურ სტადიონზე (63 000)
მისამართი: **Postbus 41885, 1098, AV Amsterdam**

| | |
|---|---|
| ჰოლანდიის ჩემპიონი: | 1918,19,31,32,34,37,39,47,57,60,66,67,68,70, 72,73,77,79,80,82,83,85,90 |
| მეორე პრიზიორი: | 1961,63,69,71,78,81,86,87,88,89,91,92 |
| მესამე პრიზიორი: | 1958,74,75,76,84 |
| თასის მფლობელი: | 1917,43,61,67,70,71,72,79,83,86,87 |
| ფინალისტი: | 1968,78,80,81 |

| | |
|---|---|
| ჩემპიონთა თასის მფლობელი: | 1971,72,73 |
| ფინალისტი: | 1969 |
| თასების თასი[illegible] მფლობელი: | 1987 |
| [illegible]ლისტი: | 1988 |
| უეფას თასის მფლობელი: | 1992 |
| სუპერთასის მფლობელი: | 1972,73 |
| საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი: | 1972 |


იოჰან კრუიფი

STADION

მაგრამ მაინც შეგახსენებთ მისი ბიოგრაფიის უმნიშვნელოვანეს მომენტებს. კრუიფი დაიბადა 1947 წლის 25 აპრილს. თორმეტი წლისამ მამა დაკარგა და დედამისი იძულებული გახდა შვილის გამოსაკვებად მუშაობა დაეწყო. ამ მიზნით (და „აიაქსის“, ჰოლანდიის ნაკრების და საერთოდ, მთელი გულშემატკივრებისთვის საბედნიეროდ) მან კლუბ „აიაქსს“ მიაკითხა, რომლის სტადიონიც მათი სახლის პირდაპირ მდებარეობდა და იქ მაისურების მრეცხავად და დამლაგებლად მოეწყო. ბიჭიც ხშირად ეწვეოდა ხოლმე გუნდის მწვანე მინდორს და თვალყურს ადევნებდა დიდების თამაშს. მაგალითი გადამდები აღმოჩნდა და მალე იოჰანის თამაშით კლუბის ხელმძღვანელობაც დაინტერესდა. მას გამოცდა მოუწყვეს, რომელიც კრუიფმა ბრწყინვალედ ჩააბარა და მალე 16 წლის ჭაბუკი გუნდის ძირითად შემადგენლობაში ჩაირიცხა. პირველივე სეზონში იოჰანმა 24 გოლი გაიტანა.

...მიხელსისა და კრუიფის დებიუტი ევროპაში 1966 წელს შედგა. პირველ ტურში „ბეშიქთაშის“ დამარცხების შემდეგ „აიაქსი“ „ლივერპულს“ შეხვდა. ბანალური ფრაზაა, მაგრამ მართლაც არავინ ელოდა „ბითლზების“ ქალაქიდან ჩამოსული სტუმრების დამარცხებას. სწორედ ამ მატჩში აღმოაჩინა საფეხბურთო სამყარომ იოჰან კრუიფი. მან პირდაპირ გაანადგურა მეტოქის დაცვა. 5:1 — ასეთი ანგარიშით მოიგო „აიაქსმა“. „ლივერპულის“ ცნობილმა მწვრთნელმა ბილ შენკლიმ ალბათ იმდენი ინერვიულა, რომ ცხოვრებაში ერთადერთი, მეტი რომ არ ვთქვათ, არასერიოზული განცხადება გააკეთა: „აიაქსი“ დიდი ვერაფერი გუნდია და დარწმუნებულები იყავით, სახლში ყველაფერი თავის ადგილზე დადგებაო. „საგიჟეთში“ ანუ „ენფილდ როუდზე“ მოსულმა მაყურებელმა იხილა, თუ როგორ ძლივსძლივობით მიაღწია მათმა გუნდმა ფრეს.

მომავალ წელს „აიაქსმა“ კვლავ დაიმსახურა ფეხბურთის სპეციალისტთა ქება, როცა, მართალია პირველ წრეშივე გამოეთიშა ასპარეზობას, მაგრამ გმირული წინააღმდეგობა გაუწია ალფრედო დი სტეფანოს მადრიდის „რეალს“, რომელსაც ჰოლანდიელთა დასამარცხებლად საკუთარ მინდორზე დამატებითი დრო დასჭირდა. მოკლედ, არავისთვის იყო დამალული, რომ „აიაქსი“ ევროპის საფეხბურთო დაბლობიდან პირდაპირ მწვერვალზე აპირებდა ასვლას.

როცა 1969 წელს მადრიდში, ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალში „მილანმა“ დამაჯერებლად (4:1) დაამარცხა „აიაქსი“, ჰოლანდიელთა შემადგენლობაში ორი დიდი ფეხბურთელი თამაშობდა — კრუიფი და კაიზერი, რომლებიც შეტევის მარცხენა ფრთაზე შესანიშნავ წყვილს ქმნიდნენ. გაცილებით მოკრძალებულად გამოიყურებოდნენ სუურბიერი, ჰულსჰოფი, სვარტი. ისინი თანდათან იმაღლებდნენ თავიანთ ტექნიკურ-ტაქტიკურ დონეს და „შუბოსანთა“ შემდგომ ლაშქრობებშიც მონაწილეობა მიიღეს. პირველი ასეთი ლაშქრობა 1970-71 სეზონში მოხდა, როცა „აიაქსმა“ ყველა მეტოქე დაამარცხა და მეორედ გავიდა ფინალში. „პანათინაიკოსთან“ „აიაქსი“ სულ სხვა გუნდად წარმოგვიდგა. ანგარიში 2:0 სრულად ვერ ასახავდა ჰოლანდიელთა უპირატესობას.

1971 წლის ზაფხულში, „ბარსელონას“ წინადადებით მოხიბლულმა მიხელსმა დატოვა გუნდი. იგი შეცვალა რუმინელმა სტეფან

ეროვნული ბიბლიოთეკა

2



1991-92 სეზონის უეფას თასის მფლობელი „აიაქსი". ზედა რიგში (მარცხნიდან): სტენლი მენცო, დენის ბერხკამპი, რიხარდ ვიჩგე, ექიმი ლასლო ზამბორი, ვიმ იონკი, მიშელ კრეეკი, ედვინ ვან დერ სარი; შუა რიგში: ფრანკ დე ბური, რობ ალფლენი, მარსიანო ვინკი, მწვრთნელი ბობ ჰაარმსი, ტექნიკური დირექტორი ლეო

**Seizoen 1991-1992**

ბეენჰაკერი, მწვრთნელი ლუის ვან გაალი, რონ ვილემსი, მიხაელ მოლხი, ბრაიან როი; ქვედა რიგში: ექიმი პიმ ვან დორდი, არონ ვინტერი, დენი ბლინდი, ჯონ ვან'ტ სხიპი, პრეზიდენტი მიხაელ ვან პრააგი, იან ვაუტერსი, სტეფან პეტერსონი, სონი სილოი, ადმინისტრატორი სიაკ ვოლფსი.

კოვაჩმა (დ. 1920), ბუქარესტის „სტაუას" მწვრთნელმა და 1970 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე რუმინეთის ნაკრების მწვრთნელის ნიკულესკუს სპეციალურმა მრჩეველმა. რუმინულის გარდა კოვაჩი კიდევ ოთხ ენაზე



KEPES SPORT

რინუს მიხელსი

ლაპარაკობდა და არ გასჭირვებია საყოველთაო სიმპათიის მოპოვება. კოვაჩის გუნდი ურიგო მდგომარეობაში არ ჩაუბარებია. „აიაქსი" მას ერთიანი, მონოლითური, ტექნიკურად და ტაქტიკურად კარგად მომზადებული დახვდა. ასე რომ, კოვაჩმა აქცენტი ძირითადად ცალკეულ მოთამაშეთა მოქნილობისა და მარჯვეობის გაუმჯობესებაზე გადაიტანა. კოვაჩს დიდი დამსახურება მიუძღვის გუნდის თამაშის ახლებური ტაქტიკის ჩამოყალიბებაში. ეს მან წამოაყენა მოძრავი „ზონის" იდეა, მან „დაგეშა" მაქსიმალურად ნახევარმცველები, რომელთაც პოზიციის სწრაფი ცვლა და ხშირი ურთიერთშენაცვლება ევალებოდათ. რუმინელ მწვრთნელს ტალანტების აღმოჩენის უნარიც ჰქონდა. სწორედ მან მიიყვანა გუნდში ჯონი რეპი.

1972 წლის 31 მაისს „აიაქსი" მეორედ დაეუფლა ჩემპიონთა თასს, დაამარცხა რა მილანის „ინტერი" 2:0. იმ დღეს კრუიფის შეჩერება შეუძლებელი იყო. მეორე ტაიმის მეორე წუთზე მან „ადგილზე გააქვავა" იტალიელთა მეკარე ბორდონი, თამაშის დასასრულამდე 15 წუთით ადრე კი მეორეჯერაც აიღო „ინტერის" კარი. საინტერესოა, რომ მთელი ეს გათამაშება „აიაქსმა" წაუგებლად ჩაატარა და მეკარე სტუიმ ცხრა მატჩში მხოლოდ სამი ბურთი გაუშვა. შემდეგ სეზონშიც ამსტერდამელთა მეტოქე ფინალში იტალიური კლუბი, ამჯერად „იუვენტუსი" გახლდათ. ფინალამდე კი იყო შთამბეჭდავი მოგება მიუნხენის „ბაიერნთან" (4:0) და ორივე მატჩის მოგება ლეგენდარულ „რეალთან". 1973 წლის 30 მაისს, ბელგრადის სტადიონზე თავშეყრილი 93 500 მაყურებელი მოწმე გახდა „აიაქსის" ბოლო წარმატებისა ჩემპიონთა თასზე. აკორდი მართლაც რომ „აიაქსური" აღმოჩნდა. უკვე მეოთხე წუთზე რეპმა ცივი წყალი გადაასხა „იუვეს" იმედებს და თუმცა მთელი თამაში წინ იყო, იტალიელთა გამარჯვებას ახლადგამოჩეკილი უტოპისტი თუ იწინასწარმეტყველებდა. არადა, „იუვენტუსი" ურიგოდ როდი თამაშობდა: ალტაფინიმ, ანასტაზიმ, ბეტეგამ და კაუზიომ არაერთხელ სცადეს სტუის კარის აღება, მაგრამ იმ დღეს კოვაჩის გუნდთან კაცი ვერაფერს გააწყობდა. ეს იყო მონოლითური კოლექტივი, სადაც ყველა უტევდა და ყველა თავს იცავდა; ეს იყო გუნდი, რომელიც დაცვისას უძლეველი იყო, შეტევისას კი შეუკავებელი. „აიაქსის" იმდროინდელი თამაში ტოტალური ფეხბურთის შეუდარებელი გაკვეთილი გახლდათ. 1972 წელს „აიაქსმა" მოიგო ყველაფერი: ჰოლანდიის ჩემპიონატი და თასი, ევროპის ჩემპიონთა თასი, ევროპის სუპერთასი და საკონტინენტთაშორისო თასი.

სამწუხაროდ ცხოვრებას თავისი კანონები აქვს და ყველაფერი კარგი, ბოლოსდაბოლოს, მთავრდება. სოფიის სტადიონზე 1973 წლის შემოდგომის ერთ სუსხიან საღამოს შედგა „აიაქსის" შეუდარებელი გუნდის „პანაშვიდი" — დამატებით დროში ცსკამ სძლია „აიაქსს". თუმცა ჰოლანდიელებს წაგების ახსნის ერთი მართლაც რომ საპატიო მიზეზი ჰქონდათ — მათ რიგებში აღარ იყო იოჰან კრუიფი, რომელიც მიხელსის მსგავსად კატალონიის დედაქალაქში წავიდა. მკითხველებისთვის არ იქნება ინტერესმოკლებული გავიხსენოთ ის ფეხბურთელები, რომლებმაც კრუიფთან ერთად ევროპულ ტურნირებში მანამდე არნახულ წარმატებას მიაღწიეს:

მეკარე **სტუი**, მართალია, მსოფლიოს უძლიერეს მეკარეებს ვერ შეედრებოდა, მაგრამ მოქნილობით და ჩინებული ალღოთი გამოირჩეოდა. განაპირა მცველები **სუურბიერი** და **კროლი** ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავდებოდნენ: პირველი ძალზე ძლიერი იყო ჰაერში, შეუმცდარად აკონტროლებდა მეტოქის მოძრაობას, მიწაზე დაუშვებლად და საიმედოდ იგერიებდა მაღალ ბურთებს. კროლი კი ღრმად იცნობდა დასწრებაზე თამაშის ხელოვნებას და თავისი სისწრაფის წყალობით ხშირად და მოულოდნელად შეტევებშიც ერთვებოდა. მძლავრი და ამავე დროს მეტად მოქნილი იყო **ბლანკენბურგი**. ეს გერმანელი ფეხბურთელი გუნდის ერთადერთი უცხოელი გახლდათ (ჩემპიონთა თასის პირველი აღებისას გუნდის თავი იუგოსლაველი ბორა ვასოვიჩი იყო). იგი ლიბეროს ფუნქციებს ასრულებდა, თუმცა დაცვის გიგანტს ჰულსჰოფსაც (180სმ) არაერთხელ შენაცვლებია. **ჰულსჰოფი** კი, თავის მხრივ, მეტად თავგანწირული და თან გონიერი მცველი იყო, თუმცა ერთგვარი სიზანტეც მოსდგამდა, რის გამოც კოვაჩი მას პერსონალური მეურვეობის ფუნქციებისაგან ათავისუფლებდა. ნახევარდაცვის ბურჯად არი **ჰაანი** იყო აღიარებული. იგი დიდი სისწრაფით არ გამოირჩეოდა, მაგრამ უდიდესი საფეხბურთო აზროვნება ჰქონდა. **მიურენი** გაჩერებული არავის უნახავს,



KEPES SPORT

მარკო ვან ბასტენი




**1974** წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური მატჩის პირველი წუთი: იოჰან ნეესკენსს პენალტი გააქვს გერმანელთა კარში.

STADION

არც შეტაკებებს გაურბოდა, კარში კი ნებისმიერი პოზიციიდან ურტყამდა. **ნეესკენსი** თავს გარემარბობით ინილბავდა, კუდი კი ნახევარდაცვაში ჰქონდა გაბარებული. თავისი ცბიერი მანევრებით იგი, როგორც უნდოდა, ისე სჭრიდა და კერავდა თამაშს. თავდამსხმელები **რეპი** და **სვარტიც** არ ჰგავდნენ ერთმანეთს: პირველი თევზივით მოუხელთებელი და სწრაფი იყო, მეორეს კი სხარტი არ ეთქმოდა, მაგრამ საჯარიმო მოედანზე თავზარს სცემდა მეტოქეს. რაც შეეხება **კაიზერს**, თამამად შეიძლება ითქვას, რომ იგი თავისი ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი თავდამსხმელი იყო. იგი ბრწყინვალედ ურტყამდა ორივე ფეხით, ხოლო თავისი არაჩვეულებრივი ფანტაზიით მკვეთრად გამოირჩეოდა თანაგუნდელებისაგან. კრუიფის თამაში ცალკე გარჩევის ღირსია. კლასიკური „ადამიანი-გოლი“, იგი შესანიშნავად ფლობდა მცველთა მჭიდრო მეურვეობიდან თავის დაღწევის ხელოვნებას. მას ყველაფერი ღვთით ჰქონდა მომადლებული, ფეხიც უჭრიდა და თავიც, ეშმაკობაც საკმარისი ჰქონდა და პარტნიორის გრძნობაც. იგი მხოლოდ გოლეადორი როდი იყო. თუ თამაშის ტაქტიკა მოითხოვდა, იგი ხერხემლადაც ევლინებოდა გუნდს. სწორედ მაშინ გაიბრწყინებდა ხოლმე მთელი სისრულით კრუიფის უსაზღვრო ფანტაზია. კრუიფი განუყოფელი ნაწილია ჰოლანდიური ფეხბურთის ლეგენდისა, რომელსაც იოჰანის გამოჩენამდე მომწიფების პერიოდი ჰქონდა.

70-იანი წლების ბოლო და 80-იანების დასაწყისი კლუბის ისტორიაში დიდი ვერაფერი ხანაა. ამ პერიოდში გუნდი ახალ, თავისებურ პოლიტიკას დაადგა: „აიაქსი“ გახდა გარდამავალი ეტაპი საუკეთესო... დანიელი ფეხბურთელებისათვის, რომლებიც ჯერ კიდევ იუნიორებად მოდიოდნენ გუნდში და სრულყოფილ ოსტატებად ტოვებდნენ მას. იენსენი, არნესენი, ლერბიუ, მიოლბიუ, იესპერ ოლსენი და მრავალი სხვა „აიაქსის“ რიგებში თამაშობდნენ. 23 წლის ფრენკი არნესენი „აიაქსის“ ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა კაპიტანიც კი იყო. მშვენიერი შემადგენლობის მიუხედავად, ამ დროს მხოლოდ ერთხელ, 1980 წელს გაახსენა თავი კლუბმა ევროპას, როცა ჩემპიონთა თასის ნახე-



პიტ კაიზერი



არი ჰაანი



ვიმ სუურბიერი



ბარი ჰულსჰოფი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარფინალში გავიდა და იქ მომავალ გამარჯვებულ „ნოტინ-გემ ფორესტთან“ წააგო. იმ დროს ძველი შემადგენლობიდან მხოლოდ კროლიღა თამაშობდა.

1983 წელს „დე მეერის“ ტრიბუნებზე გამოჩნდა პლაკატი: „ვან ბასტენი — ახალი იოჰან კრუიფი“. ასე შეხვდნენ 18 წლის მარკო ვან ბასტენის გამოჩენას „აიაქსის“ გულშემატკივრები და არც შემცდარან. ოთხი წელი დაჰყო კლუბში თანამედროვე ფეხბურთის ამ ერთ-ერთმა საუკეთესო თავდამსხმელმა და ძველი დიდება დაუბრუნა გუნდს. არც ის დაგვავიწყდეს, რომ იმავე პერიოდში მშობლიურ კლუბს ჯერ ფეხბურთელად, შემდეგ კი ტექნიკურ დირექტორად (მწვრთნელის ლიცენზია არ გააჩნდა) დაუბრუნდა კრუიფი. სწორედ კრუიფის და ვან ბასტენის დამსახურებაა, რომ 1987 წელს „აიაქსმა“ კვლავ მოიგო ევროპული თასი — ათენში, თასების თასის ფინალში დაამარცხა ლაიპციგის „ლოკომოტივი“ 1:0. ეს ერთადერთი ბურთი მეტოქის კარში „სუპერ-მარკომ“ გაიტანა.

უკვე ტრადიციად იქცა, რომ „აიაქსი“ მხოლოდ მაშინ აღწევს დიდ წარმატებას, როცა მის რიგებში გამოჩნდება ახალი, არაორდინალური ფეხბურთელი. წელს კლუბმა უეფას თასიც წაიღო თავის მუზეუმში, რაშიც ლომის წილი შეიტანა დენის ბერხკამპმა. მიუხედავად სხვა ძლიერი ფეხბურთელების ყოფნისა, ბერხკამპი ყველაზე ორი თავით მაღლა იდგა. იტალიის „ტორინოსთან“ ორრაუნდიანი ბრძოლა საკმაოდ ძნელი აღმოჩნდა, თუმცა „აიაქსს“ უკვე სტუმრად გამართულ პირველ მატჩში შეეძლო საქმის მოთავება. საინტერესოა, რომ გუნდმა მხოლოდ ფინალსა და ნახევარფინალში მოახერხა საკუთარ მოედანზე მატჩის გამართვა. მანამდე კი, 1989 წელს ვენის „ავსტრიასთან“ გულშემატკივრების ხულიგნობის გამო „აიაქსმა“ ჯერ გამოტოვა ერთი წელი ევროპაში, შემდეგ კი საშინაო მატჩებს დიუსელდორფში ატარებდა.

წლევანდელ ზაფხულს გუნდი დასტოვეს ვან'ტ სხიპმა და



STADION

სტეფან კოვაჩი

ვინტერმა. მაგრამ მოულოდნელად ყველა სარფიან წინადადებაზე უარი თქვა და კვლავ „წითელ-თეთრ“ მაისურში თამაშობს ბერხკამპი. გუნდში, როგორც ყოველთვის, [illegible] პერსპექტიული ახალგაზრდაა. „სანტიაგო ბერნაბეუს“ ტურნირში ბრწყინვალე თამაში და ფინალში „რეალის“ დამარცხება (3:1) იმედს იძლევა, რომ „აიაქსი“ კვლავ გაახარებს თავის ურიცხვ გულშემატკივარს.

**ზურაბ მექველია**

## „აიაქსის“ ყველა მატჩი ევროპის საკლუბო ტურნირებში

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1957-58 | ჩთ | I ეტ. | თავისუფალი იყო | |
| | | II ეტ. | „ვისმუტი“ (კარლ-მარქს-შტადტი) | 3:1, 1:0 |
| | | 1/4 | „ვაშაში“ (ბუდაპეშტი) | 2:2, 0:4 |
| 1960-61 | ჩთ | I ეტ. | „ფრედრიკსტადი“ (ნორვეგია) | 3:4, 0:0 |
| 1961-62 | თთ | I ეტ. | თავისუფალი იყო | |
| | | II ეტ. | „უიპეშტ დოჟა“ (ბუდაპეშტი) | 2:1, 1:3 |
| 1966-67 | ჩთ | 1/16 | „ბეშიქთაში“ (სტამბული) | 2:0, 2:1 |
| | | 1/8 | „ლივერპული“ | 5:1, 2:2 |
| | | 1/4 | „დუკლა“ (პრაღა) | 1:1, 1:2 |
| 1967-68 | ჩთ | 1/16 | „რეალი“ (მადრიდი) | 1:1, 1:2 (დ.დ.) |
| 1968-69 | ჩთ | 1/16 | „ნიურნბერგი“ | 1:1, 4:0 |
| | | 1/8 | „ფენერბაჩე“ (სტამბული) | 2:0, 2:0 |
| | | 1/4 | „ბენფიკა“ (ლისაბონი) | 1:3, 3:1, 3:0 (პარიზი) |
| | | 1/2 | „სპარტაკი“ (ტრნავა) | 3:0, 0:2 |
| | | ფ | „მილანი“ | 1:4 (მადრიდი) |
| 1969-70 | უთ | 1/32 | „ჰანოვერ 96“ | 1:2, 3:0 |
| | | 1/16 | „რუხი“ (ხოჟუვი) | 7:0, 2:1 |
| | | 1/8 | „ნაპოლი“ | 0:1, 4:0 (დ.დ.) |
| | | 1/4 | „კარლ ცაისი“ (იენა) | 1:3, 5:1 |
| | | 1/2 | „არსენალი“ (ლონდონი) | 0:3, 1:0 |
| 1970-71 | ჩთ | 1/16 | „17 ნენტორი“ (ალბანეთი) | 2:2, 2:0 |
| | | 1/8 | „ბაზელი“ | 3:0, 2:1 |
| | | 1/4 | „სელტიკი“ (გლაზგო) | 3:0, 0:1 |
| | | 1/2 | „ატლეტიკო“ (მადრიდი) | 0:1, 3:0 |
| | | ფ | „პანათინაიკოსი“ (ათენი) | 2:0 (ლონდონი) |
| 1971-72 | ჩთ | 1/16 | „დინამო“ (დრეზდენი) | 2:0, 0:0 |
| | | 1/8 | „ოლიმპიკი“ (მარსელი) | 2:1, 4:1 |
| | | 1/4 | „არსენალი“ (ლონდონი) | 2:1, 1:0 |
| | | 1/2 | „ბენფიკა“ (ლისაბონი) | 1:0, 0:0 |
| | | ფ | „ინტერი“ (მილანი) | 2:0 (როტერდამი) |
| 1972-73 | ჩთ | 1/16 | თავისუფალი იყო | |
| | | 1/8 | ც.ს.კ.ა. (სოფია) | 3:1, 3:0 |
| | | 1/4 | „ბაიერნი“ (მიუნხენი) | 4:0, 1:2 |
| | | 1/2 | „რეალი“ (მადრიდი) | 2:1, 1:0 |
| | | ფ | „იუვენტუსი“ (ტურინი) | 1:0 (ბელგრადი) |
| 1973-74 | ჩთ | 1/16 | თავისუფალი იყო | |
| | | 1/8 | ც.ს.კ.ა. (სოფია) | 1:0, 0:2 (დ.დ.) |
| 1974-75 | უთ | 1/32 | „სტოკ სიტი“ | 1:1, 0:0 |
| | | 1/16 | „ანტვერპენი“ | 1:0, 1:2 |
| | | 1/8 | „იუვენტუსი“ (ტურინი) | 0:1, 2:1 |
| 1975-76 | უთ | 1/32 | „გლენტორანი“ (ბელფასტი) | 6:1, 8:0 |
| | | 1/16 | „ჰერტა“ (დას. ბერლინი) | 0:1, 4:1 |
| | | 1/8 | „ლევსკი სპარტაკი“ (სოფია) | 2:1, 1:3 პ3:5 |
| 1976-77 | უთ | 1/32 | „მანჩესტერ იუნაიტედი“ | 1:0, 0:2 |
| 1977-78 | ჩთ | 1/16 | „ლილესტრიომი“ (ნორვეგია) | 0:2, 4:0 |
| | | 1/8 | „ლევსკი სპარტაკი“ (სოფია) | 2:1, 2:1 |
| | | 1/4 | „იუვენტუსი“ (ტურინი) | 1:1, 1:1 პ0:3 |
| 1978-79 | უთ | 1/32 | „ატლეტიკი“ (ბილბაო) | 0:2, 3:0 |
| | | 1/16 | ლოზანა“ | 1:0, 4:0 |
| | | 1/8 | „ჰონვედი“ (ბუდაპეშტი) | 1:4, 2:0 |
| 1979-80 | ჩთ | 1/16 | HJK (ჰელსინკი) | 8:1, 8:1 |
| | | 1/8 | „ომონია“ (ნიქოზია) | 10:0, 0:4 |
| | | 1/4 | „რასინგი“ (სტრასბური) | 0:0, 4:0 |
| | | 1/2 | „ნოტინგემ ფორესტი“ | 0:2, 1:0 |
| 1980-81 | ჩთ | 1/16 | „დინამო“ (ტირანა) | 2:0, 1:0 |
| | | 1/8 | „ბაიერნი“ (მიუნხენი) | 1:5, 2:1 |
| 1981-82 | თთ | 1/16 | „ტოტენჰემ ჰოტსპური“ | 1:3, 0:3 |
| 1982-83 | ჩთ | 1/16 | „სელტიკი“ (გლაზგო) | 2:2, 1:2 |
| 1983-84 | ჩთ | 1/16 | „ოლიმპიაკოსი“ (პირეოსი) | 0:0, 0:2 (დ.დ.) |
| 1984-85 | უთ | 1/32 | „რედ ბოიზი“ (ლუქსემბურგი) | 0:0, 14:0 |
| | | 1/16 | „ბოჰემიანსი“ (პრაღა) | 1:0, 0:1 პ2:4 |
| 1985-86 | ჩთ | 1/16 | „პორტუ“ | 0:2, 0:0 |
| 1986-87 | თთ | 1/16 | „ბურსასპორი“ (თურქეთი) | 2:0, 5:0 |
| | | 1/8 | „ოლიმპიაკოსი“ (პირეოსი) | 4:0, 1:1 |
| | | 1/4 | „მალმიო“ | 0:1, 3:1 |
| | | 1/2 | „რეალი“ (სარაგოსა) | 3:2, 3:0 |
| | | ფ | „ლოკომოტივი“ (ლაიპციგი) | 1:0 (ათენი) |
| 1987-88 | თთ | 1/16 | „დანდალკი“ (ირლანდია) | 4:0, 2:0 |
| | | 1/8 | „ჰამბურგი“ | 1:0, 2:0 |
| | | 1/4 | „იანგ ბოიზი“ (ბერნი) | 1:0, 1:0 |
| | | 1/2 | „ოლიმპიკი“ (მარსელი) | 3:0, 1:2 |
| | | ფ | „მეხელენი“ | 0:1 (სტრასბური) |
| 1988-89 | უთ | 1/32 | „სპორტინგი“ (ლისაბონი) | 2:4, 1:2 |
| 1989-90 | უთ | 1/32 | „ავსტრია“ (ვენა) | 0:1, 1:1 (დ.დ.) |
| 1991-92 | უთ | 1/32 | „ერებრუ“ (შვედეთი) | 3:0, 1:0 |
| | | 1/16 | „როტ ვაისი“ (გერმანია) | 2:1, 3:0 |
| | | 1/8 | „ოსასუნა“ (პამპლონა) | 1:0, 1:0 |
| | | 1/4 | „გენტი“ | 0:0, 3:0 |
| | | 1/2 | „ჯენოა“ | 3:2, 1:1 |
| | | ფ | „ტორინო“ | 2:2, 0:0 |

**შენიშვნა:** გამოყოფილია შინ ჩატარებულ შეხვედრათა ანგარიშები.
1991-92 წლების გათამაშების პირველი ოთხი ეტაპის მატჩები დიუსელდორფში ჩაატარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იტალია: სამი თამაშობს, სამი ზის, ან პირიქით

ᲣᲙᲐᲪᲠᲐᲕᲐᲓ, მაგრამ გამძღარი რომ მშიერს ვერ გაუგებს და პირიქით, საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია. რომ ვთქვა, შიმშილით სული მძვრება მეთქი, ვერ ვიქნები მართალი, მაგრამ იმას, რაც ამ ზაფხულს იტალიის კლუბების მულტიმილიონერმა მფლობელებმა გააკეთეს, ვერასდროს გავიგებ. მე კი არა, გულიტმა, ვან ბასტენმა, კლინსმანმა, ფიოლერმა და მისთანებმაც ვერ გაიგეს.

... 4 მილიარდი (!) დოლარი დახარჯეს იტალიურმა კლუბებმა საფეხბურთო „ბაზარის" ფუნქციონირების მხოლოდ პირველ ნახევარში — იტალიის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებამ მათ ხელ-ფეხი გაუხსნა. გადაწყვეტილება კი ასეთი იყო — იყიდეთ ნებისმიერი რაოდენობის უცხოელი ფეხბურთელი, მოედანზე კი მაინც სამის გაშვების უფლება გაქვთო. წინა წელსაც იყო შემთხვევები, როცა „ლეგიონერები" კვოტაზე მეტი ჰყავდა ზოგიერთ კლუბს, მაგრამ მაშინ მოდაში იყო ზედმეტი უცხოელის რომელიმე სხვა კლუბისთვის „ჩასესხება". წლეულს კი... ის, რასაც იტალიელი ბოსები აკეთებენ, სიბეცეა — თქვა ფიოლერმა და „რომადან" მარსელის „ოლიმპიკში" გადავიდა. ეს ჩვენთვისაა გასაკვირი: რატომ არ მოსწონთ გერმანელებს (და საერთოდ, ევროპელებს), როცა არაფრისკეთებაში ფულს იღებენ — იჯექი შენთვის სათადარიგო სკამზე, კონტრაქტით გათვალისწინებულ ზღაპრულ თანხას კი მაინც მიიღებ. მაგრამ არა, არ ისურვეს ეს არც მათეუსმა, არც კლინსმანმა, არც ბრემემ და არც როიტერმა და, როგორც აღმოჩნდა, დროზე გაასწრეს. როგორც მოსალოდნელი იყო, დაიწყო ათასგვარი უსიამოვნება. „მილანი" პირველ ტურში „ფოჯასთან" გულიტის გარეშე გამოვიდა მოედანზე. მართალია, თავად გულიტი ამტკიცებდა, რომ ტრავმა ჰქონდა, მაგრამ იტალიელ ჟურნალისტებს რას გამოაპარებ. მათ შეამჩნიეს, რომ როცა საპატიო სტუმართა ლოჟაში გულიტთან გუნდის მეპატრონე სილვიო ბერლუსკონი მივიდა, ჰოლანდიის ნაკრების კაპიტანი ადგა და დემონსტრაციულად დასტოვა ლოჟა. მართლაც საკვირველია, როცა ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი, მაგრამ ნურც ის დაგვავიწყდება, რომ ბერლუსკონიმ „მილანის" ყველა ბოლოდროინდელი წარმატების მიზეზს — ჰოლანდიურ „ტრიოს" — წელს კიდევ სამი უცხოელი დაუმატა: პაპენი, სავიჩევიჩი და ბობანი. ჰოლანდიელებმა წამსვე განაცხადეს, რომ შემცვლელად ყოფნას არ აპირებდნენ, სავიჩევიჩმა კი... წერილობითი გარანტია მოითხოვა, რომ ძირითადში ითამაშებდა. მართლდება გულიტის სიტყვები: ძირითად შემადგენლობაში ადგილი რეგულარულად მარტო ვან ბასტენს ექნებაო. ჯერჯერობით მხოლოდ ვან ბასტენი თამაშობს ყველა მატჩში. ოთხი გოლიც გაიტანა (მესამე ტურში „ატლანტასთან" გატანილი გოლი 81-ე გამოდგა ვან ბასტენისთვის იტალიის ლიგაში და ამით დიეგო მარადონას დაეწია). ბერლუსკონი ცდილობს, როგორმე მოაგვაროს ეს პიკანტური სიტუაცია. გულიტთან ერთად გულშემატკივრებთან შეხვედრაც მოაწყო, სადაც „სიყვარული აუხსნა" ამ უკანასკნელს. საქმე მაინც ვერ დამთავრდა ხეირიანად — გულიტმა მისთვის დამახასიათებელი პირდაპირობით თქვა: სილვიოს რომ ჩემს მიმართ სიმპათია გააჩნდეს, ახლა ამ დახუთულ დარბაზში არ ვიქნებოდი და მატჩისთვის მოვემზადებოდიო. ასეა თუ ისე, „მილანი" ჯერჯერობით თამაშს თამაშზე იგებს და ჩემის აზრით, მარტო ვან ბასტენითაც შორს წავა. აი ის კი არ მესმის, ასეთი ძვირადღირებული სათადარიგო სკამი რა საჭიროა. მითუმეტეს, რომ ბერლუსკონიმ მარტო ლენტინის გადმოყვანაში „ტორინოდან" 52 მილიონი დოლარი დახარჯა.



IL MESSAGERO

მარკო ვან ბასტენი კვლავ ძველებურად ბრწყინავს

უცხოელი მოთამაშეების პრობლემამ თვით ფიფაც შეაწუხა და როგორც იოზეფ ბლატერმა განაცხადა, შესაძლოა დეკემბერში ფიფას აღმასრულებელმა კომიტეტმა განიხილოს ეს საქმე. იტალიის ტელევიზიის პირველი არხისთვის მიცემულ ინტერვიუში ბლატერმა აღნიშნა, რომ იტალიის ჩემპიონატში მიმდინარე პროცესები უსამართლოა იმ მოთამაშეების მიმართ, რომლებიც მატჩებს სათადარიგოთა სკამიდან უყურებენ.

... ბოლოსდაბოლოს შედგა პოლ გესქოინის დებიუტი „ლაციოში". მესამე და მეოთხე ტურებს შორის „ლაციომ" ამხანაგური მატჩი მოუგო „ტოტენჰემს" 3:0 და ორი გოლი ყოფილმა ლონდონელმა გაიტანა. ჩემპიონატის პირველივე მატჩში კი გესქოინმა ტრავმა მიიღო, თუმცა ამჯერად, არც თუ ისე მძიმე.

გესქოინმა პირველი მატჩი ითამაშა, „იუვენტუსში" მოთამაშე ბრაზილიელმა ლიბერომ ჟულიო ცეზარმა კი ბოლო ორწლინახევრის განმავლობაში პირველი მატჩი გამოტოვა — ადგილი არ ეყო. იმ დღეს მწვრთნელმა მოედანზე სამი სხვა უცხოელი გამოუშვა. საერთოდ სიტყვა „პირველი" ხშირად გაისმის იტალიის ლიგაში სექტემბერში ჩატარებული მატჩების შემდეგ: „ანკონამ" პირველი მატჩი ითამაშა სერია A-ში (ჩვენებურად უმაღლესი ლიგა), „ინტერმა" პირველად ბოლო 5 წლის განმავლობაში წააგო სასტარტო მატჩი, ხოლო ამავე თამაშში გადამწყვეტი გოლი „უდინეზეს" მცველ კონტრატოსთვის პირველია... 11 წლიანი კარიერის მანძილზე.

ბოლოს შემოგთავაზებთ კლასიფიკაციას, რომელიც ფრანგული „ონზ მუნდიალის" რედაქციამ შეადგინა. ეს იმიტომ, რომ არ იფიქროთ, თითქოს ბერლუსკონის რამეს ვერჩოდე. ოთხი კატეგორიის მიხედვით შედგენილ კლასიფიკაციაში მის გუნდს ლიდერობა უპყრია და უკვე ეს მიუთითებს, სწორად იქცევა თუ არა ბატონი სილვიო.

**ინფრასტრუქტურა** (საწვრთნელი ბაზა, სტადიონი, ნაგებობები, პრეს-სამსახური):

1. „მილანი", 2. „ბარსელონა", 3. „რეალი" და „პანათინაიკოსი".

**რეზერვები** (სელექცია, სწავლება, სკოლა):

1. „აიაქსი", 2. „ტორინო", 3. „გიოტებორგი", „ოსერი" და „რეალი".

**დაკომპლექტება** (ყიდვა-გაყიდვის ორგანიზება, სელექციონერები, სკაუტები):

1. „მილანი", 2. „ბარსელონა", 3. „ლივერპული", „მარსელი", „მანჩესტერ იუნაიტედი", „აიაქსი", „იუვენტუსი".

**გუნდი** (მოედანზე მოქმედების ეფექტურობა, შეთამაშება, მწვრთნელების მუშაობა):

1. „მილანი", 2. „ბარსელონა", 3. „მარსელი".

**ჯამი** (ყველა კატეგორიის ჯამი, პლუს ფეხბურთელები, პლუს მაყურებელი):

1. „მილანი", 2. „ბარსელონა", 3. „აიაქსი" და „რეალი"

ზურაბ მეძველია

# ერთ დარტყმას მე ავილებ, ბიჭებო...



WORLD SOCCER

**პეტერ შმაიხელი**

**დაიბადა 1963 წლის 18 ნოემბერს**
**სიმაღლე 191 სმ. წონა 94 კგ,**
**სპორტული გზა:**
**1986 — „ჰვიდოვრე“, 1987-91 — „ბრონდბიუ“, 1991 წლიდან — „მანჩესტერ იუნაიტედი“.**
**დანიის სამგზის ჩემპიონი (1987, 89, 90)**
**დანიის თასის მფლობელი (1989)**
**ინგლისის ვიცე-ჩემპიონი (1992)**
**ინგლისის ლიგის თასის მფლობელი (1992)**
**დანიის ეროვნული ნაკრებში ჩაატარა 57 მატჩი**
**საყვარელი ფეხბურთელი — მარკო ვან ბასტენი (1992 წლის 23 ივნისის შემდეგ)**

ზედიზედ მეექვსე წელია გუნდი, რომელშიც შმაიხელი თამაშობს, აუცილებლად ეუფლება თავისი ეროვნული ჩემპიონატის რომელიმე პრიზს. ყველაფრის გვირგვინი კი ამ ზაფხულს მიღებული ევროპის ჩემპიონის ოქროს მედალი გახლდათ და შმაიხელს მიაჩნია, რომ დიდი უსამართლობა იქნებოდა, ეს მედალი 26 ივნისის საღამოს რომელიმე სხვა მეკარის კისერზე რომ ჩამოკონწიალებულიყო.

ბრწყინვალე გოლკიპერი პიტ შმაიხელი მშვენივრად შეეწყო ინგლისურ ფეხბურთს, რაც იმ ვარჯიშების შედეგია, ჩინებულმა მწვრთნელმა რიქარდ მიოლერ-ნილსენმა რომ გამოუწერა. „შმაიკმა“ (ასე ეძახიან მას მანჩესტერელი გულშემატკივრები) ინგლისში პირველად „ნოთს ქაუნთის“ წინააღმდეგ ითამაშა და სტადიონზე მოსული 46278 მაყურებლის ოვაციებიც დაიმსახურა.

— „ადრე მე საშუალო დონის მეკარე ვიყავი. რიქარდმა სპეციალურად ჩემთვის შეადგინა საგანგებო ვარჯიშების პროგრამა, რომელსაც მე „მეკარის ანბანს“ დავარქმევდი, და იგი მართლაც იყო ბურთის დაჭერის სიბრძნე. თავიდან რიქარდის მეთვალყურეობით მე უმარტივეს ვარჯიშებს ვასრულებდი. შემდეგ ეს პროცესი რთულდებოდა და ვარჯიშის ძირითად ნაწილად იქცა სხვადასხვა დისტანციიდან დარტყმული ბურთების მოგერიება. ამ ვარჯიშებით ვისწავლე განსაზღვრა იმისა, თუ რა მოჰყვება მინდორზე ამა თუ იმ სიტუაციას“.

პიტ შმაიხელი ნამდვილი ათლეტია. მას აღნაგობით ტანკს ადარებენ, თუმცა ეს აბსოლუტურად არ უშლის ხელს სწრაფად მოძრაობაში და თავბრუდამხვევი ნახტომების კეთებაში. პიტს უშველებელი ხელები აქვს. ძლიერად ურტყამს ფეხით და შეუძლია ბურთი მეტოქის საჯარიმოს მიაწვდინოს.

ევროპის ჩემპიონატზე დანიის ნაკრების პირველ მატჩებს შმაიხელი ასე იგონებს: „ინგლისელებმა ჩემს საჯარიმოში იმდენჯერ ჩამოაწოდეს ბურთი, რამდენსაც ინგლისის ეროვნულ ჩემპიონატში „მანჩესტერ იუნაიტედის“ საჯარიმოში აწვდიან. მე თავს ისე ვგრძნობდი, როგორც თევზი წყალში, თუმცა ეს ჩაწოდებები დიდ ხიფათს ჰქმნიდა. საბოლოოდ ყველაფერი კარგად დამთავრდა. საერთოდ მეკარისათვის ძალზე მნიშვნელოვანია პირველი მატჩი ასეთ ტურნირში „მშრალად“ ჩაატაროს... მეორე ტაიმში კი ინგლისელებს გადავუარეთ. არც შვედები უნდა გაგვეშვა უგოლოდ. მესამე თამაშში კი პაპენმა კლასიკური გოლი გამიტანა და ასეთი პიკანტური სიტუაცია რომ არ ყოფილიყო, ტაშსაც დავუკრავდი. ჰოლანდიასთან, როცა პენალტებზე მიდგა საქმე და მარკო ბურთთან მივიდა, მე უცებ მოვაგონე ჩემს თავს, რომ ის ძალიან დაიღალა, მე კი რაც არ უნდა იყოს, კარში ვიდექი. მაგრამ დარტყმა მაინც კარგი გამოუვიდა. ჰო, მართლა, მარკო მას შემდეგ ჩემი საყვარელი ფეხბურთელია“.

პენალტების სერიის წინ, კარში ჩადგომამდე პიტმა მეგობრებს შეუძახა: „ბიჭებო, ერთ დარტყმას მე ავილებ, თქვენ კი ყველა გაიტანეთ“. ბიჭებმაც პირნათლად შეასრულეს პიტის დავალება. ბერხკამპის პირველი საპასუხო გოლი კი შმაიხელს დღესაც ვერ უპატიებია თავისთვის. „ეს ჩემი გოლი იყო“ — ამბობს პიტი.

ფინალის წინ პიტი თავის შვედ კოლეგას, თომას რაველის წაეჩხუბა. საქმე ასე იყო: კოლეგებმა მოილაპარაკეს ფინალის წინ ერთმანეთს შეხვედროდნენ და თომას ჰესლერზე ესაუბრათ. სტუმრად მისულ რაველის შმაიხელი წარბშეკრული დაუხვდა, რადგან იმ დილას წაეკითხა შვედი კოლეგის მიერ გამოთქმული აზრი მასზე. აი, რას წერდა რაველი პიტზე: „შმაიხელი ისე გასუქდა, რომ თავისი 98 კილოგრამიანი ფიგურით ძლივს ეტევა კარის ჩარჩოში“. ჰოდა, რაველს გამარჯობაც არ ჰქონდა ნათქვამი, რომ პიტმა წელზე შემოხვია ხელები და კბილებში გამოსცრა: „ოო, თომას, ქონი შენც მოგმატებია ლიპზე“. რაველი იმწამსვე მიხვდა, რომ ჟურნალისტებმა ენას კბილი არ დააჭირეს და გახუმრება სცადა: „კარგი რა, პიტერ, არ მეგონა, თუ ასე ადვილად ღიზიანდებოდი“. მაგრამ შმაიხელი დათმობას არ აპირებდა და უცებ რატომღაც გაახსენა რაველის, რომ მან ცოცხალ კედელში ძალიან ბევრი ფეხბურთელი ჩააყენა, თუმცა ჰესლერმა მაინც გაუტანა გოლი ჯარიმიდან. რაველის კი უცებ მოაგონდა, რომ შარშან, შვედეთ — დანიის მატჩის შემდეგ (შვედებმა მოიგეს 4:0) შმეიხელმა მას ხელიც კი არ ჩამოართვა.

დანიელმა იქვე სცადა შეცდომის გამოსწორება და შინ მიმავალი თომასს უცებ ჩამოართვა ხელი, თვითონ კი კოლეგასთან უსიამოვნო ლაპარაკით გულდამძიმებულმა იმაზე დაიწყო ფიქრი, რა მოეხერხებინა ხვალ მეორე თომასისთვის, ამჯერად უკვე ჰესლერისთვის. მიუხედავად თითქმის ცენტნერი წონისა, პიტი შეუდარებელი იყო ამ მატჩში და ხანდახან ცალი ხელითაც ჩამოხსნიდა ხოლმე ბურთს გერმანელთა თავებიდან. ფინალის შემდეგ კი დაუზარელად არიგებდა ინტერვიუებს.

სანამ ნისლიანი ალბიონის ზღურბლზე გამოჩნდებოდა, შმაიხელი დანიაში 3000 დოლარს იღებდა. ფეხბურთს დიდი წარმატებით უთავსებდა კოპენჰაგენის ერთ-ერთ საგაზეთო გამოცემის სარეკლამო განყოფილებაში მუშაობას. „ჩემი სახე მუდამ პირველ გვერდზე იყო გაზეთში, ქალაქში ყველა იცნობდა „ძველ პიტს“, ეს კი ძალიან მეხმარებოდა მუშაობაში. მე გატაცებული ვიყავი ჩემი პროფესიით, მისი საშუალებით საკმაოდ კარგად ვიყავი ჩახედული პრესისა და ბიზნესის სამყაროში. ჩემი ძველი სამსახური: ხალიჩების წმენდა იყო, ჭურჭლის რეცხვა, თუ ჰუმანიტარული დახმარების განყოფილებაში მუშაობა, აშკარად არ მანიჭებდა სიამოვნებას“. ახლა შმაიხელი პროფესიონალი ფეხბურთელი გახდა და ძალიან ბედნიერია ამით. მისი წარმატებები ყველაზე მეტად მისი ოჯახის წევრებს უხარიათ. სხვათაშორის, პიტი საკმაოდ უზრუნველყოფილი ოჯახიდანაა, მამამისი ტოლეკი პიანისტია, დედა — იგნერი მედიცინის დად მუშაობს, ხოლო მეუღლე — ბენგე კი ერთ-ერთ დიდ ორგანიზაციაში.

შმაიხელს ძალიან უყვარს ჟურნალისტები, არასოდეს დაგზარდებათ ინტერვიუს. ვილნიუსში ლიტვის ნაკრებთან ფრედ ნათამაშევი მატჩის შემდეგ დანიელებს აბა რა ეინტერვიუებოდათ, მაგრამ შმაიხელი, სივებაკი და მიოლერ-ნილსენი მაინც შემოვიდნენ პრესკონფერენციის დარბაზში და საათნახევრის განმავლობაში ჟურნალისტთა შეკითხვებს პასუხობდნენ. წასვლისას პიტს ავტოგრაფი ვთხოვე, მან თავის სურათს პირდაპირ სახეზე დაასვა ავტოგრაფი და ჩემს პასუხზე, რომ მე საქართველოდან ვარ, წარბები აზიდა და თავისი ვეება ტორი ჩამომართვა.

ერთი კვირის შემდეგ უეფას თასზე მოსკოვის „ტორპედოსთან“ პიტმა მატჩისშემდგომი პენალტების წინ ისევ შესძახა თანაგუნდელებს: „ბიჭებო, ერთ დარტყმას მე ავილებო“ და აილო კიდეც, მაგრამ ბიჭებმა ყველა ვერ გაიტანეს.

ალბათ წარმატებისათვის მარტო კარგი ფეხბურთელობა არ კმარა, ამისთვის დანიელიც უნდა იყო...

პეტერ შმაიხელი კი ვან ბასტენთან მოგებული დუელის შემდეგ ლამის დანიის ეროვნულ გმირად იქცა.

**მამუკა კვარაცხელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აომორის თავისი მიზნები აქვს

იაპონიის პრეფექტურის აომორის ხელისუფალნი ვარაუდობენ, რომ აომორო შეიძლება გახდეს 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ერთ-ერთი მასპინძელი ქალაქი. ამ სურვილის რეალიზაციისთვის მათ კონკრეტული ზომებიც მიიღეს: მიიწვიეს მსოფლიო ფეხბურთის სუპერვარსკვლავი — პელე. იგი ამიერიდან ამ პრეფექტურის სამოყვარულო სპორტის ასოციაციის მრჩეველი იქნება. 51 წლის პელე იაპონიაში ჩაფრინდა და ხელი მოაწერა 200 000 დოლარიან კონტრაქტს. მას მოუწევს რჩევების მიცემა ქალაქში მსოფლიოს ჩემპიონატის შესაფერი სტადიონის მშენებლობისთვის. გარდა ამისა, ლეგენდარულ ბრაზილიელს 1996 წლამდე პერიოდულად მოუწევს ადგილობრივი საფეხბურთო სკოლის ხელმძღვანელობა.

ფეხბურთი იაპონიაში ბეისბოლის და ჭიდაობა სუმოს დარი პოპულარობით ვერ დაიკვეხნის, თუმცა ბოლო ხანს ქვეყანაში აშკარად შეიმჩნევა მცდელობა გამოიყენონ თავიანთი ფინანსური სიმძლავრეები, რათა იაპონია მსოფლიოს წამყვან საფეხბურთო სახელმწიფოთა რიგში ჩადგეს. იაპონურ გუნდებს უკვე აქვთ ისეთი ვარსკვლავების მოწვევის გამოცდილება, როგორებიც არიან ბრაზილიელი ზიკო და ინგლისელი გარი ლინეკერი. მთელ რიგ პროვინციულ კლუბებს სურთ არგენტინელი დიეგო მარადონას შეძენა.

იაპონია სერიოზულ პრეტენზიას აცხადებს იმაზეც, რომ იყოს მომავალ საუკუნეში პირველი მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძელი, რაშიც მისი კონკურენტები — სამხრეთ კორეა, ჩინეთი, მალაიზია და საუდის არაბეთი არიან. 15 ქალაქი და პრეფექტურა უკვე დღეს ეცილება ერთმანეთს მიიღოს თავის მოედნებზე მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატის რამდენიმე მატჩი. როგორც ვარაუდობენ, პრეტენდენტთაგან 12 უკვე ამ წლის ბოლოს იქნება დასახელებული. ქვეყანა კი, სადაც ჩემპიონატი გაიმართება, მხოლოდ 1996 წელს გახდება ცნობილი. ჯერჯერობით კი მხოლოდ საუკუნის ბოლომდე ჩასატარებელი ჩემპიონატების მასპინძელი ქვეყნებია ცნობილი: 1994 წელს მსოფლიოს ჩემპიონატი ჩატარდება აშშ-ში, 1998 წელს — საფრანგეთში.

# „კოლორადო ფოქსი“

## შეერთებული შტატების ჩემპიონი

„კოლორადო ფოქსმა“ ფინალურ შეხვედრაში ანგარიშით **1:0** დაამარცხა „ტამპა ბეი როუდიზი“ და შეერთებული შტატების ჩემპიონი გახდა. ერთადერთი გოლი პირველ ტაიმში, თერთმეტმეტრიანი დარტყმით გაიტანა ჩედ ეშტონმა.

აშშ-ს ჩემპიონატი ჩატარდა ამერიკის პროფესიული საფეხბურთო ლიგის ეგიდით. ეს ლიგა სხვადასხვა ფორმით არსებობს 1985 წლიდან, თუმცა როგორც ქვეყნის ერთადერთი, სრულუფლებიანი პროფესიული ლიგა აშშ-ს ფეხბურთის ფედერაციამ იგი მხოლოდ წლეულს აღიარა. ფედერაციის მიერ წაყენებულმა მაღალმა მოთხოვნებმა ბევრი გუნდი აიძულა უარი ეთქვა პირველობაში მონაწილეობაზე. საბოლოოდ, ჩემპიონატში მონაწილეობა მხოლოდ ხუთმა კლუბმა მიიღო.

აშშ-ში, სადაც 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართება, სპორტის ეს სახეობა ამაზე მეტი პოპულარობით არასდროს სარგებლობდა, თუმცა უკანასკნელ წლებში ფეხბურთის ფედერაციის, მსოფლიოს ჩემპიონატის ორგანიზატორთა და სპონსორთა მონადინების შედეგად ფეხბურთისადმი დამოკიდებულება ნელ-ნელა იცვლება.

# იუგოსლავიის ნაკრები თამაშგარე მდგომარეობაში

იუგოსლავიის ნაკრები გამოეთიშა მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატის მონაწილეთა რიცხვს. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო ბერნში ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ (ფიფა) მას შემდეგ, რაც ბელგრადმა ვერ შეძლო მიეღწია 30 სექტემბრამდე გაეროს სანქციების მოხსნისათვის. გაეროს სანქციები კრძალავს სპორტულ კონტაქტებს სერბიასა და ჩერნოგორიასთან.

როგორც ფიფას წარმომადგენელმა ანდრეას ჰერერმა განაცხადა, იუგოსლავიის ნაკრები მეხუთე შესარჩევ ჯგუფში არ შეიცვლება არც ერთი სხვა გუნდით. ფინალის ორ საგზურს გაითამაშებენ რუსეთის, უნგრეთის, საბერძნეთის, ისლანდიის და ლუქსემბურგის ფეხბურთელები.

# ასე ფიქრობს იოზეფ ბლატერი




ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპის კენჭისყრის საზეიმო ცერემონიალი. იოზეფ ბლატერი (შუაში) პელესა და იტალიელ კინოვარსკვლავ სოფია ლორენის გარემოცვაში.

ჩეხეთსლოვაკეთში ფეხბურთის ორი ფედერაციის (ჩეხეთისა და სლოვაკეთის) შესაძლო შექმნის საკითხები განიხილა პრაღაში ფიფას გენერალურმა მდივანმა იოზეფ ბლატერმა.

პრესკონფერენციაზე, ფიფაში ჩეხეთლოვაკეთის სამართალმემკვიდრეობაზე საუბრისას მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ პოკეისაგან განსხვავებით ფიფა თავისი წესებით იხელმძღვანელებს. ჩვენი გადაწყვეტილება ჩეხეთ-სლოვაკეთის ორ სახელმწიფოდ გაყოფის თაობაზე იქნება „წმინდა სპორტული“, მაგრამ იგი მოჰყვება საკითხის პოლიტიკურ მოგვარებას. იმ შემთხვევაში, თუ შეიქმნა ჩეხეთისა და სლოვაკეთის ფეხბურთის დამოუკიდებელი ფედერაციები, ისინი შეიძლება მიღებული იქნან ფიფა-ში მხოლოდ 1996 წელს, კონტინენტის ჩემპიონატისა და ოლიმპიური თამაშების შესარჩევ ჯგუფებში მოსახვედრად. მისი აზრით ძლიერ გუნდებს არ სჭირდებათ „აუცილებელი მატჩების“ გამართვა იმ მოწინააღმდეგესთან, რომლებიც მათზე აშკარად სუსტები არიან.

ფიფა-ს გენერალურმა მდივანმა აღიარა, რომ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია არ არის კმაყოფილი იტალიაში მსოფლიოს ჩემპიონატის მსაჯობის დონით და ზოგიერთი მატჩის ხარისხით: მან თქვა: „ჩემპიონატის ანალიზისას ჩვენ დავადგინეთ, რომ „პრობლემურ“ მატჩებს სჯიდნენ 45 წელს გადაცილებული მსაჯები, თითოეული მატჩი გრძელდებოდა დაახლოებით 50 წუთს („სუფთა დრო“) და ყველაზე დიდხანს ბურთი მეკარეებთან რჩებოდა. ბლატერის აზრით, საჭიროა მსაჯთა ზედა ასაკობრივი ზღვარის შემცირება 45 წლამდე. მან აგრეთვე მხარი დაუჭირა მსაჯთა საერთაშორისო კორპუსის პროფესიონალიზაციას.

# უკრაინის ნაკრებთა მწვრთნელები

43 წლის ანატოლი კონკოვი სათავეში ჩაუდგა უკრაინის ეროვნულ ნაკრებს, ხოლო ამ ქვეყნის ოლიმპიური ნაკრების მთავარი მწვრთნელად დაინიშნა 46 წლის ვლადიმერ მუნტიანი. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის მწვრთნელთა საბჭომ. წარსულში ორივე კიევის „დინამოს“ მოთამაშეა. შემდგომ კონკოვი მუშაობდა დონეცკის „შახტიორში“, ლენინგრადის „ზენიტში“, ხოლო მუნტიანი იყო კიევის არმიის საკლუბო გუნდის ხელმძღვანელი, გარკვეული დროის მანძილზე იგი კონტრაქტით მადაგასკარშიც მუშაობდა.

უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ვიქტორ ბანნიკოვმა განაცხადა, რომ განხილვაში მონაწილეობდა უმაღლესი ლიგის ყველა მწვრთნელი. ამ ორ პოსტზე აღმოჩნდა კანდიდატების რეკორდული რიცხვი — თოთხმეტი. მათ შორის — ვალერი ლობანოვსკი, ანატოლი ბიშოვეცი, ოლეგ ბლოხინი, ლეონიდ ბურიაკი, ანდრეი ბიბა, ოლეგ ბაზილევიჩი.

# MARADONA



დიეგო არმანდო მარადონა. არგენტინის ეროვნული ნაკრების კაპიტანი. მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი.

ანდალუსიის დედაქალაქში „სევილიასა“ და მიუნხენის „ბაიერნის“ შეხვედრა დამთავრდა ესპანური კლუბის გამარჯვებით — 3:1. მიუხედავად იმისა, რომ მატჩი ამხანაგური იყო, მან ყველა კონტინენტის ასეულობით ათასი გულშემატკივრის ყურადღება მიიპყრო. სევილიიდან პირდაპირ ტრანსლიაციას 90-ზე მეტი ტელეკომპანია უძღვებოდა.

ამის მიზეზი იყო დიეგო მარადონა, რომელიც 18 თვიანი იძულებითი (დისკვალიფიკაცია ნარკოტიკების მოხმარების გამო) შესვენების შემდეგ დაუბრუნდა ფეხბურთს. მარადონამ ცოტა ხნის წინ ანდალუსიის კლუბთან გააფორმა კონტრაქტი. ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ იტალიის „ნაპოლის“ ხელმძღვანელობა დათანხმდა 7,5 მილიონი ამერიკული დოლარის სანაცვლოდ მარადონასთვის ესპანეთში გადასვლის უფლება მიეცა. „სევილიის“ პრეზიდენტი ლუის კუერვა ფეხბურთელის დებიუტით კმაყოფილია. მან განაცხადა, რომ მარადონასთან ერთად „სევილია“ შეძლებს წარმატებების მიღწევას ეროვნულ ჩემპიონატშიც და საერთაშორისო სარბიელზეც.

სპეციალისტების აზრით, ამ შეხვედრაში დიეგომ აჩვენა ბრწყინვალე ტექნიკა, მოედნის ხედვა, ზუსტი პასი, თუმცა ბუნებრივია რომ იგი თავისი საუკეთესო ფორმისგან ჯერ შორს არის. პირველ ტაიმში მან ძელს მოარტყა ბურთი. ამასთან კაპიტნის სამკლაურიანი მარადონა შესანიშნავად ხელმძღვანელობდა თანაგუნდელთა თამაშს, ხოლო მეორე ტაიმში ორი გოლი მისი უშუალო დახმარებით გავიდა.



„სევილიაში“ 1992-



„ნაპოლიში“ 1984-92



„არგენტინოს ხუნიორსში“ 1976-80



„ბოკა ხუნიორსში“ 1980-82



„ბარსელონაში“ 1972-84



# მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის კალენდარი

(აზიის ზონის კალენდარი ჯერ არ დადგენილა, ამიტომ მხოლოდ ჯგუფების შემადგენლობას გთავაზობთ)

## სამხრეთ ამერიკა

9 გუნდი თავდაპირველად სამ საგზურს გაითამაშებს, მას „ა“ ჯგუფის ერთი და „ბ“ ჯგუფის ორი გამარჯვებული მიიღებენ, „ა“ ჯგუფში მეორე ადგილზე გასული კი კიდევ ერთი საგზურისთვის ოკეანიის ზონის გამარჯვებულსა და კონკაკაფის მეორე გუნდს შორის მოგებულს შეხვდება.

**„ა“ ჯგუფი: არგენტინა, კოლუმბია, პარაგვაი, პერუ**

01.08.93 კოლუმბია — პარაგვაი
პერუ — არგენტინა
08.08.93 პარაგვაი — არგენტინა
პერუ — კოლუმბია
15.08.93 კოლუმბია — არგენტინა
პარაგვაი — პერუ
22.08.93 არგენტინა — პერუ
პარაგვაი — კოლუმბია
29.08.93 არგენტინა — პარაგვაი
კოლუმბია — პერუ
05.09.93 პერუ — პარაგვაი
არგენტინა — კოლუმბია

**„ბ“ ჯგუფი: ბრაზილია, ურუგვაი, ეკვადორი, ბოლივია, ვენესუელა**

08.07.93 ეკვადორი — ბრაზილია
ვენესუელა — ბოლივია
25.07.93 ბოლივია — ბრაზილია
ვენესუელა — ურუგვაი
01.08.93 ურუგვაი — ეკვადორი
ვენესუელა — ბრაზილია
08.08.93 ბოლივია — ურუგვაი
ეკვადორი — ვენესუელა
15.08.93 ბოლივია — ეკვადორი
ურუგვაი — ბრაზილია
22.08.93 ბოლივია — ვენესუელა
ბრაზილია — ეკვადორი
29.08.93 ბრაზილია — ბოლივია
ურუგვაი — ვენესუელა
05.09.93 ბრაზილია — ვენესუელა
ურუგვაი — ეკვადორი
12.09.93 ვენესუელა — ეკვადორი
ურუგვაი — ბოლივია
19.09.93 ეკვადორი — ბოლივია
ბრაზილია — ურუგვაი

## აფრიკა

35 გუნდი გაითამაშებს სამ საგზურს.

**I ჯგუფი: ალჟირი, განა, უგანდა, ბურუნდი**

09.10.92 ალჟირი — ბურუნდი
11.10.92 განა — უგანდა
24.10.92 უგანდა — ალჟირი
25.10.92 ბურუნდი — განა
20.12.92 ბურუნდი — უგანდა
განა — ალჟირი
16.01.93 უგანდა — განა
17.01.93 ბურუნდი — ალჟირი
29.01.93 ალჟირი — უგანდა
31.01.93 განა — ბურუნდი
26.02.93 ალჟირი — განა
27.02.93 უგანდა — ბურუნდი

**II ჯგუფი: კამერუნი, ზაირი, ლიბერია, სვაზილენდი**

11.10.92 კამერუნი — სვაზილენდი
ზაირი — ლიბერია
25.10.92 ლიბერია — კამერუნი
სვაზილენდი — ზაირი
20.12.92 ზაირი — კამერუნი
20.12.92 სვაზილენდი — ლიბერია
17.01.93 სვაზილენდი — კამერუნი
ლიბერია — ზაირი
31.01.93 კამერუნი — ლიბერია
ზაირი — სვაზილენდი
28.02.93 კამერუნი — ზაირი
ლიბერია — სვაზილენდი

**III ჯგუფი: ეგვიპტე, ანგოლა, ზიმბაბვე, ტოგო**

11.10.92 ეგვიპტე — ანგოლა
ზიმბაბვე — ტოგო
22.10.92 ანგოლა — ზიმბაბვე
ტოგო — ეგვიპტე
20.12.92 ანგოლა — ტოგო
ზიმბაბვე — ეგვიპტე
17.01.93 ანგოლა — ეგვიპტე
ტოგო — ზიმბაბვე
31.01.93 ეგვიპტე — ტოგო
ზიმბაბვე — ანგოლა
28.02.93 ეგვიპტე — ზიმბაბვე
ტოგო — ანგოლა

**IV ჯგუფი: ნიგერია, კონგო, ლიბია, სამხრეთ აფრიკა**

10.10.92 ნიგერია — სამხ. აფრიკა
11.10.92 კონგო — ლიბია
23.10.92 ლიბია — ნიგერია
25.10.92 სამხ. აფრიკა — კონგო
20.12.92 კონგო — ნიგერია
სამხ. აფრიკა — ლიბია
15.01.93 ლიბია — კონგო
17.01.93 სამხ. აფრიკა — ნიგერია
30.01.93 ნიგერია — ლიბია
31.01.93 კონგო — სამხ. აფრიკა
26.02.93 ლიბია — სამხ. აფრიკა
27.02.93 ნიგერია — კონგო

**V ჯგუფი: კოტ დ'ივუარი, სუდანი, ნიგერი, ბოტსვანა**

10.10.92 კოტ'დივუარი — ბოტსვანა
სუდანი — ნიგერი
25.10.92 ბოტსვანა — სუდანი
ნიგერი — კოტ'დივუარი
19.12.92 სუდანი — კოტ'დივუარი
20.12.92 ბოტსვანა — ნიგერი
17.01.93 ბოტსვანა — კოტ'დივუარი
ნიგერი — სუდანი
30.01.93 სუდანი — ბოტსვანა
31.01.93 კოტ'დივუარი — ნიგერი
28.02.93 კოტ'დივუარი — სუდანი
ნიგერი — ბოტსვანა

**VI ჯგუფი: მაროკო, ტუნისი, ბენინი, ეთიოპია**

11.10.92 მაროკო — ეთიოპია
ტუნისი — ბენინი
25.10.92 ეთიოპია — ტუნისი
ბენინი — მაროკო
20.12.92 ეთიოპია — ბენინი
ტუნისი — მაროკო
17.01.93 ეთიოპია — მაროკო
ბენინი — ტუნისი
31.01.93 მაროკო — ბენინი
ტუნისი — ეთიოპია
28.02.93 მაროკო — ტუნისი
ბენინი — ეთიოპია

**VII ჯგუფი: სენეგალი, გაბონი, მოზამბიკი, მავრიტანია**

10.10.92 სენეგალი — მავრიტანია
11.10.92 გაბონი — მოზამბიკი
23.10.92 მავრიტანია — გაბონი
25.10.92 მოზამბიკი — სენეგალი
18.12.92 მავრიტანია — მოზამბიკი
19.12.92 გაბონი — სენეგალი
15.01.93 მავრიტანია — სენეგალი
17.01.93 მოზამბიკი — გაბონი
30.01.93 სენეგალი — მოზამბიკი
31.01.93 გაბონი — მავრიტანია
27.02.93 სენეგალი — გაბონი
28.02.93 მოზამბიკი — მავრიტანია

**VIII ჯგუფი: ზამბია, მაგადასკარი, ნამიბია, ტანზანია**

10.10.92 ზამბია — ტანზანია
11.10.92 მადაგასკარი — ნამიბია
24.10.92 ტანზანია — მადაგასკარი
25.10.92 ნამიბია — ზამბია
19.02.92 ტანზანია — ნამიბია
20.12.92 მადაგასკარი — ზამბია
16.01.93 ტანზანია — ზამბია
17.01.93 ნამიბია — მადაგასკარი
30.01.93 ზამბია — ნამიბია
31.01.93 მადაგასკარი — ტანზანია
27.02.93 ზამბია — მადაგასკარი
28.08.93 ნამიბია — ტანზანია

**IX ჯგუფი: კენია, გვინეა, მალი**

11.10.92 გვინეა — მალი
25.10.92 მალი — კენია
20.12.92 გვინეა — კენია
17.01.93 მალი — გვინეა
30.01.93 კენია — მალი
27.02.93 კენია — გვინეა

## აზია

29 გუნდი გაითამაშებს ორ საგზურს.

**I ჯგუფი: ჩინეთი, ერაყი, იორდანია, იემენი, პაკისტანი**

**II ჯგუფი: ირანი, სირია, ომანი, მიანმარი (ყოფილი ბირმა), ტაივანი**

**III ჯგუფი: ჩრდილოეთ კორეა, კატარი, სინგაპური, ვიეტნამი, ინდონეზია**

**IV ჯგუფი: კორეა, ბაჰრეინი, ჰონკონგი, ლიბანი, ინდოეთი**

**V ჯგუფი: საუდის არაბეთი, ქუვეითი, მალაიზია, მაკაო**

**VI ჯგუფი: არაბეთის გაერთიანებული საემიროები, იაპონია, ტაილანდი, შრი ლანკა, ბანგლადეში**

პირველი ეტაპის მატჩები გაიმართება 1993 წლის 1 იანვრიდან 30 ივნისამდე. გამარჯვებულთა ტურნირი ჩატარდება 1 აგვისტოდან 31 ოქტომბრამდე.

## ოკეანია

ამ რეგიონის 7 ქვეყანა დაყოფილია ორ ჯგუფად. გამარჯვებულები ერთმანეთში გაარკვევენ ზონის გამარჯვებულს, რომელიც შემდეგ კონკაკაფის მეორე გუნდს შეხვდება და თუ ამ ბარიერსაც დაძლევს, სამხრეთ ამერიკის პირველი ჯგუფის მეორე გუნდს შეხვდება ფინალური ტურნირის საგზურის მოსაპოვებლად.

**I ჯგუფი: ავსტრალია, ტაიტი, სოლომონის კუნძულები**

17.07.92 სოლომონის კ-ბი — ტაიტი 1:1
04.09.92 სოლომ. კ-ბი — ავსტრალია 1:2
11.09.92 ტაიტი — ავსტრალია
20.09.92 ავსტრალია — ტაიტი 2:0
25.09.92 ავსტრალია — სოლომ. კ-ბი 6:1
09.10.92 ტაიტი — სოლომონის კ-ბი

**II ჯგუფი: ახალი ზელანდია, ფიჯი, ვანუატუ**

07.06.92 ახ. ზელანდია — ფიჯი 3:0
27.06.92 ვანუატუ — ახ. ზელანდია 1:4
01.07.92 აზ. ზელანდია — ვანუატუ 8:0
12.09.92 ფიჯი — ვანუატუ 3:0
19.09.92 ფიჯი — ახ. ზელანდია
26.09.92 ვანუატუ — ფიჯი

## ჩრდილოეთი და ცენტრალური ამერიკა (კონკაკაფი)

23 ნაკრები პირდაპირ მხოლოდ ერთ საგზურს გაითამაშებს. გამარჯვებული პირდაპირ გადის ფინალში, მეორე ადგილზე გასული კი ოკეანიის რეგიონის ლიდერს შეხვდება.

**შესარჩევი წრე. ჩრდილო-კარიბული რეგიონი**

21.03.92 დომინიკას რესპუბლიკა — პუერტო რიკო 1:2
29.03.92 პუერტო რიკო — დომინიკას რესპუბლიკა 1:1
22.03.92 სენტ ლუსია — სენტ ვინსენტი 1:0
29.03.92 სენტ ვინსენტი — სენტ ლუსია 3:1

**ამის შემდეგ მატჩები სათასო სისტემით გაიმართა:**

**ცენტრალური რეგიონი:**

19.07.92 გვატემალა — ჰონდურასი 0:0
26.07.92 ჰონდურასი — გვატემალა 2:0
19.07.92 ნიკარაგუა — სალვადორი 0:5
23.07.92 სალვადორი — ნიკარაგუა 5:1
16.08.92 პანამა — კოსტა რიკა 1:0
23.08.92 კოსტა რიკა — პანამა 5:1

**კარიბის რეგიონი**

14.06.92 ანტიგუა — ბერმუდა 0:3
04.07.92 ბერმუდა — ანტიგუა 2:1
05.07.92 ტრინიდადი — იამაიკა 1:2
16.08.92 იამაიკა — ტრინიდადი 1:1
02.08.92 სურინამი — სენტ ვინსენტი 0:0
30.08.92 სენტ ვინსენტი — სურინამი 2:1

**გამარჯვებულ ექვს გუნდს დაემატა მექსიკა და კანადა. 8 გუნდი იასპარეზებს 2 ჯგუფად:**

**I ჯგუფი: მექსიკა, ჰონდურასი, სენტ ვინსენტი, კოსტა რიკა.**

**II ჯგუფი: კანადა, ბერმუდის კუნძულები, სალვადორი, იამაიკა.**

ორ-ორი გამარჯვებული შექმნის ფინალურ ჯგუფს, რომლის მომგებიც მიიღებს ფინალური ტურნირის საგზურს, მეორე ადგილზე გასული კი შეხვდება ოკეანიის ზონის გამარჯვებულს.



## სამხრეთ ამერიკა

რუბრიკას უძღვება
ბიძინა ბარათაშვილი

# „კოპა ლიბერტადორესი"

## კონტინენტის ყველაზე პოპულარული საკლუბო ტურნირი

კონტინენტის ეროვნულ პირველობებში გამარჯვებულთა შორის უძლიერესის გამოვლენის იდეა, ჯერ კიდევ 1949 წელს გამოითქვა. მაშინ, ჩილეს ჩემპიონ „კოლო კოლოს" ინიციატივით, სანტიაგოში მოეწყო საჩვენებელი ტურნირი, რომელშიც შვიდი ქვეყნის წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა. ესენი იყვნენ: „ვასკო და გამა" (ბრაზილია), „რივერ პლეიტი" (არგენტინა), „ნასიონალი" (ურუგვაი), „ლიტორალი" (ბოლივია), „ემელეკი" (ეკვადორი), „მუნისიპალი" (პერუ) და „კოლო კოლო". ფინანსური სიძნელეების გამო ტურნირმა ვერ დაიმკვიდრა ადგილი კონტინენტის საფეხბურთო კალენდარში.

როდესაც 1955 წელს ფრანგი ჟურნალისტის გაბრიელ ანოსა და გაზეთ „ეკიპის" ინიციატივით დაიწყო ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშება, სამხრეთ ამერიკელებმაც მოინდომეს მსგავსი შეჯიბრების ჩატარება. 5 წლის მანძილზე მიმდინარეობდა ცხარე დებატები და ბოლოს, 1960 წელს შედგა „კოპა ლიბერტადორეს დე ამერიკას" (ამერიკის განმათავისუფლებელთა თასი) დებიუტი. საბოლოოდ, საკითხის დადებითად გადაწყვეტაში მთავარი როლი ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირმა (უეფა) ითამაშა. იბადება კითხვა: რა კავშირი ჰქონდა უეფა-ს სხვა კონტინენტზე მოწყობილ შეჯიბრებასთან? საქმე ის არის, რომ სამხრეთ ამერიკის ჩემპიონთა თასის გათამაშება გახდა პირველი ნაბიჯი კიდევ ერთი, მეტად პოპულარული შეჯიბრის მოსაწყობად. ესაა საკონტინენტთაშორისო თასი. ეს უკანასკნელი იმთავითვე ყველა კონტინენტის ჩემპიონთა ტურნირად იყო ჩაფიქრებული, მაგრამ იდეა განუხორციელებელი დარჩა.

ახლა დავუბრუნდეთ „კოპა ლიბერტადორესს". ჩვენ განზრახ არ ვარქმევთ ამ ტურნირს სამხრეთ ამერიკის ჩემპიონთა თასს, როგორც, შეცდომით, თვლიან საქმეში ჩაუხედავი ჟურნალისტები. 1966 წლიდან მოყოლებული თასის გათამაშებაში, ჩემპიონებთან ერთად, ვიცე-ჩემპიონებიც მონაწილეობენ. ეს ცვლილება მოხდა თასისთვის ბრძოლის გასამძაფრებლად (პირველ წლებში შეჯიბრება ძალიან მოკლე დროში მთავრდებოდა).

პირველივე ტურნირში მოხდა გაუთვალისწინებელი რამ. ბრაზილიაში არ ტარდებოდა ეროვნული ჩემპიონატი, და საჭირო გახდა მინი-ტურნირის ჩატარება რომელმაც გამოავლინა „კოპა ლიბერტადორესის" მონაწილე — „ბაია".





70-იანი წლების დასაწყისის უძლეველი „ინდეპენდიენტე". დგანან (მარცხნიდან): მედინა, რაიმონდო, კომისო, სა, ლოპესი, პავონი; სხედან: ბალბუენა, პასტორისა, მალიონი, სემენევიჩი, მირკოლი.

1966 წლამდე შეჯიბრება ოლიმპიური სისტემით იმართებოდა. შემდეგ დაიწყეს მონაწილეთა ჯგუფებად დაყოფა. თითოეულ ჯგუფში ოთხი გუნდი ერთიანდება — ორ-ორი თითო ქვეყნიდან. შემდეგ ეტაპზე გადის სამი საუკეთესო. აქ კი ოლიმპიური სისტემა იწყება. სხვადასხვა ეტაპებზე განთესვის დროს კეთდება ყველაფერი, რათა ფინალში ერთი ქვეყნის ორი წარმომადგენელი არ მოხვდეს.

თუ გადავხედავთ თასის ისტორიას,. ვნახავთ, რომ გამარჯვებათა რაოდენობით წინაა არგენტინა. ამ ქვეყნის გუნდებმა 15-ჯერ მოიპოვეს პირველობა. ამას გარდა, 7-ჯერ დამარცხდნენ ფინალში. ურუგვაის აქტივშია 8 მოგება და 7 ფინალი, ბრაზილიისა — 6 და 6.

ჟურნალ „პლაკარის" აზრით, ბრაზილიელთა, შედარებით, მოკრძალებული შედეგები ორი მიზეზითაა განპირობებული. 1. ეროვნული პირველობის დახლართული სისტემა არ იძლეოდა რეალურად საუკეთესო გუნდის გამოვლენის საშუალებას; 2. 1966 წლიდან, მონაწილეთა რიცხვის გაზრდით უკმაყოფილო რამდენიმე კლუბმა, მათ შორის „სანტოსმა", დროებით უარი თქვა ტურნირში მონაწილეობაზე.

კლუბებს შორის გამარჯვებათა რიცხვით, აშკარა ლიდერია ბუენოს-აირესის გარეუბნის, აველანიდას „ინდეპენდიენტე", რომელმაც შვიდჯერ იზეიმა გამარჯვება. ინგლისური ჟურნალი „უორლდ სოკერის" მიმომხილველი ერიკ ვეილი „კოპა ლიბერტადორესისადმი" მიძღვნილ წერილთა ციკლში აღნიშნავს, რომ „დამოუკიდებლები" (ინდეპენდიენტე ითარგმნება, როგორც დამოუკიდებელი) ყველაზე კარგად მოერგნენ „განმათავისუფლებელთა თასს, რაც სავსებით ლოგიკურია".

ყველაზე უბედო გუნდად ითვლება კოლუმბიის „ამერიკა". 1985-87 წლებში ეს კლუბი ზედიზედ სამჯერ გავიდა ფინალში და სამივეჯერ დამარცხდა.

„კოპას" ჰყავს თავისი [illegible] მწვრთნელთა შორის ესაა ლა პლატის „ესტუდიანტესის" ხელმძღვანელი ოსვალდო სუბელდია. იგი ყველაზე მეტჯერ (3) გახდა თასის მფლობელი, ხოლო როგორც კი მიატოვა „ესტუდიანტესი", გუნდი მყისვე დამარცხდა. მთავარი კი ისაა, რომ სუბელდიას ჰქონდა უნიკალური კარტოთეკა კონტინენტის ყველა კლუბისა და ყველა წამყვანი მოთამაშის შესახებ. პირად საქმეებში შეტანილი იყო მოთამაშეთა არა მხოლოდ საფეხ-

### „კოპა ლიბერტადორესის" ყველა ფინალი

1960. „პენიაროლი" (ურუგვაი) — „ოლიმპია" (პარაგვაი) 1:0, 1:1
1961. „პენიაროლი" — „პალმეირასი" (ბრაზილია) 1:0, 1:1
1962. „სანტოსი" (ბრაზილია) — „პენიაროლი" 2:1, 2:3, 3:0
1963. „სანტოსი" — „ბოკა ხუნიორსი" (არგენტინა) 3:2, 2:1
1964. „ინდეპენდიენტე" (არგენტინა) — „ნასიონალი" (ურუგვაი) 0:0, 1:0
1965. „ინდეპენდიენტე" — „პენიაროლი" 1:0, 1:3, 4:1
1966. „პენიაროლი" — „რივერ პლეიტი" (არგენტინა) 2:0, 2:3, 4:2
1967. „რასინგი" (არგენტინა) — „ნასიონალი" 0:0, 0:0, 2:1
1968. „ესტუდიანტესი" (არგენტინა) — „პალმეირასი" 2:1, 1:3, 2:0
1969. „ესტუდიანტესი" — „ნასიონალი" 1:0, 2:0
1970. „ესტუდიანტესი" — „პენიაროლი" 1:0, 0:0
1971. „ნასიონალი" — „ესტუდიანტესი" 0:1, 1:0, 2:0
1972. „ინდეპენდიენტე" — „უნივერსიტარიო" (პერუ) 0:0, 2:1
1973. „ინდეპენდიენტე" — „კოლო კოლო" (ჩილე) 1:1, 0:0, 2:1
1974. „ინდეპენდიენტე"— „სან პაულუ" (ბრაზილია) 1:2, 2:0, 1:0
1975. „ინდეპენდიენტე" — „უნიონ ესპანიოლა" (ჩილე) 0:1, 3:1, 2:0
1976. „კრუზეირო" (ბრაზილია) — „რივერ პლეიტი" 4:1, 1:2, 3:2
1977. „ბოკა ხუნიორსი" — „კრუზეირო" 1:0, 0:1, 0:0, პ5:4
1978. „ბოკა ხუნიორსი" — „დეპორტივო კალი" (კოლუმბია) 0:0, 4:0
1979. „ოლიმპია" (პარაგვაი) — „ბოკა ხუნიორსი" 2:0, 0:0
1980. „ნასიონალი" — „ინტერნასიონალი" (ბრაზილია) 0:0, 1:0
1981. „ფლამენგო" (ბრაზილია) — „კობრელოა" (ჩილე) 2:1, 0:1, 2:0
1982. „პენიაროლი" — „კობრელოა" 0:0, 1:0
1983. „გრემიო" (ბრაზილია) — „პენიაროლი" 2:1, 1:1
1984. „ინდეპენდიენტე" — „გრემიო" 1:0, 0:0
1985. „არგენტინოს ხუნიორსი" — „ამერიკა" (კოლუმბია) 1:0, 0:1, 1:1, პ5:4
1986. „რივერ პლეიტი" — „ამერიკა" 2:1, 1:0
1987. „პენიაროლი" — „ამერიკა" 0:2, 2:1, 1:0
1988. „ნასიონალი" — „ნიუელს ოლდ ბოისი" (არგენტინა) 0:1, 3:0
1989. „ატლეტიკო ნასიონალი" (კოლუმბია) — „ოლიმპია" 0:2; 2:0, პ5:4
1990. „ოლიმპია" — „ბარსელონა" (ეკვადორი) 2:0, 1:1
1991. „კოლო კოლო" — „ოლიმპია" 0:0, 3:0
1992. „სან პაულუ" — „ნიუელს ოლდ ბოისი" 0:1, 1:0, პ3:2

ბურთო მონაცემები. აღინუსხებოდა მათი ფსიქოლოგიური სისუსტეც, მაგალითად, რომელი ფეხბურთელი რაზე ღიზიანდებოდა.

ფეხბურთელთაგან გამოვყოფთ სამს. ურუგვაელმა ხულიო მორალესმა 37 წლის ასაკში იკისრა „ნასიონალის“ ლიდერის როლი და მოაპოვებინა მას თასი 1980 წელს. მისი თანამემამულე ფერნანდო მორენა „პენიაროლში“ თამაშობდა. 1982 წელს გუნდთან ერთად მოიგო თასი, ხოლო კარიერის დასრულებიდან ორი წლის შემდეგ, როცა „პენიაროლს“ გაუჭირდა, მორენა დაბრუნდა და ჯგუფური ტურნირის სტარტზე განცდილი ორი მარცხის შემდეგ, მაინც გაიყვანა კლუბი შემდეგ ეტაპზე. დაბოლოს, არგენტინელმა რიკარდო ბოჩინიმ სამჯერ მოიპოვა თასი, 73-75. უარი თქვა ევროპაში გადასვლაზე გუნდთან ერთად გადალახა კრიზისი და მოესწრო თავისი „ინდეპენდიენტეს“ აღზევებას 1984 წლის არგენტინის ნაკრებში და სიმბოლური გამოსვლა მეხიკოს სტადიონზე, რათა მსოფლიო ჩემპიონად დაემთავრებინა კარიერა.

წლევანდელი გათამაშება აღინიშნა ბრაზილიის „სან პაულუსამ“ და არგენტინის „ნიუელს ოლდ ბოისის“ უკომპრომისო პაექრობით. ნახევარფინალებამდე ორივე კლუბი საკმაოდ დამაჯერებლად მივიდა. ამ ეტაპზე მოწინაღმდეგეებმა მათ დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს, მაგრამ შეჩერება მაინც ვერ შესძლეს. ფინალური შეხვედრები გაჭრილ ვაშლივით ჰგავდა ერთმანეთს. მოწინააღმდეგენი აშკარად თანაბარი ძალისა აღმოჩნდნენ, პირველი თამაში როსარიოში ჩატარდა. ბერიცოს მიერ გატანალი პენალტი და „ნიუელსმა“ მოიგო 1 : 0. საპასუხო მატში სურათი შეიცვალა. ამჯერად 11-მეტრიანი არგენტინელთა კარში დაინიშნა. ბრაზილიელმა რაიმ ზუსტად დაარტყა 1:0, დამატებით დროში ანგარიში არ შეცვლილა. დაინიშნა პენალტების სერია. დრამატიზმმა უმაღლეს წერტილს მიაღწია. ბრწყინვალედ თამაშობდნენ მეკარეები, სცოდავდნენ თავდამსხმელები... საბოლოოდ 3:2 მოიგო „სან პაულუმ“ და თასიც მას დარჩა. ახლა ტელე სანტანას გუნდი საკონტინენტათაშორისო თასის გათამაშებაში შეხვდება „ბარსელონას“. რეპეტიცია უკვე შედგა. აგვისტოში „სან პაულუმ“ საერთაშორისო კომერციული მინი-ტურნირის ფინალურ მატჩში მისსავე მინდორზე გაანადგურა მოწინააღმდეგე 4:1. ვნახოთ, რა იქნება დეკემბერში.



ტოსტაო — პირველი ლაურეატი.



ეს ძველი ფოტო, რომელზეც პელე „თეთრი სახლის“ მოლზე შეერთებული შტატების ყოფილ პრეზიდენტ ჯერალდ ფორდთან ერთად ბურთაობისასაა გადაღებული, იმიტომ მოვიძიეთ, რომ „ფეხბურთის მეფე“ კვლავ გამოჩნდა პოლიტიკურ სარბიელზე, თუმცა ბოლო წლებში მის მოღვაწეობას თუ გავითვალისწინებთ, მოულოდნელი განცხადებით: „გავრცელებული აზრის მიუხედავად მე არ მსურს გავხდე პრეზიდენტი. დარწმუნებული ვარ, რომ თუ კი ამას მოვისურვებდი, ბრაზილიელები დაუყოვნებლივ ამირჩევდნენ“.

„პოლიტიკოსები მცირე გამონაკლისის გარდა კორუმპირებულნი არიან, ხოლო მე ჩემი ფული კეთილსინდისიერად მაქვს გამომუშავებული. პოლიტიკური მოღვაწეები პატივს არ სცემენ ხალხს. პოლიტიკოსები მდიდრები არიან,ხოლო ათასობით ადამიანი შიმშილობს, და ეს ხდება ქვეყანაში, რომელიც ასე მდიდარია ბუნებრივი რესურსებით“ — ამბობს პელე.

პელეს აზრით, არ არსებობს არავითარი იმედი იმისა, რომ ისეთი პრობლემები, როგორიცაა კორუფცია, სილატაკე და გარემოს დაბინძურება. სწრაფად გადაწყდება ბრაზილიაში. „ოცი წლის წინ — ამბობს იგი — მე გავიტანე ჩემი მეათასე გოლი და იგი მივუძღვენი ფაველების ბავშვებს. მაშინ მე ვთხოვდი პოლიტიკოსებს დახმარებოდნენ მათ რაიმეთი. მაგრამ დღეს უკვე იმ ბავშვების შვილები ცხოვრობენ იგივე ფაველებში და იქ არაფერი არ იცვლება“.

## კონტინენტის საუკეთესო ფეხბურთელები

1971. ტოსტაო — ედუარდო გონკალვეშ დე ანდრადე (ბრაზილია). თავდამსხმელი. დაიბადა 25.01.1947. „კრუზეირო“.

1972. ტეოფილო კუბილიასი (პერუ). თავდამსხმელი. 8.03.1949. „ალიანსა“ ლიმა.

1973. პელე — ედსონ არანტეს დუ ნასიმენტუ (ბრაზილია). თავდამსხმელი. 23.10.1940. „სანტოსი“.

1974, 75, 76. ელიას ბრანდერ ფიგეროა (ჩილე).. მცველი. 25.01.1946. „ინტერნასიონალი“ პორტუ ალეგრე.

1977. 81, 82. ზიკო — არტურ ანტუნიეშ კოიმბრა (ბრაზილია). ნახევარმცველი 3.03.1953. „ფლამენგო“.

1978 მარიო ალბერტო კემპესი (არგენტინა). თავდამსხმელი. 15.07.1954. „ვალენსია“.

1979, 80. დიეგო არმანდო მარადონა (არგენტინა). თავდამხმელი. 30.10. 1960. „არგენტინოს ხუნიორსი“.

1983. სოკრატესი — სოკრატეს ბრაზილეირუ სამპაიუ დე სოუზა ვიეირა დე ოლივეირა (ბრაზილია). ნახევარმცველი. 19.02.1954. „კორინტიანსი“.

1984. ენცო ფრანჩესკოლი (ურუგვაი). თავდამსხმელი. 12.11.1961. „რივერ პლეიტი“ ბუენოს-აირესი.

1985. ხულიო სესარ რომერო (პარაგვაი). ნახევარმცველი. 15.03.1959. „ფლუმინენსე“.

1986. ანტონიო ალსამენდი (ურუგვაი) თავდამსხმელი. 7.06.1956. „რივერ პლეიტი“ ბუენოს-აირესი.

1987. კარლოს ალბერტო ვალდერამა (კოლუმბია). ნახევარმცველი. 2.09.1961. „დეპორტივო“ კალი.

1988. რუბენ ვალტერ პასი (ურუგვაი). ნახევარმცველი. 8.08.1959. „რასინგი“ ბუენოს-აირესი.

1989. ბებეტო — ჟოზე რობერტო გამა დე ოლივეირა (ბრაზილია). თავდამსხმელი. 16.02.1964. „ვასკო და გამა“.

1990. ვისენტე რაულ ამარილია ვერა (პარაგვაი). თავდამსხმელი. 19.07.1960. „ოლიმპია“.

1991. ოსკარ ალფრედო რუჯერი (არგენტინა). მცველი. 26.01.1962. „ველეზ სარსფილდი“.

## ყურადღება, ახალი თასი!

ბრაზილიის საფეხბურთო კლუბი „ატლეტიკო მინეირო“ გახდა კონმებოლის თასის პირველი მფლობელი. ეს სამხრეთ ამერიკისათვის ახალი შეჯიბრებაა, რომელიც წელს პირველად ჩატარდა და ევროპულ უეფას თასის ანალოგს წარმოადგენს. გათამაშებაში 10 ქვეყნის 16 გუნდმა მიიღო მონაწილეობა. ფინალში, რომელიც ორი მატჩისაგან შედგებოდა, ბრაზილიელთა მეტოქე იყო პარაგვაის „ოლიმპია“ (ასუნსიონი). პირველი მატჩი „ატლეტიკომ“ 2:0 მოიგო. საპასუხო შეხვედრაში ასუნსიონში „ოლიმპიამ“ რევანში აიღო ანგარიშით 1:0. მაგრამ ორი შეხვედრის ჯამში თასს ბრაზილიელები დაეუფლნენ.

# სტატისტიკა

## ჩემპიონთა თასი

### წინასწარი ეტაპი

„სკონტო" (რიგა, ლატვია) — „კლაკსვიკარი" (ფარერის კ-ბი) 3:0 (3:1)
3:1 ასტაფიევი (28), ლობანოვი (46), დემენტიევი (90); დანიელსენი (48)
3:0 ელისეევი (4), სემიონოვი (38), ასტაფიევი (52)
„ნორმა" (ტალინი, ესტონეთი) — „ოლიმპია" (ლუბლიანა, სლოვენია) 0:2 (0:3)
0:3 უბავიჩი (50), ტოპიჩი (51), ვრაბაცი (62)
0:2 ზულიჩი (27), ჯურანოვიჩი (89)
„ტავრია (სიმფეროპოლი, უკრაინა) — „შელბურნი" (ირლანდია) 2:1 (0:0)
2:1 შევჩენკო (8), შეიხამეტოვი (13); დალი (41)
„მაკაბი" (თელ-ავივი, ისრაელი) — „ლა-ვალეტა" (მალტა) 1:0 (2:1)
2:1 კოენი (83), ნიმნი (88); ზერაფა (74)
1:0 მეირ მელიქა (24)

### მეთექვსმეტედფინალი

„ოლიმპია" (ლუბლიანა, სლოვენია) — „მილანი" (იტალია) 0:3 (0:4)
0:4 ვან ბასტენი (5, 49), ალბერტინი (7), პაპენი (64)
0:3 მასარო (31), რაიკაარდი (50), ტასოტი (85)
„სკონტო" (რიგა, ლატვია) — „ლეხი" (პოზნანი, პოლონეთი) 0:0 (0:2)
0:2 ტუეჩაკი (26), პოდბლოუნი (41)
„ჟალგირისი" (ვილნიუსი, ლიტვა) — პსვ (ეინდჰოვენი, ჰოლანდია) 0:2 (0:6)
0:6 ე.კუმანი (24), ელერმანი (36, 59, 64), კიფტი (68), ნიუმანი (78)
0:2 ნიუმანი (22), რომარიო (39)
„ვიკინგი" (სტავანგერი, ნორვეგია) — „ბარსელონა" (ესპანეთი) 0:0 (0:1)
0:1 ამორი (86)
„დინამო" (ბუქარესტი, რუმინეთი) — „კუუსუსი" (ლაპტი, ფინეთი) 2:0 (0:1)
0:1 რინე (86)
2:0 გერშტენმაიერი (64), დემოლარი (114)
„ლიუნგბიუ" (დანია) — „გლაზგო რეინჯერსი" (შოტლანდია) 0:1 (0:2)
0:2 ჰეიტლი (40), ჰუისტრა (67)
0:1 დარენტი (84)
„ფერენცვაროში" (ბუდაპეშტი) — „სლოვანი" (ბრატისლავა) 0:0 (1:4)
1:4 ლიპჩეი (75); გოსტიჩი (20), დუბოვსკი (52, 55), მორავეცი (85)
ცსკა (სოფია, ბულგარეთი) — „აუსტრია" (ვენა, ავსტრია) 3:2 (1:3)
1:3 უიუკოვი (57); ჰაზენჰუტელი (16), ფრიდრიკასი (82), კოგლერი (90)
3:2 მეტკოვი (4), ანდონოვი (60), დრაგანოვი (72); ფლეგელი (28), ივანაუსკასი (68)
„ტავრია" (სიმფეროპოლი, უკრაინა) — „სიონი" (შვეიცარია) 1:3 (1:4)
1:4 შევჩენკო (83,პ); პოტიგერი (17), ტულიო (34, 72), აზიზი (77)
1:3 შევჩენკო (69,პ); ტულიო (67, 77), პერი (88)
„პორტუ" (პორტუგალია) — „უნიონი" (ლუქსემბურგი) 5:0 (4:1)
4:1 სემედუ (41), კოუტუ (47), ტონი (51), დომინგუში (90); დევილი (63)
5:0 კოსტადინოვი (16, 32), ტონი (26, 61), ჟოზე კარლუში (67)
ცსკა (მოსკოვი, რუსეთი) — „ვიკინგური" (რეიკიავიკი, ისლანდია) 4:2 (1:0)
1:0 კორსაკოვი (70)
4:2 სერგეევი (25), კორსაკოვი (41), გრიშინი (45), კოლესნიკოვი (86); ეინარსონი (31), გუდვინსური (74)
„ბრიუგე" (ბელგია) — „მაკაბი" (თელ-ავივი, ისრაელი) 3:0 (1:0)
1:0 სტელენსი (35)
3:0 სტელმანსი (56), ვერხეინი (76, 83)
„აპოელი" (ნიქოზია, კვიპროსი) — AEK (ათენი, საბერძნეთი) 2:2 (1:1)
1:1 ხაძილუკასი (72); ალექსანდრისი (41)
2:2 გოგიჩი (77), ფასულიოტისი (84); შაბანაჯოვიჩი (21), ალექსანდრისი (70)
„ბეშიქთაში" (სტამბული, თურქეთი) — „გიოტებორგი" (შვეცია) 2:1 (0:2)
0:2 ესკელაინენი (72), ექსტრიომი (82)
2:1 მეტინი (25), ფეიაზი (73); ესკელაინენი (11)
„ოლიმპიკი" (მარსელი) — „გლენტორანი" (ბელფასტი, ჩრდ. ირლანდია) 3:0 (5:0)
5:0 ფიოლერი (4), მარტინ ვასკესი (20, 30), სოზე (43), ფერერი (85)
3:0 ომამ ბიიიკი (6), პელე (13), ბოლი (75)
„ლიდს იუნაიტედი" (ინგლისი) — „შტუტგარტი" (გერმანია) 4:1 (0:3)
0:3 ვალტერი (63, 68), ბუკი (81)
4:1 სპიდი (18), მაკალისტერი (38პ), კანტონა (66), ჩეპმენი (80); ბუკი (33)

მეორე მატჩში „შტუტგარტს" ჩაეთვალა წაგება 0:3. გადათამაშება ბარსელონაში მოიგო „ლიდსმა" 2:1. სტრაჩანი (33), შარპი (77); პოლკე (39)

### მერვედფინალის კენჭისყრა

„სიონი" (შვეიცარია) — „პორტუ" (პორტუგალია)
„ბრიუგე" (ბელგია) — „აუსტრია" (ვენა, ავსტრია)
„დინამო" (ბუქარესტი, რუმინეთი) — „ოლიმპიკი" (მარსელი, საფრანგეთი)
„სლოვანი" (ჩეხეთსლოვაკეთი) — „მილანი" (იტალია)
ცსკა (რუსეთი) — „ბარსელონა" (ესპანეთი)
აეკ (საბერძნეთი) — პსვ (ეინდჰოვენი, ჰოლანდია)
„გეტებორგი" (შვედეთი) — „ლეხი" (პოლონეთი)
„გლაზგო რეინჯერსი" (შოტლანდია) — „ლიდს იუნაიტედი" (ინგლისი)

## თასების თასი

### წინასწარი ეტაპი

„ბოლტფელაჯო 1936" (ფარერის კ-ბი) — „ავენირი" (ლუქსემბურგი) 1:1 (0:1)
0:1 კრინგსი (1)
1:1 რაინპაიმი (9); კრახენი (28)
„ჩერნომორეცი (ოდესა, უკრაინა) — „ვადუცი" (ლიხტენშტაინი) 7:1 (5:0)
5:0 ციმბალარი (45), ლებედი (47), საკი (53), გუსევი (81, 82)
7:1 ნიკიფოროვი (7, 49, 79, 89), იაბლონსკი (20), ციმბალარი (25), ლებედი (78); შტიუბერი (85)
„აპოელი" (ფეთახ-თიკვა, ისრაელი) — „სტრემგოდსეტი" (ნორვეგია) 2:0 (2:0)
2:0 ბასონი (47, 58)
2:0 ნევინი (17), ბასონი (58)
„ჰამრუნ სპარტანსი" (მალტა) — „ბრანიკი" (მარიბორი, სლოვენია) 2:1 (0:4)
0:4 სემუნჯა (16, 30), ტარანა (48), ბინკოვსკი (76)
2:1 ბრინკატი (32, 59); ტარანა (37)

### მეთექვსმეტედფინალი

„მონაკო" — „მეძი" (ლეგნიცა, პოლონეთი) 0:0 (1:0)
1:0 უორკეფი (3)
„ტურუნ პალოსეურა" (ფინეთი) — „ტრაბზონსპორი" (თურქეთი) 2:2 (0:2)
0:2 პამი (51, 65)
2:2 კაიდი (1), ლეპტონენი (84); პამდი (14), ორპანი (60)
„სტიაუა" (ბუქარესტი, რუმინეთი)—„ბოჰემიანსი" (დუბლინი, ირლანდია) 4:0 (0:0)
4:0 ანდრასი (26, 34), ვლადოიუ (45), იონი (85)
„სპარტა" (პრაღა, ჩეხეთსლოვაკეთი) — „ეირდრიონიანსი" (შოტლანდია) 2:1 (1:0)
1:0 სოპკო (88)
2:1 ვრაბეცი (31), ვონასეკი (37); ბლეკი (55)
„ჩერნომორეცი" (ოდესა) — „ოლიმპიაკოსი" (პირეოსი, საბერძნეთი) 0:3 (1:0)
1:0 საკი (4)
0:3 მიტფიდონასი (15), ლიტოვჩენკო (27), პროტასოვი (80)
„ბოავიშტა" (პორტუ, პორტუგალია) — „ვალიური" (რეიკიავიკი, ირლანდია) 3:0 (0:0)
3:0 მარლონი (14, 86), რიკი (26)
„ანტვერპენი" (ბელგია) — „გლენავონი" (ჩრდ. ირლანდია) 1:1 (1:1) პ3:1
1:1 ლეინპოფი (46); სმიტი (45)
1:1 კიეკენსი (67,პ); სმიტი (77)
„ადმირა ვაკერი" (ავსტრია) — „კარდიფ სიტი" (უელსი) 2:0 (1:1)
1:1 აბფალტერერი (44); პაიკი (59)
2:0 მარშალი (47), აბფალტერერი (90)
„უიპეშტ დოჟა" (უნგრეთი) — „პარმა" (იტალია) 1:1 (0:1)
0:1 ასპრილია (48)
1:1 პეტეში (62); გრიუნი (53)
„ორჰუსი" (დანია) — AIK (სტოკჰოლმი, შვედეთი) 1:1 (3:3)
3:3 ტოფტინგი (15), კრისტენსენი (35, 54); სიმპსონი (51), პალსტრიომი (56), ევტუშენკო (85)
1:1 პარდერი (67); სიმპსონი (20)
„ავენირი" (ლუქსემბურგი) — „სპარტაკი" (მოსკოვი, რუსეთი) 1:5 (0:0)
1:5 ნოვაკი (85); ონოპკო (5), პიატნიცკი (9, 78), რადჩენკო (55), პოპოვი (58)
„აპოლონი" (ლიმასოლი, კვიპროსი) — „ლივერპული" (ინგლისი) 1:2 (1:6)
1:6 სპოლიარიჩი (83,პ); სტიუარტი (4, 38), რაში (40, 50, 55, 74)
1:2 სპოლიარიჩი (60); რაში (62), პატჩინსონი (68)
„ლიუცერნი" (შვეიცარია) — „ლევსკი" (სოფია, ბულგარეთი) 1:0 (1:2)
1:2 კამენზინდი (8); ბორიმიროვი (52), გეტოვი (79პ)
1:0 კამენზინდი (24)
„ატლეტიკო" (მადრიდი, ესპანეთი) — „ბრანიკი" (მარიბორი, სლოვენია) 6:1 (3:0)
3:0 ალფრედო (26), ლუის გარსია (43, 56)
6:1 ალფარო (17), როდრიგესი (45), საბასი (48,პ), პისო გომესი (69), აგილერა (80), რატკოვიჩი (85, საკუთარ კარში); ბიკაჩიჩი (22)
„აპოელი" (ფეთახ-თიკვა, ისრაელი)—„ფეიენოორდი (როტერდამი, ჰოლანდია) 2:1 (0:1)
0:1 კიპრიხი (89)
2:1 ლევინი (2), კაკანი (50); ფრეიზერი (69)
„ჰანოვერ 96" (გერმანია) — „ვერდერი" (ბრემენი, გერმანია) 2:1 (1:3)
1:3 ვუიციცკი (26,პ); რუფერი (19, 28), ბრატსეტი (45)
2:1 დაშნერი (29, 33); რუფერი (19პ)

### მერვედფინალის კენჭისყრა

„ტრაბზონსპორი" (თურქეთი) — „ატლეტიკო" (მადრიდი, ესპანეთი)
„ორჰუსი" (დანია) — „სტიაუა" (რუმინეთი)
„ადმირა ვაკერი" (ავსტრია) — „ანტვერპენი" (ბელგია)
„სპარტაკი" (მოსკოვი, რუსეთი) — „ლივერპული" (ინგლისი)
„ლუცერნი" (შვეიცარია) — „ფეიენოორდი" (ჰოლანდია)
„ვერდერი" (გერმანია) — „სპარტა" (ჩეხეთსლოვაკეთი)
„მონაკო" — „ოლიმპიაკოსი" (საბერძნეთი)
„პარმა" (იტალია) — „ბოავიშტა" (პორტუგალია)

## უეფას თასი

### ოცდამეთორმეტედფინალი

„ანდერლეხტი" (ბრიუსელი) — „ჰიბერნიენი" (ედინბურგი, შოტლანდია) 1:1 (2:2)
2:2 დე გრიზი (39), ვან ფოსენი (67); ბომონი (4), მაკგინლი (80)
1:1 ნილისი (5); ჯეკსონი (15)
„დერი სიტი" (ირლანდია) — „ვიტესი" (არნემი, ჰოლანდია) 1:2 (0:3)
0:3 ვან დერ ბრომი (20, 56), ლატუპერუ (89)
1:2 მუნი (60); სტრაალი (45), ლაამერსი (65)
„ნაპოლი" (იტალია) — „ვალენსია" (ესპანეთი) 1:0 (5:1)
5:1 ფონსეკა (20, 60, 65, 87, 89); რ.ფერნანდესი (54)
1:0 ფონსეკა (7)
„ფრემი" (კოპენჰაგენი, დანია) — „ქსამაქსი" (ნოიშატელი, შვეიცარია) 4:1 (2:2)
2:2 მიკელსენი (17), კენჩოსი (21, საკ. კარში); სუტერი (50), მანფრედა (51)
4:1 პარენი (17, 37), იენსენი (19), ტოგერსენი (53); მანფრედა (24)
„აიაქსი" (ამსტერდამი, ჰოლანდია) — „კაზინო" (ზალცბურგი, ავსტრია) 3:1 (3:0)
3:0 დევიდსი (53), ოვერმარსი (65), კრეეკი (79)
3:1 პეტერსონი (26, 79), ბერხკამპი (49); რაიზინგერი (60)
„რეალ-სოსიედადი" (სან-სებასტიანი)—„ვიტორია" (გიმარაეში, პორტუგალია) 2:0 (0:3)
0:3 კუპრეჩანინი (15, 75), პედრო (31)
2:0 ლუმბრერასი (6), ფუენტესი (23)
„სპორა" (ლუქსემბურგი) — „შეფილდ უენსდეი" (ინგლისი) 1:2 (1:8)
1:8 კრუზი (11); უოდლი (9), ანდერსონი (23, 29), უორპერსტი (31, 73), ბერტ უილიამსი (60, 81), უორთინგტონი (65)
1:2 კრუზი (20); უოტსონი (18), უორპერსტი (36)

PAOK (სალონიკი, საბერძნეთი) — „პარი სენ-ჟერმენი" (საფრანგეთი) 0:2 (0:2)
0:2 ვეა (12, 25)

0:2 ვეა (15), სასიუ (33). მატჩი ტრიბუნებზე უწესრიგობის გამო პირველი ტაიმის შემდეგ შეწყდა. PAOK-ს ჩაეთვალა წაგება.

„ერებრუ" (შვედეთი) — „მეხელენი" (ბელგია) 0:0 (1:2)
1:2 მილდვისტი (83); ეიკელკამპი (32), დე ბუკი (63)

„რეალი" (სარაგოსა, ესპანეთი) — „კაენი" (საფრანგეთი) 2:0 (2:3)
2:3 სანხუან გარსია (31), პარდესა (79); პაილი (6,36), გრაველაინი (17)
2:0 ბრემე (23), პოიე (64)

„გრონინგენი (ჰოლანდია) — „ვაც სამსუნგი" (უნგრეთი) 1:1 (0:1)
0:1 ფუელე (27)
1:1 პუიზინგა (55); ფუელე (43)

„კაიზერსლაუტერნი" (გერმანია) — „ფრამი" (რეიკიავიკი, ისლანდია) 4:0 (3:0)
3:0 ვიტეჩეკი (29), ვეგნერი (64), იონსონი (66, საკუთარ კარში)
4:0 კუნცი (29, 84), ვიტეჩეკი (55, 77)

„ტორპედო" (მოსკოვი, რუსეთი) — „მანჩესტერ იუნაიტედი" (ინგლისი) 0:0 (0:0) პ4:3

„სელტიკი" (გლაზგო, შოტლანდია) — „კიოლნი" (გერმანია) 3:0 (0:2)
0:2 იენსენი (24), ორდენევიცი (82)
3:0 მაკსტეი (36), კოლინზი (39, 79)

„პორტადაუნი" (ჩრდ. ირლანდია) — „სტანდარდი" (ლიეჟი, ბელგია) 0:0 (0:5)
0:5 ასელმანი (7,45), გოოსენსი (52, 65), ლეონარი (56)

„მიკელი" (ფინეთი) — კბ „კოპენჰაგენი" (დანია) 1:5 (0:5)
0:5 მ.იოჰანსენი (12, 54), ულბერგი (28), ლ.ნილსენი (69პ), პ.ლარსენი (86)
1:5 ალენი (62); ლ.ნილსენი (5), მ.იოჰანსენი (15, 31), ულბერგი (44), რასმუსენი (79)

„აინტრახტი" (ფრანკფურტი, გერმანია) — „ვიძევი" (ლოძი, პოლონეთი) 9:0 (2:2)
2:2 იებოა (67), ვოლფი (83); იოზვიაკი (20), კონიასეკი (27)
9:0 კრუზე (8, 14, 37), იებოა (21, 22, 36, 68), რანი (82), ბაინი (90)

„ტორინო" (იტალია) — „ნორჩოპინგი" (შვედეთი) 3:0 (0:1)
0:1 ბლომი (84)
3:0 ვაატოვაარა (2, საკუთარ კარში), კასაგრანდე (76), აგილერა (80)

„ჰართ ოფ მიდლოუშნი" (შოტლანდია)—„სლავია" (პრაღა, ჩეხეთსლოვაკეთი) 4:2 (0:1)
0:1 ტატარჩუკი (85)
4:2 მაკკეი (10), ბეირდი (21), ლივეინი (42), სნოდინი (79); სილჰავი (14), კუკა (65)

„რუსენბორგი" (ტრონჰეიმი, ნორვეგია) — „დინამო" (მოსკოვი, რუსეთი) 2:0 (1:5)
1:5 ლეკენი (75); სკლიაროვი (34, 62), ტიმოფეევი (46), სიმუტენკოვი (57), თეთრაძე (68)
2:0 ინგებრიდსენი (7), ლეკენი (48)

„ანორთოსისი" (ფამუგუსტა, კვიპროსი) — „იუვენტუსი" (ტურინი, იტალია) 0:4 (1:6)
1:6 ქეცბაია (85); რ.ბაჯო (3), მიოლერი (10), ვიალი (42, 84), კონტე (44), ტორიჩელი(75)
0:4 რავანელი (14), კოლერი (39), კაზირაგი (66, 87)

„ოსერი" (საფრანგეთი) — „ლოკომოტივი" (პლოვდივი, ბულგარეთი) 7:1 (2:2)
2:2 ბატიკლი (4), კოკარი (73); სადაკოვი (34,პ), ვიდოლოვი (58)
7:1 ბატიკლი (2, 71), კოკარი (11), პრუნიე (13, 48), ვაირუა (28), ლასლანსესი (84); სადაკოვი (21)

„რაპიდი" (ვენა, ავსტრია) — „დინამო" (კიევი, უკრაინა) 3:2 (0:1)
0:1 იაკოვენკო (46)
3:2 მანდრეკო (8), ფიორტოფტი (15, 38); ლეონენკო (45პ, 87)

„პანათინაიკოსი" (საბერძნეთი) — „ელექტროპუტერე" (კრაიოვა, რუმინეთი) 4:0 (6:0)
6:0 ანტონიუ (7), ვარუიხა (40, 53, 66), მარაგოსი (70), კალატისი (85)
4:0 სარავაკოსი (43), ვაიუოხა (58), კალატისი (67), ფრანცესკოსი (81)

„ბელვედერ იზოლა" (სლოვენია) — „ბენფიკა" (ლისაბონი, პორტუგალია) 0:5 (0:3)
0:3 პანეირა (43, 73), ანდრადე (45პ)
0:5 პაშეკუ (21, 46, 66), ჟოაო პინტუ (58), ცეზარ ბრიტუ (87)

„რომა" (იტალია) — „სვაროვსკი ტიროლი" (ინსბრუკი, ავსტრია) 1:0 (4:1)
4:1 ჯანინი (17,42), კანიჯა (21), მუცი (65); ბაუერი (36)
1:0 ჰესლერი (50)

„უნივერსიტატია" (რუმინეთი) — „სიგმა" (ოლომოუცი, ჩეხეთსლოვაკეთი) 1:2 (0:1)
0:1 კაპკა (87)
1:2 განე (21); კერბრი (23, 42)

„გალათასარაი" (სტამბული, თურქეთი) — GKS (კატოვიცე, პოლონეთი) 2:1 (0:0)
2:1 ხაკანი (31), ფალკო (56პ); მაციევსკი (75)

„ბორუსია" (დორტმუნდი, გერმანია) — „ფლორიანა" (ლა ვალეტა, მალტა) 7:2 (1:0)
1:0 რუმენიგე (21)
7:2 ცორკი (10), დ'ელია (18, საკ. კარში), ფრანკი (59), რუმენიგე (67), მილი (72, 79, 90); კროლი (11, 17)

„რეალი" (მადრიდი, ესპანეთი) — „პოლიტეხნიკა" (ტიმიშოარა რუმინეთი) 4:0 (1:1)
1:1 ალფონსო (13); კუკი (62)
4:0 ალფონსო (28), ლუის ენრიკე (58), ესნაიდერი (65), მიჩელი (87)

„ბოტევი" (პლოვდივი, ბულგარეთი) — „ფენერბაჰჩე" (სტამბული, თურქეთი) 2:2 (1:3)
1:3 დერმენჯიევი (51); აიკუტი (14,38), ჩოლაქი (55პ)
2:2 ისკრენოვი (5), პეტროვი (41); რიდვანი (37, 78)

„სპორტინგი" (ლისაბონი) — „გრასჰოპერსი" (ციურიხი, შვეიცარია) 1:3 (2:1)
2:1 ბალაკოვი (45), იუსკოვიაკი (83); სუტერი (37პ)
1:3 კადეტე (84); ელბერი (31, 110), მანინი (83)

მეთექვსმეტედფინალის კენჭისყრა

„რეალი" (მადრიდი, ესპანეთი) — „ტორპედო" (რუსეთი)
„ნაპოლი" (იტალია) — „პარი სენ-ჟერმენი" (საფრანგეთი)
„ვიტესი" (ჰოლანდია) — „მეხელენი" (ბელგია)
„კაიზერსლაუტერნი" (გერმანია) — „შეფილდ უენსდეი" (ინგლისი)
„ტორინო" (იტალია) — „დინამო" (მოსკოვი, რუსეთი)
„ბორუსია" (დორტმუნდი, გერმანია) — „სელტიკი" (შოტლანდია)
„აინტრახტი" (ფრანკფურტი, გერმანია) — „გალათასარაი" (თურქეთი)
„ჰართ ოფ მიდლოუშნი" (შოტლანდია) — „სტანდარდი" (ბელგია)
„ანდერლეხტი" (ბელგია) — „დინამო" (კიევი, უკრაინა)
„ოსერი" (საფრანგეთი) — „კოპენჰაგენი" (დანია)
„პანათინაიკოსი" (საბერძნეთი) — „იუვენტუსი" (იტალია)
„ბენფიკა" (პორტუგალია) — „ვაც სამსუნგი" (უნგრეთი)
„ფენერბაჰჩე" (თურქეთი) — „სიგმა" (ჩეხეთსლოვაკეთი)
„რომა" (იტალია) — „გრასჰოპერსი" (შვეიცარია)
„ვიტორია" (გიმარაეში, პორტუგალია) — „აიაქსი" (ჰოლანდია)
„რეალი" (სარაგოსა, ესპანეთი) — „ფრემი" (დანია)

## საერთაშორისო მატჩები

9.09. ბერნი. „ვანკდორფი". 48 ათასი მაყურებელი. მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. I ჯგუფი.

**შვეიცარია — შოტლანდია 3:1**

შვეიცარია: პასკოლო, ჰოტიგერი, კვენტინი, ეგლი, გეიგერი, ბრეგი, სუტერი, ორელი, კნუპი, სფორცა, შაპუიზა.

შოტლანდია: გორამი, გაფი, მელპასი, მაკკოლი, ბოიდი, მაკფერსონი, დიური, მაკალისტერი, მაკკოისტი, მაკსტეი, მაკლეირი.

მსაჯი: ვან დერ ენდე (ჰოლანდია)

გოლები: კნუპი (1, 71), მაკკოისტი (15), ბრეგი (81).

გაძევება: გაფი (84)

მატჩის შემდეგ: როი ჰოჯსონი (შვეიცარიის ნაკრების მწვრთნელი): ვფიქრობ, რომ პორტუგალიისა და შოტლანდიასთან მეორე საგზურისათვის ბრძოლაში კარგი შანსები გვაქვს. პირველი საგზური იტალიას შეხვდება. ენდი როქსბურგი (შოტლანდიის ნაკრების მწვრთნელი): ჩვენ ვიბრძოდით, გავათანაბრეთ ანგარიში, უპირატესობაც გვქონდა, მაგრამ ფეხბურთში იმარჯვებს ის, ვისაც მეტი ბურთი გააქვს.

9.09. ოსლო. „ულევოლი". 6511 მაყურებელი. მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. II ჯგუფი.

**ნორვეგია — სან მარინო 10:0**

ნორვეგია: ტორტსვედტი, პედერსენი, ბრატსეტი, ნილსენი, ჰალლე, მიუკლანდი, რეკდალი, ლეონარდსენი (ინგებრიდსენი, 58), იაკობსენი, ფლო, სერლოტი (ფიორტოფტი, 75).

სან მარინო: ბენედეტინი, გუერა, მანძაროლი, კანტი, გობბი, ჯენარი, მ.მაცცა, ბონინი, ფრანჩინი (მატეონი, 70), პაზოლინი (მუჩიოლი, 46), პ.მაცცა.

მსაჯი: პალსი (ფინეთი)

გოლები: რეკდალი (4,79), ჰალლე (6, 52, 69), სერლოტი (15,22), ნილსენი (46,67), მიუკლანდი (74).

გაფრთხილება: პ. მაცცა, მუჩიოლი.

9.09. დუბლინი „ლენსდაუნ როუდი" 7000 მაყურებელი. მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. III ჯგუფი.

**ირლანდია — ლატვია 4:0**

ირლანდია: ბონერი, ირვინი, სტაუნტონი, კერნაგანი, მაკგრაფი, ტაუნსენდი, კინი, ვილანი, ქუინი (კელლი, 46), ოლდრიჯი, შიდი.

ლატვია: იგოშინი, ასტაფიევი, ალექსეენკო, ბულდერსი, გნედოი, პოპკოვი, სპროგისი, აბუნოვი, ელისეევი, ლინარდსი, გლაზოვი.

მსაჯი: ფრისკი (შვედეთი)

გოლები: შიდი (30), ოლდრიჯი (59, 82პ, 86)

გაფრთხილება: კერნაგანი

9.09. ბელფასტი. „ვინძორ პარკი". 13 000 მაყურებელი. მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. III ჯგუფი.

**ჩრდ. ირლანდია — ალბანეთი 3:0**

ჩრდ. ირლანდია: რაიტი, დონაჰი, უორტინგტონი, ტაგარტი, მაკდონალდი, მეგილტონი, ბლეკი, კლარკი, დოუი, უილსონი, ჰიუზი.

ალბანეთი: სტრაკოშა, ზმიანი, კენდრო, პეკინი, ვატა, კიპა, კუშტა, ვასი, რაკლი, ზელა, აბაზი.

მსაჯი: ამენდიოლა (იტალია)

გოლები: კლარკი (14), უილსონი (31), მეგილტონი (44).

კოლინ კლარკმა („პორტსმუტი") ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრების რეკორდი დაამყარა, გაიტანა რა მე-13 გოლი ნაკრებში თამაშისას.

9.09. კარდიფი. „არმზ პარკი". 11 ათასი მაყურებელი. მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. IV ჯგუფი.

**უელსი — ფარერის კუნძულები 6:0**

უელსი: საუთჰოლი, ფილიპსი, ბოუენი, საიმონსი, იანგი, ბლეკმორი, ჰორნი, საუნდერსი, რაში, ჰიუზი, სპიდი.

ფარერი: კნუდსენი, იაკობსენი, ტ.ჰანსენი, დანიელსენი, ო.ჰანსენი, ა.მორკორე, სიმონსენი, დამი, იონსონი, რაინჰაიმი, მიულერი.

მსაჯი: კორადუ (პორტუგალია)

გოლები: რაში (5, 64, 90), საუნდერსი (28), ბოუენი (37), ბლეკმორი (71).

ეს იენ რაშის პირველი ჰეთ-თრიკია ნაკრებში. მან სულ უელსის ნაკრებში 23 გოლი გაიტანა და დაეწია რეკორდსმენებს აიგორ ოლჩერჩსა და ტრევორ ფორდს.

9.09. ლუქსემბურგი. მუნიციპალური სტადიონი. 3100 მაყურებელი. მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. V ჯგუფი.

**ლუქსემბურგი — უნგრეთი 0:3**

ლუქსემბურგი: ვან რიისვიიკი, ბოსი, ბირსენსი, პეტრი, ვოლფი, ჟირესი, ჰელერსი, ვაისი, საიბენე, მალჟე, ლანჟერი.

უნგრეთი: პეტრი, ნადი, დისტლი, ლორინცი, კელერი, პიშონტი, ლიმპერგერი, დეტარი, ბალოგი, კოვაჩი, კიპრიხი.

მსაჯი: ლოიზუ (კვიპროსი)

გოლები: დეტარი (16), კოვაჩი (52, 78).

გაფრთხილება: ლორინცი, ბოსი, საიბენე, პიშონტი, ჰელერსი, მალჟე.

9.09. ჰელსინკი. ოლიმპიური სტადიონი 13617 მაყურებელი. მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. VI ჯგუფი.

**ფინეთი — შვედეთი 0:1**

ფინეთი: ლაუკანენი, ჰოლმგრენი, უკკონენი, კანერვა, რემესი, მიირი (ვანხალა, 84), ლიტმანენი, ჰიელმი, იარვინენი, პაატალაინენი, ტარკიო (ტაურიაინენი, 77).

შვედეთი: რაველი, (ერიქსონი, 90), ერლინგმარკი, ანდერსონი, ბიერკლუნდი, ლუნგი, ინგესონი, ტერნი, შვარცი, ლიმპარი, პეტერსონი, (ექსტროიმი, 59), დალინი.

მსაჯი: ჟუკი (ბელარუსი)

გოლი: ინგესონი (77,პ).

გაფრთხილება: ანდერსონი, შვარცი, უკკონენი, კანერვა, ლუნგი, ტერნი.

მატჩის შემდეგ. ტომი სვენსონი (შვედეთის ნაკრების მწვრთნელი): ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ მეკარე რაველისა და მცველ ანდერსონს — მათ გადაარჩინეს შვედეთი.

9.09. სოფია „ლევსკი". 43 188 მაყურებელი. მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. VI ჯგუფი.

**ბულგარეთი — საფრანგეთი 2:0**

ბულგარეთი: მიხაილოვი, კირიაკოვი, ივანოვი, ილიევი, ცვეტანოვი, იანკოვი, სირაკოვი, ბალაკოვი, კოსტადინოვი (გ.იორდანოვი, 70), პენევი (სტოილოვი, 77), სტოიჩკოვი.

საფრანგეთი: მარტინი, ბოლი, კაზონი, როში, პეტიტი, ფურნიე (ბლანი 61), სოზე, დეშამი, ვაირუა (დიურანი, 64), პაპენი, ჟინოლა.

მსაჯი: პიუხლი (უნგრეთი)

გოლები: სტოიჩკოვი (23,პ), ბალაკოვი (29).

გაფრთხილება: ილიევი, სირაკოვი, ბლანი, სტოიჩკოვი, ჟინოლა.

9.09. ეინდჰოვენი. „ფილიპსი". 19 ათასი მაყურებელი. ამხანაგური მატჩი

**ჰოლანდია — იტალია 2:3**

ჰოლანდია: მენცო, კუმანი, ვან აერლე (ვისკაალი, 86), დე ბური (ვინტერი), რაიკაარდი, ვაუტერსი, ბერხკამპი (ვან'ტ სხიპი, 70), როб ვიჩგე, გულიტი, ვან ბასტენი, როი.

იტალია: მარკეჯანი, მანინი, დი კიარა, ერანიო, კოსტაკურტა, მალდინი, ლენტინი (დ.ბაჯო, 89), ალბერტინი (დონადონი, 45), ვიალი (კაზირაგი, 78), რ.ბაჯო, ევანი.

მსაჯი: მერკი (შვეიცარია)

გოლები: ბერხკამპი (8,20), ერანიო (29), რ.ბაჯო (41, პენალტით), ვიალი (77).

გაფრთხილება: გულიტი.

მატჩის შემდეგ. ჯანლუკა ვიალი: მშვენიერი თამაში იყო — საუკეთესო საკის ხელმძღვანელობით ჩატარებულ მატჩთაგან. ვგონებ, ვიპოვეთ ჩვენი თამაში.

9.09. მელეცი. „სტალი". 5 ათასი მაყურებელი. ამხანაგური მატჩი.

**პოლონეთი — ისრაელი 1:1**

პოლონეთი: ბაკო, რზეპკა, ლაპინსკი, შევჩიკი (ჩერვეცი, 61), კოზმინსკი, ვარუიხა, არაშკევიჩი (ვეგრუინი, 61), ფედორუკი (იალოხა, 76), კოვალჩიკი, ბრუეჩეკი, იუსკოვიაკი.

ისრაელი: გინზბურგი, აკოენი (ხარონი,

-90), ა.ხარაზი, ხაზანი, ამარი, ბეხ-შიმონი, ბანინი, ნიმნი, ბერკოვიჩი (მელიკა, 83), ზოხარი (ე.ხარაზი, 82), როზენტალი.

**მსაჯი:** ბოხუნეკი (ჩეხეთსლოვაკეთი)

**გოლები:** შევჩიკი (24), როზენტალი (36).

**გაფრთხილება:** რზეპკა, ამარი, ბანინი, ბერკოვიჩი.

9.09. სანტანდერი. „სარდინერო". 20000 მაყურებელი. ამხანაგური მატჩი.

**ესპანეთი — ინგლისი 1:0**

**ესპანეთი:** სუბისარეტა, ფერერი, სოლოსაბალი, ლოპესი, ტონი (კრისტობალი, 46), მიჩელი (გოიკოჩეა, 66), ამორი, ვისკაინო, მარტინ ვასკესი (ალვაარო, 80), ბაკერო (ალფონსო, 73), ფონსეკა (ფერნანდო, 49).

**ინგლისი:** ვუდსი, დიქსონი, (ბერდსლი, 46), უოლკერი, რაიტი, პირსი, უაიტი, ინსი, პლატი, სინტონი (ლელმერი, 62), შირერი, კლაფი.

**მსაჯი:** ხოსე ალბერტო ვეგა ტრიგო (პორტუგალია)

**გოლი:** ფონსეკა (11).

9.09. კოპენჰაგენი. „ინდროტსპარკენი" 40000 მაყურებელი. ამხანაგური მატჩი.

**დანია — გერმანია 1:2**

**დანია:** შმეიხელი, სივებაკი, პიხნიკი, ოლსენი, ლარსენი, კრისტოფტე, იენსენი (მიოლბიუ, 78), ვილფორტი, პოულსენი, ელსტრუპი, ბ.ლაუდრუპი.

**გერმანია:** კეპკე, როიტერი, ფრონტცეკი, ვერნსი, ჰელმერი, ბუხვალდი, ეფენბერგი, დოლი (ტონი, 75), რიდლე, ტომი, კლინსმანი (შტრუნცი, 89).

**მსაჯი:** ბოდენჰემი (ინგლისი)

**გოლები:** რიდლე (47), ელსტრუპი (80), ეფენბერგი (88).

**გაფრთხილება:** დოლი, ლარსენი, იენსენი.

14.09. აშხაბადი. 5000 მაყურებელი. აზიის თასი.

**თურქმენეთი — ყაზახეთი 1:1**

**თურქმენეთი:** კორობკო, ყურბანმამედოვი, სეიდიევი, სერქეროვი, გილმანოვი, ანადურდიევი, მინგაზოვი (კ.მერედოვი, 75), ზოლოტუხინი, რ.მუპადოვი, ჩ.მუპადოვი, კირილოვი (ნურმურადოვი, 46)

**ყაზახეთი:** კაფანოვი, მუსტაფაევი, პასკო, აიმანოვი, ესმურატოვი, მიროშნიჩენკო, კაპუსტნიკოვი, ტურმაგამბეტოვი (აბილდაევი, 46), კაინაზაროვი, მასუდოვი, ანაშკინი.

**მსაჯი:** სულთანოვი (ყირგიზეთი)

**გოლები:** ზოლოტუხინი (4), აბილდაევი (57).

23.09. ოსლო. „ულევოლი". 20 000 მაყურებელი. მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. II ჯგუფი.

**ნორვეგია — ჰოლანდია 2:1**

**ნორვეგია:** ტორსტვედტი, პედერსენი, ბრატსეტი, ნილსენი, ბიორნები, პალე (სტრანდლი, 60), ინგებრიგტსენი, რეკდალი, მიუკლანდი, იაკობსენი, სერლოტი (ფლო, 82).

**ჰოლანდია:** მენცო, კუმანი, ბლინდი, სილოი, დე ბური, ვან'ტ სხიპი (ტაუმენტი, 81), ვაუტერსი, რაიკაარდი, როპ ვიჩგე, ბერხკამპი, ვან ბასტენი.

**მსაჯი:** არელი (საფრანგეთი)

**გოლები:** რეკდალი (93), ბერხკამპი (10), სერლოტი (78).

**გაფრთხილება:** მიუკლანდი, კუმანი, რაიკაარდი.

23.09. პოზნანი. „ლეხი" 10 000 მაყურებელი. მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. II ჯგუფი.

**პოლონეთი — თურქეთი 1:0**

**პოლონეთი:** ბაკო, შევჩიკი, რუეპკა, ლესიაკი, ვალდოხი, ჩახოვსკი, ბრჟეჩეკი, ვარჟიხა, არაშკევიჩი (კოვალჩიკი, 61), კოსეცკი (ფედორუკი, 64), იუსკოვიაკი.

**თურქეთი:** ჰაირეტინი, რეჯეპი (აიქუთი,74), გოპანი, ბულენთი, ოგუნი, რიზა, ოგუზი (მეჰმეთი, 46), თუგაი, ორჰანი, ჰამი, ჰაკანი.

**მსაჯი:** მერკი (გერმანია)

**გოლი:** ვალდოხი (33).

**გაფრთხილება:** რეჯეპი, ჰამი, იუსკოვიაკი, მეჰმეთი.

23.09. ვილნიუსი. „ჟალგირისი". 13500 მაყურებელი. მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. III ჯგუფი.

**ლიტვა — დანია 0:0**

**ლიტვა:** მარტინკენასი, ბუზმაკოვი, ბალტუშნიკასი, მაჟეიკისი, ტერეშკინასი, სუკრისტოვი, ბარანაუსკასი, პანკრატიევი, ფუტა (პოდერისი, 87), ოლშანსკი, ზდანჩუსი.

**დანია:** შმეიხელი, სივებაკი, პეხნიკი, ოლსენი, ლარსენი, კრისტოფტე, ენსენი, ვილფორტი, კრისტენსენი (მიოლერი, 75), ელსტრუპი, ლაუდრუპი.

**მსაჯი:** ანგელოვი (ბულგარეთი)

კრისტოფტემ ვერ გაიტანა პენალტი (55).

**გაფრთხილება:** ოლშანსკი, მაჟეიკისი.

23.09. რიგა „დაუგავა". 6220 მაყურებელი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. III ჯგუფი.

**ლატვია — ესპანეთი 0:0**

**ლატვია:** კარავაევი, შევლიაკოვი, ალექსეენკო, ივანოვი, გნედოი, პოპკოვი, (ასტაფიევი, 69). დ.სპროგისი, სტრადინი, ბულდერსი (გ.გილისი, 83), ლინდარისი, გლაზოვი.

**ესპანეთი:** სუბისარეტა, ფერერი, ტონი, სოლოსაბალი, ლოპესი, ვისკაინო, გოიკოჩეა, ფონსეკა (ალფონსო, 71), ბაკერო, მარტინ ვასკესი, ალვარო (ამორი, 59).

**მსაჯი:** ფილიპი (ლუქსემბურგი).

**გაფრთხილება:** ბულდერსი.

მატჩის შემდეგ იანის გილისი (ლატვიის ნაკრების მწვრთნელი): დღეს ჩვენ დავამტკიცეთ, რომ დანიასთან ფრე შემთხვევითი არ ყოფილა. ლატვიის ნაკრებს შეუძლია ეთამაშოს მსოფლიო ფეხბურთის ელიტას. ეს დღეს უკვე ფაქტია.

23.09. კოშიცე. მუნიციპალური სტადიონი. 16 000 მაყურებელი. მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. IV ჯგუფი.

**ჩეხეთსლოვაკეთი — ფარერი 4:0**

**ჩეხეთსლოვაკეთი:** სტეისკალი, გლონეკი, სუხოპარეკი, ნოვოტნი, მისტრუი (ლატალი, 82), მორავჩიკი, ნემეჩეკი, დუბოვსკი, ნემეცი, ჰაპალი (ტიმკო, 68), კუკა.

**ფარერის კუნძულები:** კნუდსენი, იაკობსენი, იუსტინუსენი, ო.ჰანსენი (ა.მორკორე, 57), ტ.ე.ჰანსენი, იონსონი, დამი, იოჰანსენი, სიმონსენი, მიულერი (არგე, 81), რაინჰაიმი.

**მსაჯი:** საკარი (თურქეთი)

**გოლები:** ნემეჩეკი (23), კუკა (85, 87), დუბოვსკი (90პ)

**ამხანაგური მატჩები. ტუნისი — ალჟირი 1:1, ურუგვაი — არგენტინა 0:0, ბრაზილია — კოსტა რიკა 4:2.**

## ესპანეთის ჩემპიონატი

### I ტური

**ბარსელონა — რეალი 2:1**

1:0 ბაკერო (4), 1:1 მიჩელი (73პ), 2:1 სტოიჩკოვი (88).

**ატლეტიკო — ტენერიფე 3:2**

1:0 სოლოსაბალი (30), 1:1 პიჩი (47,პ), 2:1, 3:1 ლუის გარსია (83, 90), 3:2 პიერი (92).

**სპორტინგი — ოსასუნა 0:0**

**ბურგოსი — რეალ სოსიედადი 4:0**

1:0 ედუ (34), 2:0 ლორენი (42), 3:0, 4:0 ბალინტი (50, 86).

**სარაგოსა — ესპანიოლი 2:1**

1:0 იგერა (60), 2:0 ბრემე (65,პ), 2:1 ფონსეკა (85პ).

**ატლეტიკი — კადისი 2:1**

1:0 ვალვერდე (20), 2:0 სიგანდა (31), 2:1 მილიანკო (56).

**ვალენსია — რაიო ვალეკანო 1:0**

არროიო (65).

**ლოგრონიესი — ოვიედო 1:0**

ლინდე (12).

**ალბასეტე — სევილია 3:4**

1:0 კატალი (6), 1:1, 1:2, 1:3 შუკერი (26პ, 47, 54), 2:3 სალასარი (65), 2:4 ანდრადესი (84), 3:4 სალასარი (90).

**ლა კორუნია — სელტა 2:0**

1:0 ბებეტო (33პ), 2:0 კლაუდიო (39). ვიიანოვემა (სელტა) ვერ გაიტანა პენალტი.

### II ტური

**ტენერიფე — ბარსელონა 1:1**

1:0 ესკო (3), 1:1 ბეგირისტაინი (64).

**ესპანიოლი — ატლეტიკო 1:3**

0:1 ფუტრე (14), 0:2 მოია (53), 0:3 ფუტრე (70), 1:3 ხავიერ ესკაიჩი (85)

**რეალ სოსიედადი — სპორტინგი 1:2**

0:1 სკოტო (40), 0:2 ემილიო (59), 1:2 ოსეანა (63პ).

**ოვიედო — ატლეტიკო 1:0**

ლეკეტუში (92).

**რაიო ვალეკანო — ლოგრონიესი 2:1**

1:0 ვიშნიჩი (6), 2:0 პოლსტერი (56), 2:1 აბადია (72პ).

**სელტა — ვალენსია 0:0**

**ოსასუნა ალბასეტე 3:0**

**რეალი — ბურგოსი 3:0**

1:0 იერო (12), 2:0, 3:0 სამორანო (69, 86)

**სევილია — ლა კორუნია 1:3**

0:1 კლაუდიო (24), 0:2 ფრანა (27), 1:2 კონტე (53), 1:3 ბებეტო (75)

**კადისი — სარაგოსა 1:1**

### III ტური

**ატლეტიკო — ბარსელონა 1:4**

0:1, 0:2 სტოიჩკოვი (4,9), 1:2 ფუტრე (29), 1:3 სტოიჩკოვი (45), 1:4 ამორი (89).

**ესპანიოლი — კადისი 1:2**

9:1 კევედო (30), 0:2 კიკო (35), 1:2 ფრანსისკო (61).

**სპორტინგი — რეალი 0:0**

**ვალენსია — სევილია 1:1**

1:0 ტომასი (33), 1:1 სიმონი (39).

**ლოგრონიესი — სელტა 0:1**

რატკოვიჩი (20).

**სარაგოსა — ოვიედო 1:0**

გაი (68).

**ატლეტიკი — რაიო ვალეკანო 4:2**

0:1 ხავი (13), 1:1 გერერო (18), 2:1 ხოსეტე (38), 3:1 ანდრინუა (49), 4:1 სიგანდა (78), 4:2 ხავი (90).

**ლა კორუნია — ოსასუნა 2:1**

1:0 ბებეტო (37), 2:0 ნანდო (65), 2:1 ჩოლო (85).

**ბურგოსი — ტენერიფე 0:3**

0:1 რედინდო (13), 0:2, 0:3 კიკე ესტებარანი (22, 45).

**ალბასეტე — რეალ სოსიედადი 1:2**

1:0 პინია (9), 1:1 იმანული (36), 1:2 კარლუშ ქსავიერი (64)

### IV ტური

**რეალ სოსიედადი—ლა კორუნია 0:2**

0:1 კლაუდიო (46), 0:2 ალდანა (85).

**რაიო ვალეკანო — სარაგოსა 0:0**

**ოსასუნა — ვალენსია 2:2**

1:0 მერინო (11), 2:0 პასკუილი (20), 2:1 რობერტო (28), 2:2 ელიო (65).

**რეალი — ალბასეტე 3:0**

1:0 ალფონსო (52), 2:0 მიჩელი (54,პ), 3:0 ბუტრაგენიო (90).

**სევილია — ლოგრონიესი 3:0**

1:0 შუკერი (16), 2:0 ბანგო (41), 3:0 შუკერი (65).

**კადისი — ატლეტიკო 1:1**

1:0 არტეაგა (50), 1:1 მანოლო (65).

**ოვიედო — ესპანიოლი 2:2**

0:1 ფონსეკა (45), 1:1 კარლოსი (49,პ), 2:1 იანკოვიჩი (54), 2:2 ხავიერ ესკაიჩი (85).

**სელტა — ატლეტიკი 1:0**

გუდელი (33).

**ტენერიფე — სპორტინგი 0:2**

0:1 ოსკარი (51), 0:2 ივანი (67).

**ბარსელონა — ბურგოსი 4:1**

1:0 ბეგირისტაინი (3), 2:0 ლაუდრუპი (12), 3:0 ბაკერო (22), 3:1 ბალინტი (44,პ), 4:1 სტოიჩკოვი (53).

## იტალიის ჩემპიონატი

### I ტური

**უდინეზე — ინტერი 2:1**

1:0 ბალბო (70), 1:1 სკილაჩი (72,პ), 2:1 კონტრატო (86).

**ფიორენტინა — ჯენოა 1:1**

1:0 ეფენბერგი (53), 1:1 ვან'ტ სხიპი (69).

**ატალანტა — პარმა 2:1**

1:0 განცი (26), 2:0 რამბაუდი (76,პ), 2:1 მელლი (88).

**კალიარი — იუვენტუსი 0:0**

**ტორინო — ანკონა 4:1**

1:0, 2:0 კასაგრანდე (32, 38), 3:0 გადდა (39, საკ. კარში), 3:1 დეტარი (63,პ), 4:1 შიფო (73).

**სამპდორია — ლაციო 3:3**

1:0 ფუზერი (7, საკ. კარში), 1:1, 1:2 სინიორი (18, 22), 2:2 იუგოვიჩი (35), 3:2 მანჩინი (55,პ), 3:3 ბუზო (77, საკ. კარში).

**მილანი — ფოჯა 1:0**

გრანდინი (60, საკ. კარში).

**რომა — პესკარა 0:1**

ნობილე (75).

**ნაპოლი — ბრეშია 0:0**

კარეკამ (ნაპოლი) ვერ გაიტანა პენალტი.

### II ტური

**პესკარა — მილანი 4:5**

1:0 ალეგრი (1), 1:1 მალდინი (3), 1:2 ლენტინი (5), 2:2 კოსტაკურტა (11, საკ. კარში), 3:2 ბარეზი (14, საკ. კარში), 4:2 მასარა (22), 4:3, 4:4, 4:5 ვან ბასტენი (37, 39, 73).

**ბრეშია — ტორინო 0:0**

**ფოჯა — ნაპოლი 2:4**

0:1 ფონსეკა (11), 1:1 ბრეშიანი (16), 1:2 ძოლა (39), 2:2 ბრეშიანი (44), 2:3 კარეკა (59), 2:4 ფონსეკა (89)

**ლაციო — ფიორენტინა 2:2**

0:1 ბატისტუტა (9), 1:1 სინიორი (22,პ), 2:1 დოლი (35), 2:2 ბატისტუტა (72).

**ჯენოა — რომა 0:0**

**ანკონა — სამპდორია 2:3**

0:1 იუგოვიჩი (22), 1:1 ერმინი (37), 2:1 დეტარი (44), 2:2 მანჩინი (62), 2:3 რუჯერი (77, საკ. კარში).

**იუვენტუსი — ატალანტა 4:1**

1:0 კოლერი (23), 2:0 მიოლერი (41), 2:1 განცი (55), 3:1 ვიალი (76), 4:1 მიოლერი (81).

**პარმა — უდინეზე 3:1**

1:0, 2:0 გრიუნი (3, 43), 2:1 ბალბო (50), 3:1 ასპრილია (68).

**ინტერი — კალიარი 3:1**

1:0 ბიანკი (7), 2:0 ბერგომი (11), 2:1 ოლივეირა (53), 3:1 შალიმოვი (90).

### III ტური

**ბრეშია — პესკარა 1:0**

რადუჩოუ (53).

**რომა — ფოჯა 3:1**

1:0 კანიჯა (17), 2:0, 3:0 ჯანინი (20, 60), 3:1 დე ვინჩენცო (71).

**ტორინო — პარმა 3:0**

1:0, 2:0 აგილერა (22, 44), 3:0 კასაგრანდე (65).

**მილანი — ატალანტა 2:0**

1:0 მასარო (56), 2:0 ვან ბასტენი (69).

**ჯენოა — იუვენტუსი 2:2**

0:1 რუოტოლო (15, საკ. კარში), 1:1 პადოვანო (45), 2:1 სკუპრავი (57), 2:2 პლატი (73).

**ნაპოლი — ინტერი 1:2**

0:1 ზამერი (54), 0:2 სკილაჩი (57), 1:2 ფონსენა (85). 88-ე წუთზე სკილაჩიმ ვერ გაიტანა პენალტი.

**კალიარი — ლაციო 1:1**

1:0 კაპიოლი (74), 1:1 სინიორი (83)

**ფიორენტინა — ანკონა 7:1**

0:1 დეტარი (16), 1:1 ორლანდო (21), 2:1 დი მაურო (34), 3:1 ლაუდრუპი (39), 4:1 ბაიანო (57), 5:1 დი მაურო (66), 6:1 ლაუდრუპი (73), 7:1 ლუპი (76).

**უდინეზე — სამპდორია 1:2**

0:1 იუგოვიჩი (24), 1:1 ბალბო (59), 1:2 ლომბარდო (85).

### IV ტური

**ინტერი — ფიორენტინა 2:2**

0:1 ბატისტუტა (51), 1:1 შალიმოვი (80); 1:2 ბატისტუტა (84), 2:2 ბატისტინი (87).

**პესკარა — ტორინო 2:2**

0:1 შიფო (14), 0:2 აგილერა (42), 1:2, 2:2 ბორგონოვო (85, 89).

**პარმა — ბრეშია 2:0**

1:0 ოზიო (24), 2:0 კუოგი (41).

**იუვენტუსი — რომა 1:1**

1:0 მიოლერი (16), 1:1 ალდაირი (20).

**ლაციო — ჯენოა 1:1**

1:0 გრეგუჩი (58), 1:1 პადოვანო (79).

**ფოჯა — უდინეზე 1:0**

პეტრესკუ (78)

**ანკონა — ნაპოლი 1:1**

0:1 ფონსეკა (5), 1:1 დეტარი (55).

**ატალანტა — კალიარი 2:1**

1:0 განცი (56), 2:0 ბორდინო (68), 2:1 ფრანჩესკოლი (72)

**სამპდორია — მილანი** არ შედგა ძლიერი წვიმის გამო.



## ისტორიიდან

რუბრიკას უძღვება
ნოდარ გუგუშვილი

# პირველად იყო ფეხბურთი

**იყო დრო**, როცა ფეხბურთის სამშობლოდ იტალიაც მიაჩნდათ. ამ მოსაზრებას განსაკუთრებით ბევრი მომხრე გაუჩნდა ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში, მას შემდეგ რაც ქვეყნის ეროვნულმა ნაკრებმა ორჯერ ზედიზედ მოიგო უმაღლესი საფეხბურთო ჯილდო — ჟიულ რიმეს თასი (იგივე მსოფლიო ჩემპიონატი). სწორედ მაშინ გაახსენდათ ერთი ძველისძველი ხელნაწერი, რომელშიც საუბარია XVI საუკუნეში ფლორენციელ მოქალაქეთა შორის ფართოდ გავრცელებულ თამაშზე. მას ადგილობრივი მოსახლეობა „ჯოკო დე კალჩოს“ უწოდებდა. ფლორენციული ფეხბურთი იმართებოდა 100 მეტრის სიგრძისა და 50 მეტრის სიგანის მოედანზე. ყოველი გუნდის შემადგენლობაში 27-27 ფეხბურთელი იბრძოდა. მიზანი აქაც ისევე როგორც ინგლისურ ფეხბურთში, ერთი იყო — მეტოქის კარში ბურთის გატანა.

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ ბრიტანეთს, ჩვენის აზრით ფეხბურთის ერთადერთ და ყველაზე რეალურ სამშობლოს. როგორც ავღნიშნეთ ფეხბურთელთა გუნდების პირველი შეხვედრა წინასწარშეთანხმებული და ჩამოყალიბებული წესებით გაიმართა სწორედ იქ, XVII საუკუნის მიწურულს. მაგრამ ირკვევა რომ ამ თამაშს ძალზე ცოტა რამ ჰქონდა საერთო თანამედროვე ფეხბურთთან. ეს კი არა XIX საუკუნის დამლევამდე ერთიანი წესების უქონლობის გამო ფეხბურთი სტიქიურად, ყოველგვარი კანონზომიერების გარეშე ვითარდებოდა. და თუკი ზოგჯერ მაინც გონივრულობის ფარგლებში იცვლიდა სახეს, პირველ ყოვლისა, ცალკეულ ენთუზიასტთა დამსახურება იყო, მათი გარჯისა და უნარის ნაყოფი, და არა თამაშის განვითარების ლოგიკური გზა — შედეგი.

XIX საუკუნემდე ჯერ კიდევ ბევრი რამ იყო დაუდგენელი ფეხბურთის წესებში. არ არსებობდა მტკიცედ განსაზღვრული და ლიმიტირებული წესი მოთამაშეთა რაოდენობის შესახებ. თვითნებურად იცვლებოდა შეხვედრის ხანგრძლივობა, არ იყო დადგენილი ქცევის ნორმები. უფრო მეტიც სხვადასხვაგვარი გახლდათ ბურთის დამზადების ტექნოლოგია. მას ხან ჩვრებით ტენიდნენ, ხან ნახერხით, ბუმბულით და მხოლოდ იშვიათად — ჰაერით. ამის გამო ხშირი იყო ტრავმები და, ასე გასინჯეთ, უბედური შემთხვევებიც კი. ერთხელ ინგლისში „მდინარეზე გადასვლის“ დროს დაიღუპა თხუთმეტი მობურთალი...

ასეთი უწესრიგობა და ქაოსი, ბუნებრივია, არ მოსწონდათ ფეხბურთის პირველ ენთუზიასტებს, რომლებიც ცდილობდნენ სპორტული ელემენტები შეეტანათ თამაშში, შეემუშავებიათ ერთიანი, ყველასათვის მისაღები და სავალდებულო წესები. ამ მიზნით 1848 წელს ქალაქ კემბრიჯში თავი მოიყარეს იტონის, ჰაროუს, ვინჩესტერის, რაგბისა და ბრისუბერის კოლეჯების წარმომადგენლებმა. სალაპარაკო დელეგატებს ბევრი ჰქონდათ. იყო ცხარე კამათი, საქმიანი დისკუსია, მაგრამ შეკრების მონაწილენი მთავარ საკითხში შეთანხმდნენ და ხელიც მოაწერეს დოკუმენტს, რომელიც შემდგომში „კემბრიჯული წესების“ სახით გახდა ცნობილი და რომლითაც, სხვათა შორის, არავის უსარგებლია. 1862 წელს იმავე კემბრიჯში ახალი წესები შემუშავდა, მაგრამ არც მას აღმოაჩნდა გრძელი დღე. კემბრიჯს ამ მხრივ აშკარად არ წყალობდა ბედი.

უფრო საქმიანი და, რაც მთავარია, შედეგიანი გამოდგა 1863 წლის თავყრილობა ლონდონის „თავისუფალ მასონთა“ სამიკიტნოში. ამ ისტორიული შეკრების მონაწილენი თავიდანვე ორ დაპირისპირებულ, ზოგ საკითხში კი აშკარად მტრულად განწყობილ ბანაკად დაიყვნენ. აზრთა ყველაზე დიდ სხვადასხვაობას იწვევდა თამაშის ხასიათის განსაზღვრა: როგორი უნდა ყოფილიყო იგი, როგორ უნდა ეთამაშათ ფეხბურთი? მხოლოდ ფეხით? იქნებ აზრი ჰქონდა ბურთის ხელით ტარებასაც? შეკრებილთა ნაწილი მხარს უჭერდა ორთავე ვარიანტს: არჩევანს თავად მოთამაშე გააკეთებდა საჭიროებისდა მიხედვით, კონკრეტულ სიტუაციაში შექმნილი ვითარების გათვალისწინებით. მაგრამ მონაწილეთა უმრავლესობა საწინააღმდეგო პოზიციაზე აღმოჩნდა. ეს კი არა ხელით თამაშისათვის ისინი ფეხბურთელის დასჯასაც კი მოითხოვდნენ. შერეული წესის მომხრეებმა ამ დავში სასტიკი მარცხი განიცადეს და შეურაცხყოფილებმა, პროტესტის ნიშნად დატოვეს შეკრების ადგილი (მოგვიანებით, მათ ფეხბურთ-რაგბის ლიგა შექმნეს). გამარჯვებულებმა კი იქვე დიდ სამეფო ქუჩაზე მდებარე სამიკიტნოში გადაინაცვლეს და ხანგრძლივი ბჭობის შემდეგ შეიმუშავეს „ფუტბალ ასოშიეიშნის“ წესების ცამეტი მთავარი პუნქტი.

1863 წლის 1 დეკემბერს ინგლისის გაზეთებში დაიბეჭდა ფეხბურთის თამაშის წესების სრული ტექსტი, რომელიც სულ მალე სხვა ქვეყნებმაც სცნეს ყოველგვარი შესწორებისა და დამატების გარეშე. ეს დღე თანამედროვე ფეხბურთის დაბადების თარიღადაა მიჩნეული.

ფეხბურთის ისტორიის ქრონოლოგიური ჩარჩოები საკმაოდ ზუსტ სურათს იძლევა ამ პოპულარული თამაშის განვითარების ცალკეულ პერიოდებზე. გამოვყოთ მათ შორის უმთავრესი:

1848 წელი. იტონის, ჰაროუს, ვინჩესტერის, რაგბისა და შრიუსბერის კოლეჯების წარმომადგენლები ხელს აწერენ ფეხბურთის თამაშის ერთიან კოდექსს, რომელიც ისტორიაში „კემბრიჯული წესების“ სახელწოდებით შედის.

1857 წელი. ინგლისის ქალაქ შეფილდში იქმნება მსოფლიოში პირველი საფეხბურთო კლუბი. (ზოგი მონაცემების თანახმად ეს მოხდა 1866 წელს).



**1872 წლის 30 ნოემბერი. გლაზგო. შოტლანდია — ინგლისი 0:0. ეს იყო ფეხბურთის ისტორიაში პირველი საერთაშორისო მატჩი ეროვნულ ნაკრებთა დონეზე.**

1863 წელი. „თავისუფალ მასონთა“ სამიკიტნოში შემუშავდა პირველი საფეხბურთო ასოციაციის წესდება.

1866 წელი. ორ ძელს შუა გაიჭიმა თოკი, რამაც საბოლოოდ განსაზღვრა ფეხბურთის კარის სიგრძე და სიმაღლე.

1871 წელი. გაზეთ „სპორტსმენის“ რედაქციაში შემუშავდა ინგლისის თასის გათამაშების დებულება. დადგინდა თამაშის ხანგრძლივობა — 90 წუთი. მეკარეს ხელით თამაშის უფლება მიეცა მისივე მოედნის ფარგლებში.

1872 წელი. შაბათს, 30 ნოემბერს გლაზგოში გაიმართა ფეხბურთის ისტორიაში პირველი ოფიციალური საერთაშორისო მატჩი ინგლისისა და შოტლანდიის გუნდებს შორის, რომელიც დამთავრდა ფრედ — 0:9.

1873 წელი. დაზუსტდა გვერდითი ხაზიდან ბურთის შემოგდებისა და კუთხური დარტყმის წესი.

1874 წელი. განისაზღვრა თუ რა შემთხვევაში შეიძლება დანიშნულიყო თავისუფალი დარტყმა.

1875 წელი. ორ ვერტიკალურ ძელს შორის გაბმული თოკი კარის ზედა ძელმა შეცვალა.

1878 წელი. პირველად გამოჩნდა მოედანზე მსაჯი სასტვენით. შეფილდში „ბრემერ ლეინის“ სტადიონზე პირველად გაიმართა მატჩი ელექტროგანათებით.

1883 წელი. თამაში დაიყო ორ, 45-წუთიან ტაიმად. დამტკიცდა ტაიმებს შუა შესვენებისა და კარის შეცვლის წესი.

1887 წელი. შემოღებულ იქნა მეტად მნიშვნელოვანი წესი თამაშგარე მდგომარეობის შესახებ.

1891 წელი. ლივერპულელმა საქმოსანმა ბროდიმ მიიღო პატენტი კარის ბადის გამოგონებისათვის. შემოღებულ იქნა თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმის (პენალტი) წესი. პირველად გამოვიდა მოედანზე არბიტრი თანამსაჯებთან ერთად.

1894 წელი. დაზუსტდა და დამტკიცდა ფეხბურთის წესების ახალი რედაქცია, რომელიც მცირე შესწორებებით დღემდე ძალაშია.

1901 წელი. პირველად მოვიდა სტადიონზე 100 ათასზე მეტი მაყურებელი: ინგლისის თასის ფინალურ მატჩს „კრისტალ პალასის“ სტადიონზე („ტოტენჰემ ჰოტსპური“ — „შეფილდ იუნაიტედი“). შეხვედრას დაესწრო 110802 მაყურებელი.

1902 წელი. მეკარემ ხელით თამაშის უფლება მიიღო საჯარიმო მოედნის ფარგლებში.

1903 წელი. საბოლოოდ დადგინდა სათამაშო მოედნის ზომები.

1904 წელი. 21 მაისს საფრანგეთის სპორტულ ორგანიზაციათა ინიციატივითა და ევროპის და სხვა ქვეყნების წარმომადგენელთა მხარდაჭერით შეიქმნა ფეხბურთის ასოციაციათა საერთაშორისო ფედერაცია (ფიფა) — უმაღლესი საერთაშორისო ორგანო, რომელიც დღესას ხელმძღვანელობს ფეხბურთის განვითარებას მსოფლიოში.

1908 წელი ფეხბურთი ოლიმპიური ოჯახის სრულუფლებიანი წევრი გახდა.

1909 წელი. მეკარემ პირველად ჩაიცვა განსხვავებული ფერის მაისური.

1927 წელი. ინგლისში მოეწყო პირველი საფეხბურთო რადიორეპორტაჟი. „არსენალისა“ და „შეფილდის“ მატჩს კომენტარი გაუკეთა ჟურნალისტმა ვეიკელამმა.

1939 წელი. ფეხბურთელთა მაისურებზე პირველად გაჩნდა ნომრები.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

# რა ხდებოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

**1.10.1977** ნიუ-იორკის „ჯაიანტსის“ სტადიონზე შედგა პელეს გამოსათხოვარი მატჩი.



მხოლოდ ორი კლუბის შემადგენლობაში თამაშობდა ფეხბურთის მეფე თავისი ხანგრძლივი საფეხბურთო კარიერის მანძილზე — „სანტოსსა“ და ნიუ-იორკის „კოსმოსში“ და სწორედ ეს ორი გუნდი შეხვდა ერთმანეთს ამ დღეს. ეს იყო ედსონ არანტეს დუ ნასიმენტუს 1363-ე მატჩი და I ტაიმის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე მან თავის უკანასკნელი, 1281-ე გოლი გაიტანა პროფესიონალურ ფეხბურთში. 75646 მაყურებელი დაესწრო 36 წლის ბრაზილიელის საზეიმო გაცილებას. წვიმის მიუხედავად, არცერთი ადგილი არ იყო ცარიელი. პელეს მიესალმნენ მსოფლიოს ჩემპიონატებზე გამარჯვებული გუნდების კაპიტნები: ბელინი, მური, მაურო, კარლოს ალბერტო, ბეკენბაუერი. ამათგან ბოლო ორმა პელეს მხარდამხარ ითამაშა „კოსმოსის“ შემადგენლობაში, თუმცა „იუბილარმა“ ამ კლუბის მაისურით მხოლოდ I ტაიმი „გაძლო“, მეორეში კი უკვე „სანტოსის“ თავდასხმის ლიდერი იყო. საინტერესოა, რომ შესვენების შემდეგ გუნდებს მოედანზე ადგილი არ შეუცვლიათ — ეს მხოლოდ პელემ გააკეთა. საბოლოოდ მატჩი მოიგო ამერიკულმა კლუბმა 2:1. შეხვედრის შემდეგ გამოცხადდა, რომ აღარც „სანტოსში“ და აღარც „კოსმოსში“ არ იქნება მაისური მე-10 ნომრით. ასე დაafasეს ადამიანი, რომელიც სიცოცხლეშივე ლეგენდად იქცა. მის არნახულ პოპულარობაზე ეს ფაქტიც მიუთითებს: ფეხბურთი ამერიკის შეერთებულ შტატებში მის ჩასვლამდე მხოლოდ ემიგრანტების გართობად ითვლებოდა, ამ საზეიმო მატჩზე კი გამოცხადდა, რომ 850 ათასი (!) ამერიკელი მოსწავლე სერიოზულად მიჰყვებოდა იანკებისთვის თითქოსდა უცხო სპორტს.

**6.10.1942** შვედეთის ქალაქ ჰალსბორგში დაიბადა



ერთხანს ეროვნული ნაკრებების დონეზე ჩატარებული მატჩების რეკორდსმენი ბიორნ ნორდკვისტი. სულ შვედეთის ნაკრებში მან 115 თამაში ჩაატარა. თამაშობდა „ნორჩიოპინგში“ (1962-72), „ეინდჰოვენში“ (1972-74), „გიოტებორგში“ (1974-78), ამერიკულ კლუბ „მინესოტა კიკსში“ (1979-80). კარიერა დაასრულა შვედურ „ორგრიტეში“ (1980-82). 1968 წლის საუკეთესო ფეხბურთელი. 23 წლის მანძილზე 1138 მატჩში მიიღო მონაწილეობა.

**8.10.1957** იტალიის ქალაქ კრემონაში დაიბადა ანტონიო კაბრინი, იტალიის ნაკრების მცველი. საინტერესოა, რომ მისი





დებიუტი ნაკრებში პირდაპირ მსოფლიო ჩემპიონატზე მოხდა — 1978 წლის 2 ივნისს მარ-დელ-პლატაში საფრანგეთის ნაკრებთან (2:1). მხოლოდ ერთი სეზონი (1975-76) გამოდიოდა ბერგამოს „ატლანტაში“, შემდეგ კი „იუვენტუსში“ თამაშობდა, სადაც ქვეყნის ჩემპიონის, თასის მფლობელისა და ევროპული თასების მფლობელის მრავალი ტიტული მოიპოვა. რაც მთავარია, იყო 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონი. ამას გარდა მონაწილეობდა კიდევ ორ მსოფლიო ჩემპიონატში (1978, 86).

**8.10.1922** დაიბადა სახელგანთქმული შვედი ფეხბურთელი და მწვრთნელი ნილს ლიდჰოლმი. 1940-47 წლებში თამაშობდა



„სლეიპნერში“, მხოლოდ ორი წელი დაჰყო მშობლიურ ქალაქ ნორჩიოპინგის გუნდში (1947-48), შემდეგ კი კარიერის დამთავრებამდე „მილანში“ გამოდიოდა. იმ პერიოდში მეტოქის მცველებს შიშს გვრიდა შვედური ტრიო: გუნარ გრენი, გუნარ ნორდალი და ნილს ლიდჰოლმი (შემოკლებით გრე-ნო-ლი). 1947-58 წლებში 23 ჯერ ითამაშა შვედეთის ნაკრებში, იყო 1948 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი. არანაკლებ წარმატებული გამოდგა მწვრთნელობის კარიერაც. ავარჯიშებდა მხოლოდდამხოლოდ იტალიურ კლუბებს: „მილანს“ (1961-66 და 1977-79), „ვარეზეს“, „ვერონას“, „ფიორენტინას“ (1971-73), „რომას“ (1973-77) და სხვებს.

**9.10.1962** დაიბადა ხორხე ლუის ბურუჩაგა, რომელიც ფეხბურთის ისტორიაში შევიდა, როგორც 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური მატჩის გადამწყვეტი გოლის ავტორი. მაშინ, როცა ანგარიში 2:2 იყო, შეხვედრის დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე მარადონას მშვენიერი პასის შემდეგ გაექცა ბრიგელს და არგენტინას გამარჯვება მოუტანა. თამაში დაიწყო ბუენოს-აირესის „ინდეპენდიენტეში“, სადაც 1985 წლამდე გამოდიოდა. მსოფლიოს ჩემპიონატზე ტრიუმფის შემდეგ საფრანგეთის კლუბებში გამოდიოდა. ნაკრებში დებიუტი შედგა 13 მაისს სანტიაგოში (ჩილე — 2:2).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოქტომბერში

**11.10.1937** აშინგტონში დაიბადა ინგლისური და მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი „ფიგურა“ — რობერტ (ბობი) ჩარლტონი. უკვე 15 წლის ასაკიდან მან ბასბის „მანჩესტერ იუნაიტე-დში“ ჩაირიცხა და ამ კლუბისათვის არასოდეს უღალატია. 1956 წლის ოქტომბრიდან 1973 წლის 2 მაისამდე, როცა ბოლო მატჩი ითამაშა, „მანჩესტერის“ მაისუ-რით 604 მატჩი ჩაატარა ინგლისის ჩემპიონატში და 247 გოლი გაიტანა. იჯდა იმ უბედურ თვითმფრინავში, რო-მელსაც 1958 წლის თებერვალს ინგლისელი ფეხბურთელები გადა-



ყავდა და მიუნხენში ჩამოვარდა. საბედნიეროდ, ბობი ჩარლტონი ერთ-ერთი იმათგანია, ვინც გადარჩა. დღემდე ლიდერობს ინგლისის ნაკრების ყველა დროის ბომბარდირთა სიას (49 გოლი 106 მატჩში). ნაკრებში დებიუტი ჰქონდა გლაზგოს „ჰემპდენ პარკზე“, სადაც 1958 წლის 14 აპრილს მისმა თანაგუნდელებმა მასპინძლები გაანადგურეს — 4:0. უცნაური გამოდგა მისი ნაკრებთან დამშვიდობება: 1970 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩში გერმანელებთან იგი გამოცვალეს მაშინ, როცა ანგარიში 2:0 იყო, ჩათვალეს რა, რომ შეხვედრა მოგებულია. შედეგი სავალალო გამოდგა — გერმანელებმა მატჩი მოიგეს — (3:2), ბობი ჩარლტონს კი ნაკრებში თამაშის სურვილი გაუქრა. 1966 წლის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი. 1984 წელს დაჯილდოვდა ფიფას სპეციალური ორდენით.

**12.10.1917** დაიბადა როჟე მასპოლი, ცნობილი ურუ-გვაელი ფეხბურთელი და უფრო ცნობილი მწვრთნელი. ოცწლიანი საფეხბურთო კარიერის განმავლობაში თამაშობდა მხოლოდ თავისი ქვეყნის კლუბებში: „ბელა ვისტა“, „უონდერერსი“, „კერო პორტენო“, „პენიაროლი“. ამავდროულად იყო ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი (ჩაატარა 44 მატჩი). დიდ შედეგებს მიაღწია, როგორც მწვრთნელმა. 1960-61 წლებში მისი შეგირდები „პენიაროლიდან“ სამხრეთ ამერიკის ჩემპიონთა თასს ფლობდნენ, 1961 წელს კი მსოფლიოს უძლიერესი გუნდის სახელიც მოიპოვეს, მოიგეს რა საკონტინენტთაშორისო თასი. 1981 წელს იყო ურუგვაის ნაკრების მწვრთნელი, როცა „მონდიალიტოს“ ფინალში ურუგვაიმ ბრაზილია დაამარცხა 2:1.

**20.10.1982** ...იუგოსლაველმა მსაჯმა შოშტარიჩმა ორი წუთი დაამატა და სწორედ 92-ე წუთზე სოჩნოვის მიერ კუთხურიდან ჩამოწოდებულ ბურთს შვეცოვმა თავით შეუცვალა გეზი და ისიც „ჰაარლემის“ კარში აღმოჩნდა (ფოტოზე). უეფას თასის ოცდამეთორმეტედფინალის პირველი მატჩი ლუჟნიკებზე მოსკოვის „სპარტაკის“ გამარჯვებით დამთავრდა — 2:0. მაგრამ ვაი ამ გამარჯვებას!

იმ დღეს საბჭოთა ან შესაძლოა, მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში უდიდესი ტრაგედია მოხდა. მხოლოდ შვიდი წლის შემდეგ, 1989 წელს გაიგო ხაზოგადოებამ იმ საშინელების შესახებ, რომელიც დიდი ლენინის სახელობის სტადიონის ტრიბუნებზე დატრიალდა. მაშინ კი მხოლოდ „ვეჩერნი მოსკვამ“, ისიც მაქსიმალურად ბუნდოვნად მოიხსენია ეს ამბავი: მოსკოვის ერთ-ერთ უბანში უბედური შემთხვევა მოხდა და არიან დაღუპულებიო. საკვირველია, ვის უმალავდნენ, ან რას მალავდნენ (თუმცა ამას მიჩვეულები ვიყავით), როცა იმ დღესვე შვედეთისა და ფინეთის რადიომ და ბი-ბი-სიმ გადმოსცა დაწვრილებითი ინფორმაცია. მალე ამ ამბავმა თბილისამდეც ჩამოაღწია: შემდეგ წრეში „სპარტაკი“ ბელგიის „ანდერლეხტს“ თბილისში მასპინძლობდა და და ჩამოსულმა სპარტაკელმა „ფანებმა“ გაგვაგებინეს ყველაფერი.

არაერთი ტრაგედია მომხდარა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის საფეხბურთო სტადიონებზე, მაგრამ ეს შემთხვევა უნიკალურია. უნიკალურია იმით, რომ არავინ არაფერი გააკეთა, რათა ხალხისთვის ეშველა. საქმე შემდეგში იყო: იმ დღეს მოსკოვში საკმაოდ სუსხიანი ამინდი იყო და ამიტომაც ლუჟნიკებზე მხოლოდ 15 ათასამდე მაყურებელი მოვიდა. რატომღაც (ეს სიტყვა კიდევ არაერთხელ შეგვხვდება) ისინი ყველა ერთ ტრიბუნაზე მოაქციეს. მატჩის მე-16 წუთზე ედგარ გესმა საჯარიმო დარტყმით პირველი გოლი გაიტანა ჰოლანდიელების კარში. შეხვედრის დრო იწურებოდა, ბევრმა გულშემატკივარმა დასტოვა ტრიბუნა და სწორედ ამ დროს სერგეი შვეცოვმა გაიტანა ის საბედისწერო გოლი. გასულები უკან შემოსვლას შეეცადნენ, ამ დროს კი ხალხის ძირითადი მასა გასვლას აპირებდა. ისინი მეორედან პირველ იარუსზე ჩასასვლელ მოლიპულ კიბეზე შეხვდნენ! ამ კიბეზე დაასრულა სიცოცხლე რამდენიმე ათეულმა ან ასეულმა ახალგაზრდამ. დაღუპულთა ზუსტი რაოდენობა დღესაც დაუდგენელია. იმდროინდელი პროკურატურის მონაცემებით დაღუპულია 66 კაცი, მაგრამ დამოუკიდებელი წყაროებით 340 ადამიანი გახდა მსხვერპლი ჩინოვნიკების გულგრილობისა და სულელური ინსტრუქციებისა. მეორე მონაცემი, სამწუხაროდ, უფრო შეეფერება სიმართლეს, ვინაიდან იგი დაღუპულთა ოჯახის წევრებისა და თვითმხილველების მონაყოლზეა დაყრდნობილი. ამავე ინფორმაციით, ნახევარი საათით მილიციამ რატომღაც გადაკეტა ყველა მისასვლელი



საბედისწერო ადგილამდე, თუმცა ჯერ კიდევ შეიძლებოდა ხალხის შველა. რატომღაც იმ დღეს სტადიონზე არ აღმოჩნდა არათუ მორიგე სამედიცინო მანქანა, არამედ ექიმიც კი. მხოლოდ გულშემატკივრებს შორის აღმოჩენილი ფერშალი შველოდა ხალხს. მას იმან უშველა, რომ შავი ლაბადა ეცვა და ალბათ მილიციელებმა „კაგებეშნიკად“ ჩათვალეს. მილიციელები შემთხვევის ადგილიდან სამიოდე მეტრის მანძილზე იდგნენ და ხელიც არ გაუნძრევიათ თანაქალაქელთა საშველად... მხოლოდ სამი დღის შემდეგ შეატყობინეს დაღუპულთა ოჯახებს, რომ მათი შვილები სტადიონიდან პირდაპირ მორგში წაიყვანეს.

ყოველი წლის 20 ოქტომბერს „სპარტაკის“ გულშემატკივრები ყვავილებით ამკობენ იმ კიბეს, რომელზეც ეს ტრაგედია მოხდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფეხბურთო ჟურნალი

# გოლი

## მომდევნო ნომერში

„გოლის“ სპეციალური კორესპონდენტის

## რეპორტაჟი

ვილნიუსიდან, სადაც იგი შეხვდა
ჰანს ვან ბრეკელენსა
და
ფრენკ არნესენს

რუბრიკა „კლუბები“ წარმოგიდგენთ:

## ჩემპიონთა თასის მფლობელი

## F.C. BARCELONA

გაგაცნობთ იმ საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებშიც გაერთიანდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია FIFA და UEFA

აგრეთვე სხვა საინტერესო მასალები



კვირას, 27 სექტემბერს გერმანიის ქალაქ ჰომბურგის საავადმყოფოში 72 წლისა გარდაიცვალა ფიფა-ს ვიცე-პრეზიდენტი, გერმანიის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარე ჰერმან ნოიბერგერი.

ნოიბერგერი ხელმძღვანელობდა **1974, 1978, 1982, 1986** და **1990** წლების მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატების საორგანიზაციო კომიტეტებს. სიცოცხლის ბოლო დღეებამდე იგი იყო **1994** წლის მსოფლიოს ჩემპიონატის (აშშ) საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე.

„ნოიბერგერის სიკვდილი დიდი დანაკლისია არა მარტო გერმანიის, არამედ მთელი მსოფლიოს ფეხბურთისათვის — თქვა გერმანიის ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა ბერტი ფოგტსმა, — ფეხბურთს იგი ყოველთვის უყურებდა, როგორც სპორტის სახეობას და არა როგორც კომერციის საშუალებას. მე დავკარგე მეგობარი და მასწავლებელი, ეს ჩემთვის დიდი ტკივილია. ჰერმანი ყოველთვის დიდ ყურადღებას იჩენდა ეროვნული ნაკრების მიმართ“.

ჟურნალ „გოლში“ რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ: 35 26 44

ჟურნალ „გოლის“ აბონემენტის მფლობელებს ჟურნალის მიღება შეუძლიათ გამოსვლიდან 10 დღის განმავლობაში რეალიზაციის ადგილებზე, აგრეთვე მისამართზე: წერეთლის პრ. 130, V სართული, ტელეფონი 35 26 44, ან წერეთლის პრ. 139, IV სართული, ტელეფონი 34 21 30.

ინფორმაცია ჟურნალის გამოსვლის შესახებ გამოქვეყნდება გაზეთ „ივერია ექსპრესში“.

საფეხბურთო ჟურნალი
გოლი

ეროვნული ბიბლიოთეკა




...მურა ხოჯამირიძე
(„მერცხალი" თბილისი)

გოლი
საფეხბურთო ჟურნალი




გურჯაანის „ალაზანი“. 1992-93. დგანან (მარცხნიდან): გია ჭუხიაშვილი, ზურაბ შოშხაძე, დავით ნეფარიძე, მერაბ თევზაძე, დავით უბილიძე, გოჩა ბუჯაბიძე, თემურ ... ძე. სხედან: გოჩა ... შვილი, ლევან ნადარეიშვილი, ვანო ჩაკოზაშვილი, ოთარ კორღალიძე, ... შვილი, დავით ტომაია, გია მოსიაშვილი, ვასილ ხეფაშვილი.